

ჰუმანიტარული განათლება სკოლაში

მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის
გამოცემა

№2, 2022



მეორე ნაწილი

ენები,
ხედოვნება,
მუსიკა, ისტორია



საპარტევლოს
განათლებისა და
მეცნიერების
სამინისტრო



მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრი



ჰუმანიტარული განათლება სკოლაში

განსაკუთრებული პიროვნული განვითარების
ეროვნული მხარის გამოცემა

№ 2, 2022

მეორე ნაწილი

უცხო ენები, ხელოვნება,
მუსიკა, ისტორია

სამედიაციო კომისია:

ლევან ბრეგვაძე

სამედიაციო რედაქტორი

გრიგოლ (გიბა) მურდულია

ნინო ნაპუდაშვილი

ზაალ ჩხეიძე

გიბა ბაღაშვილი

ლევან ახვლედიანი

რუსუდან თაყაიშვილი

თათია ბარბაქაძე

ნონა კოპიაშვილი

მაკა ნადარეიშვილი

ნინო ფაშვიშვილი

ხათუბა გვამელიშვილი

მთავარი რედაქტორი

მაია ინასარიძე

კონსულტი

მაია წიკლაური

ფიზიკური

ბესიკ დანელია

საკონტაქტო ინფორმაცია:

მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრი.

მისამართი:

თბილისი, სანდრო ეულის ქ. 5,

ელფოსტა: skolismartva@tpdc.ge

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში
გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება,
შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების ეროვნული
ცენტრისა და ჟურნალის რედაქციის
შეხვედრებს. ცალკეულ სტატიებში
დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე
პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 2720-8583

WWW.TPDC.GE



რედაქტორისგან

ჰუმანიტარული განათლება სასკოლო საგანთა ფართო სპექტრს მოიცავს, ამიტომ ჩვენი ჟურნალის – „ჰუმანიტარული განათლება სკოლაში“ – მეორე ნაწილი ეთმობა ენების, ხელოვნების, მუსიკისა და ისტორიის სწავლების საკითხებს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში და არა მარტო. ქართულ რეალობასთან ერთად აქგაეცნობით მსოფლიო ტენდენციებსა და საუკეთესო საზღვარგარეთულ გამოცდილებას, როგორ მოვაშადაოთ მოსწავლეები გლობალური მოქალაქეობის კულტურულად მრავალფეროვანი კონტექსტისათვის უცხო ენის გაკვეთილებზე, როგორ ჩამოვუყალიბოთ ინტერკულტურული მგრძნობელობა, რა გარემო შევუქმნათ ლტოლვილი და მიგრანტი ოჯახების ბავშვებს, როგორ ვაქციოთ მუსიკა მოზარდების ცხოვრების თანამგზავრად, როგორ გამოვიყენოთ მუზეუმი საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მიზნებისათვის... აღარ ჩამოვთვლი. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ყველა წერილი ჰუმანიტარული განათლების როლსა და მნიშვნელობას ეხება, სხვადასხვა საგნის პრიზმიდან დანახულს.

იმედია, ჩვენი ჟურნალის ეს ნომერი საფიქრალს გაუჩენს მასწავლებლებს და არა მარტო...

შინაარსი

ენების სწავლება საგანმანათლებლო

ნონა კოპიაშვილი
02 გლობალური
მოქალაქეობის განათლება
უცხოური ენის გაკვეთილზე

ნინო ფეტვიაშვილი
10 XXI საუკუნე –
თექვსმეტწლიანი პროგრესი
და საგანმანათლებლო
სისტემის ახალი გამოწვევები

ლიანა სიდამონიძე
16 მხატვრული თეატრის
ინტერპრეტაცია და
ინტერმედიუმი

ხათუნა მჭედლიშვილი
19 ლტოლვილი ბავშვები
სკოლაში, პრობლემები და
მათი გადაჭრის გზები
გერმანული მოდელის
მაგალითზე

მაკა ნადარეიშვილი
25 ინტერკულტურული
კომუნიკაციის
განვითარება უცხო ენის
სწავლების პროცესში

მუსიკა და ხელოვნება

გიბა ბაღაშვილი
31 მრავალმხიანობა და
ქართული იდენტობა
თანამედროვე სოციალურ-
კულტურულ კონტექსტში

რუსუდან თაყაიშვილი
35 EL SISTEMA – საგანმანათლებლო
განათლება ვანესუელაში

სოფიო ქეზური
41 სამედიაციო კვლევები და
მასწავლებლის როლი

თათია ბარბაქაძე
48 თანამედროვე
ხელოვნების სწავლება,
როგორც გამოწვევა

ისტორია

დიმიტრი ახვლედიანი,
ლევან ახვლედიანი
57 არქეოლოგიის
სწავლება
საშუალო სკოლაში
ნაწილი II



ნონა კოკიაშვილი

მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
სტანდარტებისა და რესურსების
პროგრამის ხელმძღვანელი

გლობალური მოქალაქეობის განათლება უსხოური ენის გაკვეთილზე



**გლობალური მოქალაქეობის
განათლების ფართოდ დაწესება
დაგეგმვა იმაში, რომ ყველა
მოსწავლეს განუვითარდეს
შესაბამისი კომპეტენციები,
რათა მათ უკეთ გააცნობიერონ
საკუთარი უფლებები და
მოვალეობები უკეთესი
სამყაროსა და მომავლის
შექმნისათვის.**



გლობალური მოქალაქეობის განათლება მნიშვნელოვან ადგილს იკავებს თანამედროვე განათლების სისტემაში. ის ეხმარება ყველა ასაკის მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა და უნარები, ღირებულებები, რომლებიც ეფუძნება ადამიანის უფლებებისა და სოციალური სამართლიანობის პატივისცემას, მრავალფეროვნებას, გენდერულ თანასწორობასა და გარემოს მდგრადობის პრინციპებს. ეს კი მოსწავლეს აძლევს საშუალებას განვითარდეს და ჩამოყალიბდეს პასუხისმგებლობის გრძნობით სავსე გლობალურ მოქალაქედ. გლობალური მოქალაქეობის განათლების ფართოდ დანერგვა დაგვეხმარება იმაში, რომ ყველა მოსწავლეს განუვითარდეს შესაბამისი კომპეტენციები, რათა მათ უკეთ გააცნობიერონ საკუთარი უფლებები და მოვალეობები უკეთესი სამყაროსა და მომავლის შექმნისათვის.

გლობალურ მოქალაქეებს, შესაბამისად, სჭირდებათ ცოდნა და კრიტიკული აზროვნების უნარი, რათა გაიაზრონ სამყარო მთელი თავისი კომპლექსურობით; ასევე, შესაბამისი ღირებულებები, დამოკიდებულებები და უნარები, რომ ღირსეული წვლილი შეიტანონ საზოგადოების განვითარებაში. მათ ეს ცოდნა და ღირებულებები უნდა გამოიყენონ პრაქტიკაში არა მხოლოდ იმ მიზნით, რომ პატივისცენ ერთმანეთს და მშვიდობიანად იცხოვრონ ერთად, არამედ იმისათვის, რომ გადადგან ქმედითი ნაბიჯები, რათა მსოფლიო გადააქციონ უკეთეს ადგილად როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვებისთვისაც. შესაბამისად, გლობალური მოქალაქეობის განათლების დანერგვისას მნიშვნელოვანია სამი უმთავრესი კომპონენტის – კოგნიტური, სოციო-ემოციური და ქმედებაზე დაფუძნებული სწავლის – ერთობლიობით მიმდინარე სასწავლო პროცესის განხორციელება. (UNESCO, 2015).

კოგნიტური სწავლის საშუალებით მოსწავლეები შეძლებენ შეიძინონ ცოდნა, გამოავლინონ კრიტიკული აზროვნების უნარი გლობალური, რეგიონული, ეროვნული და ლოკალური პრობლემების, ასევე სხვადასხვა ქვეყნისა და მათი მოსახლეობის ურთიერთკავშირისა და ერთი მეორეზე დამოკიდებულების მიმართ.

სოციო-ემოციური სწავლის საშუალებით კი გლობალური მოქალაქეობის განათლება მიზნად ისახავს მოსწავლეებს განუვითაროს მიკუთვნებულობის განცდა მთლიან კაცობრიობასთან, რათა მათ გააცნობიერონ საერთო ღირებულებები და პასუხისმგებლობები, განუვითარდეთ ემპათია, სოლიდარულობა და პატივისცემა განსხვავებულობისა და მრავალფეროვნებისადმი.

რაც შეეხება ქცევით სწავლას, გლობალური მოქალაქეობის განათლების მიზანს წარმოადგენს, მოსწავლეებმა შეძლონ ეფექტურად და პასუხისმგებლობით მოქმედება ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ დონეზე მეტად მშვიდობიანი და მდგრადი მსოფლიოსთვის (UNESCO (2015). გლობალური მოქალაქეობის განათლება – საკითხები და სასწავლო მიზნები, გვ. 14).

UNESCO-მ (2015) განსაზღვრა მოსწავლის ყველა ის საკვანძო მახასიათებელი, რომელთა განვითარებასაც უნდა ემსახუროდეს განათლება გლობალური მოქალაქეობისათვის. აუცილებელია ამ მახასიათებლების მკაფიოდ გამოყოფა, რათა ნამდვილად უზრუნველყვით ახალგაზრდებში შესაბამისი შესაძლებლობების, უნარების განვითარება, გამოცდილების დაგროვება და ძალისხმევის წახალისება შექმნილი სასწავლო პროგრამების საშუალებით. სანამ უშუალოდ განვიხილავდეთ უცხოური ენების სწავლების პროცესში გლობალური მოქალაქეობის განათლების ინტეგრირების შესაძლებლობებსა და მნიშვნელობას, გთავაზობთ იმ მახასიათებლების ჩამონათვალს, რომელთა განვითარებასაც ისახავს მიზნად განათლება გლობალური მოქალაქეობისათვის:

ცხრილი 1. შემსწავლელთა მთავარი მახასიათებლები

1. ინფორმირებული და კრიტიკული ნიშნები

- მოსწავლეები თავს უყრიან გლობალური მართვის სისტემების, სტრუქტურებისა და საკითხების შესახებ ცოდნას.
- მოსწავლეებს ესმით ურთიერთდამოკიდებულება და კავშირი გლობალურ და ლოკალურ საკითხებს შორის.
- მოსწავლეები იძენენ ცოდნას და უნარებს, რომლებიც საჭიროა სამოქალაქო წიგნიერებისთვის, როგორებიც არის კრიტიკული შეკითხვების დასმა, ანალიზის უნარი სწავლის პროცესში აქტიური ჩართულობის გზით.
- მოსწავლეებს უვითარდებათ სამყაროს, გლობალური თემების, მართვის სტრუქტურებისა და სისტემების გაგების უნარი, პოლიტიკის, ისტორიისა და ეკონომიკის ჩათვლით.
- მოსწავლეებს ესმით უფლებები და პასუხისმგებლობები, რომლებიც აქვთ ინდივიდებს და ჯგუფებს (მაგ. ქალთა და ბავშვთა უფლებები, მკვიდრი მოსახლეობის უფლებები, კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობები).
- მოსწავლეები აცნობიერებენ, როგორ არის ერთმანეთზე დამოკიდებული ადგილობრივი, ეროვნული და გლობალური პრობლემები, სტრუქტურები და პროცესები.
- მოსწავლეებს უვითარდებათ კრიტიკული შეკითხვების დასმის უნარი (მაგ. მოიძიონ ინფორმაციის წყარო და განივიტარონ უნარები, გააანალიზონ და გამოიყენონ ის, როგორც მტკიცებულება), უკეთ აცნობიერებენ, თუ როგორ ხდება ინფორმაციის მედიაცია და კომუნიკაცია.

- მოსწავლეებს უვითარდებათ უნარი, გამოიკვლიონ გლობალური საკითხები და პრობლემები (მაგ., გლობალიზაცია, ურთიერთდამოკიდებულება, მიგრაცია, მშვიდობა და კონფლიქტი, მდგრადი განვითარება) დაგეგმვის, მონაცემების გაანალიზებისა და მიგნებების სხვებთან გაზიარების გზით.

2. სოციალური აქტიურობა და მრავალფეროვნების მიმართ პატივისცემით განწყობილი

- მოსწავლეებს უვითარდებათ იდენტობის გაგების, ურთიერთობების უნარი, მიკუთვნებულობის განცდა; ისინი უკეთ აცნობიერებენ, რა არის გაზიარებული ღირებულებები და ერთიანი კაცობრიობა.
- მოსწავლეებს უვითარდებათ მიმღებლობა და პატივისცემა განსხვავებულობისა და მრავალფეროვნების მიმართ; ისინი უკეთ აცნობიერებენ, რა კავშირები არსებობს მრავალფეროვნებასა და ერთობას შორის.
- მოსწავლეები იაზრებენ საკუთარ იდენტობას და ასევე იმას, თუ რა ადგილს იკავებენ მრავლობით ურთიერთობებში (მაგ., ოჯახი, მეგობრები, სკოლა, ადგილობრივი საზოგადოება, ქვეყანა), რაც წარმოადგენს მოქალაქეობის გლობალური განზომილების გაგების საფუძველს.
- მოსწავლეებს უვითარდებათ კულტურის, ენის, გენდერისა და სექსუალური ორიენტაციის, რელიგიური მრავალფეროვნების უკეთ გაგების უნარი, ასევე აცნობიერებენ, რა გავლენა აქვს ამ ყველაფერს ადამიანების დამოკიდებულებაზე მათ მიმართ, ვინც განსხვავებულია და რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს უთანასწორობასა და დისკრიმინაციას.
- მოსწავლეებს შეუძლიათ მოახდინონ იმ ზოგადი ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც იწვევს განსხვავებულობას და შეიძინონ ცოდნა, უნარები, ჩამოუყალიბდეთ ღირებულებები და დამოკიდებულებები, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ შეძლონ სხვების პატივისცემა და სხვებთან თანაცხოვრება.

3. ეთიკური პასუხისმგებელი და პრინციპული ჩართული

- მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიკვლიონ როგორც საკუთარი, ასევე სხვა ადამიანების რწმენა და ღირებულებები.
- მოსწავლეები აცნობიერებენ, რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს რწმენასა და ღირებულებებს სოციალური და პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაზე ლოკალურ, ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე, ასევე, რა გამოწვევები არსებობს კონტრასტული და კონფლიქტური რწმენისა და ღირებულებების მართვის შემთხვევაში.
- მოსწავლეებს უვითარდებათ სოციალური სამართლიანობის, ლოკალურ, ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ კონტექსტებში არსებული პრობლემების გაგების უნარი და ხედებიან, რა კავშირია ამ ყველაფერს შორის. ისინი ასევე განიხილავენ ეთიკურ საკითხებს, როგორებიცაა: კლიმატის ცვლილება, კონსუმერიზმი (მომხმარებლობა), ეკონომიკური გლობალიზაცია, სამართლიანი ვაჭრობა, მიგრაცია, სიღატაკე და სიმდიდრე, მდგრადი განვითარება, ტერორიზმი, ომი.

- მოსწავლეებს შეუძლიათ მოახდინონ რეფლექსია იმ ეთიკური კონფლიქტებისა, რომლებიც უკავშირდება სოციალურ და პოლიტიკურ პასუხისმგებლობებს და ასევე აცნობიერებენ, თუ რა დიდი გავლენა შეიძლება ჰქონდეს მათ მიერ გაკეთებულ არჩევანსა და მიღებულ გადაწყვეტილებას.
- მოსწავლეებს უყალიბდებათ ცოდნა, უნარები, ღირებულებები და დამოკიდებულებები, იზრუნონ სხვებზე, გარემოზე და აქტიურად ჩაერთონ სამოქალაქო აქტივობებში. ეს მოიცავს თანაგრძნობას, ემპათიას, კოლაბორაციას, დიალოგს, სოციალურ მეწარმეობას და აქტიურ მონაწილეობას.
- მოსწავლეები ეცნობიან, თუ როგორ უნდა ჩაერთონ, როგორც მოქალაქეები, ლოკალურ, ეროვნულ და გლობალურ დონეზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ასევე, რა მაგალითები არსებობს გლობალურ პრობლემებთან და სოციალურ უსამართლობასთან გამკლავებისა როგორც ინდივიდუალურად, ასევე კოლექტიურად.

გასათვალისწინებელია, რომ გლობალური მოქალაქეობის თემების ინტეგრირება მნიშვნელოვანია მოხდეს სხვადასხვა საგნის კურიკულუმში. თემები ძირითადად აღებული უნდა იქნეს მდგრადი განვითარების მიზნებიდან. იმისათვის, რომ მეტი საკითხი დაიფაროს, აუცილებელია შევხებით სხვადასხვა მიზნის ფარგლებში განხილულ პრობლემებს. სიღარიბე, შიმშილი, ჯანმრთელობის ცუდი პირობები, ხარისხიან განათლებაზე ნაკლები ხელმისაწვდომობა, გენდერული უთანასწორობა, ღირსეული სამუშაოს ნაკლებობა, ეკონომიური განვითარება, გარემოს განადგურება, ურბანული უსაფრთხოება, კონფლიქტები და უსამართლობა არის ის საკითხები, რომელთაც უნდა დაეფუძნოს განსახილველი თემატიკა. მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად მნიშვნელოვანია ამ თემებზე აქცენტირება.

არსებობს არაერთი კვლევა, რომლებითაც დასტურდება, რომ აღნიშნული თემატიკის ინტეგრირება უცხოური ენების გაკვეთილზე დადებითად აისახება მოსწავლეთა შედეგებზე. ამ შემთხვევაში ენა ასრულებს მედიუმის ფუნქციას მოსწავლისათვის საინტერესო შინაარსის გადაცემის პროცესში. ამავე დროს, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ უცხოური ენების სწავლებისას უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარებას. ეროვნული სასწავლო გეგმის უცხოური ენის სტანდარტში ცალკე ცნებად არის გამოყოფილი კულტურათა დიალოგი. პირველი უცხოური ენის სტანდარტის შედეგების მიხედვით მოსწავლემ უნდა შეძლოს:

„სხვადასხვა ქვეყნის სოციოკულტურულ კონტექსტებსა და კულტურებს შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების გაგება და დაფასება“. (I უცხ. დაწყ 5)

„განსხვავებული კულტურული ნორმებისა და ღირებულებების გაგება-გააზრება და კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა“ (I უცხ. საბ 5)

ენობრივი განათლების ერთ-ერთი მიზანი არა მხოლოდ კომუნიკაციური უნარების განვითარება, არამედ კულტურაზე მეტი ხელმისაწვდომობაცაა. ამიტომაც ღინგვისტური კომპეტენციების განვითარებასთან ერთად, მნიშვნელოვანი აქცენტი უნდა გაკეთდეს ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარებაზე.

შესაბამისად, უცხოური ენის მასწავლებლების მიზანი ხდება არა მხოლოდ ენის სწავლება, არამედ მოსწავლეებისთვის განსხვავებული აზროვნების, ღირებულებებისა და ქცევის გაცნობა და საკუთარი კულტურისა და ღირებულებების კრიტიკული გააზრება.



ენოხივი განათლების
ერთ-ერთი მიზანი არა
მხოლოდ კომუნიკაციური
უნარიების განვითარება,
არამედ კულტურულ მემკვიდრეობის
საფუძვლის დაცვა და განვითარება.
კომუნიკაციური
უნარიების განვითარება
არაა მხოლოდ კომუნიკაციური
უნარიების განვითარება,
არამედ კულტურულ მემკვიდრეობის
საფუძვლის დაცვა და განვითარება.



შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ ენის სწავლებას ერთგვარ პოლიტიკურ პროექტად განიხილავენ, რომლის საშუალებითაც უნდა მოხდეს ეროვნული იზოლაციისგან თავის დაღწევა.

უცხოური ენის მასწავლებლებს შესწევთ ძალა მოამზადონ მოსწავლეები გლობალური მოქალაქეობის კულტურულად მრავალფეროვანი კონტექსტისათვის.

ხშირია უცხოური ენის გაკვეთილზე იმგვარი ტექსტების გამოყენება, რომლებშიც მოთხრობილია სხვა კულტურების წარმომადგენელთა ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის, ჩვევების, ტრადიციების, გენდერული როლებისა და სხვა მსგავსი საკითხების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ეს თემები ხშირად ზედაპირულად არის განხილული და არ ხდება მათი სიღრმისეული ანალიზი, შესაძლებელია ეს განვიხილოთ, როგორც კარგი საწყისი წერტილი შემდგომი დისკუსიებისა და მოსწავლეების მომზადებისათვის გლობალური მოქალაქეობის საკითხების სიღრმისეულად გასაზრებლად. ენის გაკვეთილზე მთავარი აქცენტი კეთდება იმაზე, რომ მოსწავლეებმა გაიაზრონ განსხვავებული ტიპის აზროვნების, ღირებულებებისა და ქცევის თავისებურებები. ამ მიზნისთვის კი უცხოური ენის მასწავლებლებმა შესაძლებელია გამოიყენონ მრავალფეროვანი აქტივობები, როგორებიც არის სიტყვების ასოციაციები, როლური თამაშები, კულტურული სიტუაციების ანალიზი. ერთ-ერთი კვლევის ფარგლებში (ქარელი, 2001), აღწერილია, როგორ გადაიქცევიან მოსწავლეები ფრანგულის გაკვეთილზე „ვირტუალურ ეთნოგრაფებად“ და როგორ იკვლევნ საფრანგეთში კომუნიკაციის წესებს. სხვა კვლევებში აღწერილია, როგორ იკვლევნ მოსწავლეები საკუთარ გამოცდილებას უცხო ქვეყნებში და შემდეგ საკუთარი აღმოჩენების საფუძველზე წარმომადგენენ უცხო კულტურის კრიტიკულ შეფასებას.

უცხოური ენის მასწავლებლებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ გლობალური მოქალაქეების აღზრდასა და განვითარებაში, რათა მოსწავლეებმა შეძლონ ეფექტურად თანამშრომლობა დემოკრატიული, კულტურათშორისი დიალოგის წარმართვაში. ისინი მოსწავლეებს უვითარებენ არა მხოლოდ ლინგვისტურ და ინტერკულტურულ კომპეტენციებს, რათა მათ შეძლონ სხვა კულტურის წარმომადგენლებთან კომუნიკაცია, არამედ ასევე ზრუნავენ მოსწავლეებში დემოკრატიული დიალოგისათვის საჭირო ღირებულებებისა და უნარების განვითარებაზე. უცხოური ენის სწავლებისას გლობალური თემების ინტეგრირებას დადებითი ზეგავლენა აქვს მოსწავლეებზე, კერძოდ, მოსწავლეებს:

- უმაღლდებათ ცნობიერება იმ გლობალური საკითხების შესახებ, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება მათ ყოველდღიურ საცხოვრებელ გარემოს.
- ეძლევათ საშუალება გაიმდიდრონ ენობრივი მარაგი და მეტი დამაჯერებლობით ისაუბრონ ამ საკითხებზე.

- ეხმარება კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაწყვეტის უნარის განვითარებაში ძიებაზე დაფუძნებული დისკუსიის წარმართვის გზით.
- უვითარდებათ მოსმენის, იდეების გაზიარებისა და თანამშრომლობის უნარები გლობალურ თემებთან დაკავშირებულ აქტივობებზე მუშაობის პროცესში.
- უვითარდებათ დადებითი დამოკიდებულება, ტოლერანტობა და პატივისცემა სხვების თვალსაზრისის მიმართ.
- უვითარდებათ რწმენა, რომ გლობალური პრობლემები საერთო პასუხისმგებლობაა და, თუ ყველა ერთად იმუშავებს მათ გადასაწყვეტად, მეტია წარმატების შანსი.
- სთავაზობს შესაძლებლობას, იაზროვნონ ფართოდ, მიუდგნენ საკითხს შემოქმედებითად და მოიფიქრონ პრობლემის გადაწყვეტის საკუთარი გზები, დაგეგმონ საკუთარი ქმედებები და შემოგვთავაზონ იდეები და პროდუქტი.
- განუვითარდეთ ღირებულებები, რომლებიც დაეხმარება მათ რეფლექსიაში, პასუხისმგებლიანი არჩევანის გაკეთებასა და ქმედებაში.



რამდენადაც გლობალური მოქალაქეობის განათლება ძირითადად მდგრადი განვითარების მიზნებს ეფუძნება, განსაკუთრებულად ეფექტურია უცხოური ენის გაკვეთილზე მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრირება. რაც შეეხება თავად აქტივობებს, შესაძლებელია მრავალფეროვანი აქტივობების დაგეგმვა, მაგალითისთვის შეგვიძლია განვიხილოთ უცხოური ენის გაკვეთილზე კითხვისა და ამბის თხრობის აქტივობები. აქტივობების თემაზე კი შეგვიძლია ავიღოთ თანასწორობის, სამართლიანობის, მდგრადი განვითარების, გენდერული და რასობრივი თანასწორობის, მშვიდობისა და ომის საკითხები.

კითხვის უნარისა და წიგნიერების განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია უცხოური ენის გაკვეთილზე, შესაბამისად, მასწავლებლებმა შესაძლებელია სასწავლო პროცესში ჩართონ მოსწავლეების ენობრივი დონის შესაფერისი საკითხავი ტექსტები, რომელთაც მოსწავლეები წაიკითხავენ „სიამოვნებისთვის“ და, ამავდროულად, მათზე დაფუძნებით მასწავლებელი შესთავაზებს მრავალფეროვან აქტივობებს ენობრივი ასპექტების, ლექსიკის განვითარებისა და დისკუსიისთვის. ამგვარი ტექსტები შესაძლებელია გამოვიყენოთ როგორც კლასში, ასევე სახლში საკითხავად და შემდეგ მოსწავლეებს შევთავაზოთ მათზე დაფუძნებული კლასში შესასრულებელი აქტივობები.

შესაძლებელია შინაარსობრივად და ჟანრობრივად მრავალფეროვანი ტექსტების გამოყენება: თრილერები, დეტექტივები, სამეცნიერო ფანტასტიკა, სასიყვარულო ნოველები – შეგვიძლია შევარჩიოთ ნებისმიერი შინაარსი და ჟანრი მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, რომ ტექსტები იყოს მარტივი, მოსწავლეებისთვის ადვილად გასაგები ენით დაწერილი, თუმცა მათში მოცემული უნდა იყოს ისტორიები, რომლებიც გლობალური

**უცხოური ენის მასწავლებელს
მნიშვნელოვანი აქვს
უკუკავშირით გლობალური
მოქალაქეობის აღზრდასა
და განვითარებაში, რათა
მოსწავლეებმა შეძლონ
უფაქსურად ითანამშრომლონ
დემოკრატიული,
კულტურათოვრილი დიდი
წინაპართაგან. ისინი
მოსწავლეებს უზიარებენ
ანა მხოლოდ დინამიური
და ინტერაქტიული
კომუნიკაციას, რათა მათ
შეძლონ სხვა კულტურის
წინააღმდეგობით
კომუნიკაცია, ანაზე ასევე
ზრუნავს მოსწავლეები
დემოკრატიული დიდი
საზოგადოებრივი და
უნაპრო
განვითარებაზე.**





**მღობადანი მოქალაქეობის
განათლების დანერგვის პროცესში
მნიშვნელოვანია შესაბამისი
თემატიკის ინტეგრირებული და
სტანდარტიზებული მიდგომის
კონსენსუსის აღიარება. ასევე, უნდა
გაითვალისწინოთ ის
პედაგოგიური თუ მეტოლოგიური
მიდგომები, რომლებიც აუცილებლად
უნდა იქნას გამოყენებული ენის
სწავლისას.**



მნიშვნელობის სოციალურ საკითხებს შეეხება და რის შესახებაც შესაძლებელი იქნება დისკუსიების წარმართვა.

ამტიპის აქტივობებს, როგორც წესი, მოსწავლეების ცნობიერება გაჰყავს ერთი კონკრეტული კულტურის, ეთნიკური წარმომავლობის, გენდერისა თუ ენის საზღვრებს მიღმა და შესაძლებლობას გვაძლევს, მოსწავლეებს უკეთ გავაზრებინოთ მათგან განსხვავებული ადამიანების ცხოვრება და გარემო.

კიდევ ერთი საინტერესო მიდგომა არის ამბის თხრობის აქტივობების გამოყენება უცხოური ენის გაკვეთილზე. სხვადასხვა ისტორიის საშუალებით შესაძლებელია მოსწავლეების თვალსაწიერის გაფართოება, მათ მიეცემათ საშუალება საკუთარი თავი წარმოიდგინონ სხვა ადამიანების ადგილას. ეს კი ურთიერთგაგებისა და კონსტრუქციული თანამშრომლობის უნარების განვითარებაში დაეხმარება მათ. ადამიანებს ზოგადად უყვართ ამბების თხრობა და მოსმენა. სწორედ ამბების საშუალებით ხდებოდა კოლექტიური გამოცდილების აკუმულირება კულტურის შიგნით და მისი უნივერსალურ ჭეშმარიტებად გარდაქმნა. ამბების მოსმენის შედეგად მიღებული ინფორმაცია ღრმად ჩაიბეჭდება ადამიანების ცნობიერებაში.

უცხოური ენის მასწავლებლებს შეუძლიათ მოირგონ ამბის მთხრობელის როლი საკლასო ოთახში. ამოირჩიონ ისტორია, რომელიც მათ მოსწავლეებზე იქნება მორგებული და თხრობის დროს მოახდინოს ამბის მოდიფიცირება საჭიროების შესაბამისად. ენის შემსწავლელებს განსაკუთრებით უყვართ კარგად მოთხრობილი ამბების მოსმენა, მათ შეუძლიათ წარმოიდგინონ ყველა დეტალი და მთელი ყურადღებით ჩაერთონ ამბის მსვლელობაში, ამ თვალსაზრისით ამბის თხრობა ორმხრივად შემოქმედებითი პროცესია.

ყველა მოსწავლეს შესაძლოა საკუთარი პასუხი ჰქონდეს მოთხრობილ ამბავთან დაკავშირებით პირადი გამოცდილების, კულტურული მემკვიდრეობის, რწმენის, განწყობისა და ამბის მთხრობელთან თუ სხვა მსმენელებთან ურთიერთობების გათვალისწინებით. გარდა ამისა, რამდენადაც ამბის თხრობა საზოგადოებრივი აქტივობაა, ჯგუფს კოლექტიური პასუხიც ექნება. მარტივი და მიზნობრივი აქტივობების საშუალებით, რომლებიც მოჰყვება ამბის თხრობას, შესაძლებელია გავაზიაროთ პირადი და კოლექტიური პასუხები და ამგვარად მივიღეთ ამბის სრულიად ახლებურ გააზრებასა და სწავლამდე. გლობალური მოქალაქეობის თემატიკის შესაბამისად, ამბები შესაძლოა ეხებოდეს ისეთ საკითხებს, სადაც მოსწავლეები დაფიქრდებიან და იმსჯელებენ, როგორ გავაკეთოთ უმჯობესო სამყარო და გავაუმჯობესოთ საცხოვრებელი გარემო. ამისთვის შესაძლოა გამოვიყენოთ სიუჟეტი, რომლის მიხედვითაც ამბის დასაწყისში მთავარი პერსონაჟი მოხვედრილია ერთი შეხედვით გამოუვალ სიტუაციაში, ამბის ბოლოს კი ყველაფერი მშვიდობიანად სრულდება, რამდენადაც ის მოიძიებს საუკეთესო გამოსავალს. ამბავს აუცილებლად უნდა ახლ-

დეს შემოქმედებითი აქტივობები. ამგვარი აქტივობის დროს არ არის აუცილებელი განსაკუთრებული რესურსი, საკმარისია მოვიფიქროთ შესაბამისი ამბავი, ან მოვიძიოთ უკვე არსებული რესურსებიდან და მოვემზადოთ მოსაყოლად. ამ აქტივობის პროცესში მოსწავლეებს უვითარდებათ წარმოსახვის უნარი, ენობრივი ასპექტები და უყალიბდებათ წარმოდგენები უკეთესი სამყაროს შესახებ. ასევე მათ შეუძლიათ დასახონ სხვადასხვა ცხოვრებისეულ გამოწვევასთან გამკლავების გეგმა. მოსწავლეებს უვითარდებათ შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარები. შეუძლიათ უკეთ ჩამოაყალიბონ საკუთარი მოსაზრება და გაიაზრონ საკუთარი და მეგობრების დამოკიდებულებები სხვადასხვა საკითხთან მიმართებით. მოსწავლეები ამგვარი ამბების საშუალებით იგებენ არა მხოლოდ თავად ამბის შინაარსს, არამედ საკუთარ და მეგობრების ნააზრევსაც, შეუძლიათ შეადარონ ეს ყველაფერი ერთმანეთს. ამგვარი გაზიარება აღრმავებს და ამდიდრებს მათ გამოცდილებას, შეუძლიათ დაფიქრდნენ და გამოიკვლიონ, თავად მათ რა შეუძლიათ გააკეთონ იმისათვის, რომ ადგილობრივი საზოგადოება და მთლიანი სამყარო შეცვალონ უკეთესობისკენ.

გლობალური მოქალაქეობის განათლების დანერგვის პროცესში მნიშვნელოვანია შესაბამისი თემატიკის ინტეგრირებული და ტრანსფორმაციული მიდგომის კონცეპტუალიზაცია. ასევე, უნდა გავითვალისწინოთ ის პედაგოგიკური თუ მეთოდოლოგიური მიდგომები, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული ენის სწავლებისას. მასწავლებლები ამ დროს იყენებენ სწავლების მრავალფეროვან სტრატეგიებს, რომლებიც დაეხმარება მათ მოსწავლეებს მასალის ღრმად შესწავლაში, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და შინაარსის კრიტიკულად გააზრების უნარების განვითარებაში. მასწავლებლები ასევე იყენებენ სპეციფიკურ სტრატეგიებს ლექსიკის, ენის ასპექტების სწავლებისთვის, წერისა და ზეპირმეტყველების უნარების განვითარებისთვის. გლობალური მოქალაქეობის თემატიკა ენის სწავლებას მეტად საინტერესო და შემოქმედებით პროცესად აქცევს.





ნინო წიციშვილი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეროვნულ უმცირესობათა ენების ექსპერტ-კონსულტანტი

XXI საუკუნე – ტექნოლოგიური პროგრესი და საგანმანათლებლო სისტემის ახალი გამოწვევები



21ST CENTURY LEARNING
ოცდაერთე საუკუნის
უნარიანობის მთავრობით
ჩინოვს, რომელიც ხაზს
უსვამს „ინოვაციური უნარებს“
– კრიტიკულ აზროვნებას
და პრობლემების გადაჭრას,
კომუნიკაციასა და
ინოვაციას, კომუნიკაციასა
და თანამშრომლობას და
„სიყვარულის“ ან „კარიერის“
უნარ-ჩვევების დიდ
კომპლექსს.



ახალმა ტექნოლოგიებმა, გლობალიზაციამ, დემოგრაფიულმა პრობლემებმა შეცვალა საზოგადოება. განათლების შედეგები, რომლებიც საკმარისი იყო წინათაობებისთვის, მაგალითად, ზოგიერთი ფაქტის შესახებ ცოდნა, აღარ არის საკმარისი იმისათვის, რომ ჩვენს დროში წარმატებული გახდეს. კრიტიკული აზროვნება, სხვებთან თანამშრომლობის უნარი, პრობლემების გადაჭრა, სოციალური უნარები დამსაქმებლებმა და განათლების მკვლევარებმა აღიარეს, როგორც XXI საუკუნის განათლების მთავარი სამიზნე ნიშნული. განათლების სისტემამ შეცვალა თავისი მიზნები და ის მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამებში უნარების უფრო ფართო სპექტრს. იუნესკოს მიერ მიღებულმა მთავარმა საერთაშორისო დოკუმენტმა განსაზღვრა „მდგრადი განვითარების მიზნები“, ასევე კოგნიტური, სოციალურ-ემოციური და ქცევითი სწავლების შედეგები. მთელ მსოფლიოში აქტუალურია საგანმანათლებლო დღის წესრიგი, რომელიც მიზნად ისახავს სკოლის განათლების ტრადიციული ორიენტაციიდან გადასვლას საგნობრივი ცოდნისა და უნარების ურთიერთკავშირის ჩამოყალიბებაზე XXI საუკუნის ძირითადი კომპეტენციების ჩამოყალიბებისთვის საჭირო პირობების შესაქმნელად.

21st Century Learning ოცდამეერთე საუკუნის უნარებისთვის გთავაზობთ ჩარჩოს, რომელიც ხაზს უსვამს „ინოვაციურ უნარებს“ – კრიტიკულ აზროვნებას და პრობლემების გადაჭრას, შემოქმედებითობასა და ინოვაციას, კომუნიკაციასა და თანამშრომლობას და „სიცოცხლის“ ან „კარიერის“ უნარ-ჩვევების დიდ კომპლექსს. მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე მოხსენებამ „ახალი სახე განათლებაში“ წარმოადგინა ახალი მოდელი. განვითარების ეტაპები იყოფა სამ ტიპად: ძირითადი წიგნიერება, კომპეტენცია და ხასიათის თვისებები.

ამ მოდელის ცენტრალურ ნაწილს იკავებს “4K” კომპეტენციები: კრეატიულობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია და კოლაბორაცია (ინტერაქცია და თანამშრომლობა). ცნობილია მთელი რიგი კვლევები, რომელთა მიზანი იყო იმის გარკვევა, თუ რა არის ასახული გარკვეული ქვეყნების ეროვნულ საგან-

მანათლებლო დღის წესრიგში. ერთ-ერთი მათგანი ჩატარდა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებში, რომელთა შორის არიან განათლების თანამედროვე ლიდერები – ჰონგ კონგი, სამხრეთ კორეა, სინგაპური, იაპონია, ვიეტნამი, რომელიც საგანმანათლებლო მიღწევების მსოფლიო რეიტინგში სწრაფად ვითარდება. მკვლევარებმა შეისწავლეს დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავს ამ ქვეყნების საგანმანათლებლო პოლიტიკასა და საგანმანათლებლო სტანდარტებს და დაადგინეს ყველაზე პოპულარული კომპეტენციები, ღირებულებები, დამოკიდებულება და სხვა საგანმანათლებლო შედეგები, რომლებიც უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლეებში. მათ შორის, პირველ პოზიციებზე გვხვდება კრიტიკული და ინოვაციური ან შემოქმედებითი, საკუთარი თავის მართვისა და სხვებთან ურთიერთობის უნარები. ერთ-ერთმა უახლესმა და ყველაზე ამბიციურმა კვლევამ, რომელიც ჩატარდა 152 ქვეყანაში, აჩვენა, რომ ყველაზე ხშირად დოკუმენტებში, რომლებიც განსაზღვრავს განათლების განვითარების მიმართულებასა და მის შინაარსს, ისეთი კომპეტენციებია, როგორებიცაა: კომუნიკაცია, კრეატიულობა, კრიტიკული აზროვნება და პრობლემების გადაჭრა.

XXI საუკუნის უნარები მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ სკოლის მოსწავლეებს განათლებისა და აღზრდის პროცესში შეუძლიათ შეიძინონ ისეთი უნარები და კომპეტენციები, რომლებიც მათ დაეხმარება წარმატებით, ადვილად მოერგონ სხვადასხვა ვითარებას.

დღეს, ინფორმატიზაციის საუკუნეში, როდესაც თანამედროვე სამყარო სწრაფად იცვლება და მრავალი სიახლე იქმნება, ჩვენ არაერთი პრობლემის წინაშე ვდგავართ. პირველ რიგში, ინფორმაცია, რომელსაც ადამიანი იღებს, მრავალფეროვანია და ყოველთვის არ შეესაბამება რეალობას. მეორეც, ცოდნა და უნარები, რომლებიც ჩვენ ავითვისეთ, დროთა განმავლობაში იცვლება/ძველდება და ყოველთვის არ გვაძლევს საშუალებას მივიღოთ ის შედეგი, რომელიც აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს.

თანამედროვე განათლებას შეუძლია ამ პრობლემების მოგვარება. 21-ე საუკუნის ძირითადი უნარ-ჩვევებია:

- კრიტიკული და ლოგიკური აზროვნება,
- ინოვაციური და შემოქმედებითი მიდგომა პრობლემების გადაჭრაში;
- კომუნიკაციების შექმნისა და თანამშრომლობის უნარი;
- გუნდური მუშაობა.

XXI საუკუნის უნარებისა და კომპეტენციების შეფასებისა და სწავლების საერთაშორისო სამეცნიერო პროექტის ხელმძღვანელის, მელბურნის უნივერსიტეტის პროფესორის პატრიკ გრიფინის თქმით, უახლოეს მომავალში უნდა ველოდოთ ფუნდამენტურ ცვლილებებს მთელ განათლების სისტემაში, რაც გამოიწვევს ცვლილებას სასწავლო გეგმებში, როგორცაა ტრადიციულ დისციპლინებში თანდათან კონკრეტული საგნის შინაარსიდან მოსწავლის უნარებისა და პიროვნული თვისებების განვითარებაზე გადასვლა. ის ხაზს უსვამს, რომ შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კრიტიკული აზროვნება არ გაჩნდა პოსტინდუსტრიულ ეპოქაში, მაგრამ სწორედ მის მოსვლასთან ერთად ეს უნარები გახდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, დაახლოებით ისევე, როგორც კითხვა, წერა და არითმეტიკა. შესაბამისად, 21-ე საუკუნის უნარები მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ განათლებისა და აღზრდის პროცესში სკოლის მოსწავლეებს შეეძლოთ ისეთი შესაძლებლობებისა და კომპეტენციების შეძენა, რომლებიც მათ დაეხმარება წარმატების მიღწევაში, იმაში, რომ თავისუფლად იმუშაონ გუნდში, ითანამშრომლონ და დაამყარონ კომუნიკაცია, შეძლონ ლოგიკურად

ფიქრი და, ამავე დროს, იპოვონ საგანმანათლებლო-პრაქტიკული და საგანმანათლებლო-შემეცნებითი პრობლემების გადაჭრის არასტანდარტული მიდგომები. ეს ეხება როგორც ტექნიკურ, ასევე ჰუმანитарულ მიმართულებებს.

დიდი ცვლილებებისა და ტოტალური დიგიტალიზაციის სამყაროში ჰუმანитарული მეცნიერებები არ შეიძლება დარჩეს ისეთივე, როგორიც იყო 100, 50 ან თუნდაც 10 წლის წინ. ენათმეცნიერებაში, ფილოლოგიაში, ისტორიაში, ხელოვნების ისტორიაში დღეს ხდება „ციფრული შემობრუნება“. ტექნოლოგიების განვითარების წყალობით ჩნდება კვლევის ახალი ობიექტები: მილიონობით ტექსტური კოლექცია, ისტორიულ მონაცემთა ბაზები, ციფრული არქივები, ელექტრონული მუზეუმები. ეს ობიექტები შეიცავს უამრავ ინფორმაციას ენის, კულტურისა და საზოგადოების შესახებ, მაგრამ მათი ადეკვატურად შესწავლა შეუძლებელია ჰუმანитарული მეცნიერებების ტრადიციული მეთოდებით. „ციფრული შემობრუნება“ ფუნდამენტურად ახალ კვლევით კომპეტენციებს მოითხოვს.

„ციფრული რევოლუცია“ ძირეულად გარდაქმნის როგორც სამეცნიერო, ისე საგანმანათლებლო ლანდშაფტს. ამჟამად საბუნებისმეტყველო, ტექნიკური, სოციალური და ჰუმანитарული მეცნიერებები, ფაქტობრივად, თანაბრად იყენებენ უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიების შესაძლებლობებს. კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებამ გარკვეულწილად გავლენა მოახდინა არსებული პრობლემების გადაჭრაზე, რომლებიც აქამდე უბრალოდ ტექნიკურად ვერ გადაიჭრებოდა. დაიწყო ახალი ტექნოლოგიების გამოყენება ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად, ინფორმაციის ვიზუალიზაციისთვის, მონაცემთა ბაზების, ელექტრონული ბიბლიოთეკებისა და გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების შესაქმნელად. სამეცნიერო ინოვაციები ხელს უწყობს ინტერდისციპლინური კვლევის განვითარებას, ახალი სამეცნიერო პროექტებისა და ინტერნეტ-რესურსების შექმნას და მკვლევარის საგნობრივ სფეროსთან ურთიერთქმედების ხასიათის ცვლილებას. ტექნოლოგიურმა სასწავლო პროცესმა მკვლევართა წინაშე დააყენა საკითხი. რომ სასწავლო პროცესის მხარდასაჭერად ინფორმაციული ტექნოლოგიებით გათვალისწინებული შესაძლებლობები გააანალიზონ.

ციფრული მეთოდების გამოყენება პედაგოგიურ განათლებაში მიზნად ისახავს სისტემატიზებული ცოდნის ჩამოყალიბებას, ახალი კვლევის მიდგომების გამოყენების შესაძლებლობებსა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას ისტორიაში, ფსიქოლოგიაში, პედაგოგიაში, ლიტერატურულ კრიტიკაში, კულტურის კვლევებში, სოციოლოგიაში და ჰუმანитарულ მეცნიერებათა ციკლის სხვა მეცნიერებებში; ასევე, ინფორმაციის მოპოვების მეთოდების გამოყენების, მონაცემთა ანალიზისა და ვიზუალიზაციის, სტატისტიკური მოდელების აგების, კომპიუტერული ტექსტის დამუშავების, სამეცნიერო და საგანმანათლებლო რესურსების შექმნის უნარების განვითარებას.

ციფრული რესურსების გამოყენებით სარგებელს იღებს როგორც მოსწავლე, ასევე მასწავლებელი და, რაც მთავარია, სწავლა-სწავლება ხდება სახალისო, შემოქმედებითი და ხარისხიანი. მნიშვნელოვანია, გავარკვიოთ, რა დოზით არის ჩართული ციფრული რესურსები სწავლა-სწავლებაში, როგორ მოქმედებს მათი გამოყენება სწავლა-სწავლების ხარისხზე, რა პრობლემები ახლავს ამ ჩართვას და როგორ შეიძლება მათი მინიმუმამდე დაყვანა.

რა ხდება ამ მიმართულებით დაწყებით საფეხურზე? ამ კითხვაზე პასუხი ეროვნულ სასწავლო გეგმაშია. ბოლო წლებია, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს გაკვეთილებზე ტექნოლოგიების გამოყენების მეტი შესაძლებლობა აქვთ. თუკი ადრე ძირითად ცოდნას ისტ-ის მიმართულებით მოსწავლეები იღებდნენ დაწ-

ყებითი საფეხურის მე-5 და მე-6 კლასებში, ახალი ესგ-ს შესაბამისად, ეს საგანი ისწავლება პირველიდან მე-6 კლასის ჩათვლით. მუშაობის ძირითადი გზები კომუნიკაცია და თანამშრომლობა, ხოლო მუშაობის ინსტრუმენტები – ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობა.

ეს ცვლილებები ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საბუნებისმეტყველო და მათემატიკის, არამედ უცხოური და მშობლიური ენების სწავლა-სწავლების პროცესში.

რა ტექნიკების, მეთოდებისა და ტექნოლოგიების ათვისებაა ყველაზე პროდუქტიული სკოლაში ენების სწავლებისას?! ბოლო დროს პროექტული სწავლების მეთოდი ძალიან პოპულარული გახდა. დაწყებითი საფეხურიდანვე მოსწავლეები ასრულებენ პროექტებს სხვადასხვა თემაზე. თუმცა მნიშვნელოვანია, მასწავლებელი იყოს მომზადებული ამ მეთოდის სწორად წარმართვისთვის და არ შემოიფარგლებოდეს ისეთი დავალებებით, რომლებიც ხშირად მოსწავლეს აიძულებს მიმართოს ე.წ. პლაგიატს.

მცირე ინდივიდუალური პროექტები ნელ-ნელა გადაიზრდება კვლევით მუშაობაში. მოსწავლეები პრაქტიკულად განიხილავენ და სწავლობენ პრეზენტაციების შექმნის უმარტივეს ტექნიკას: სურათის, მაგიდების, დიაგრამების ჩასმას, პრეზენტაციაში ანიმაციისა და დიზაინის დაყენებას და სხვ. ასეთი სამუშაო სასარგებლო იქნება ყველა მოსწავლისთვის, რადგან ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება მნიშვნელოვანია ნებისმიერი თანამედროვე სპეციალისტისთვის. დაწყებით სკოლაში თანამედროვე გაკვეთილი არის მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთქმედების ადგილი, სადაც ბავშვები საგანმანათლებლო პროცესის აქტიური მონაწილეები ხდებიან. ასეთ გაკვეთილებზე მოსწავლეებს უვითარდებათ აზროვნება, თანამშრომლობისა და კომუნიკაციის უნარი, სწავლობენ ინფორმაციის დამუშავებას, ქმნიან და წარადგენენ შედეგს.

რა ხდება შემდეგ, საბაზო საფეხურზე, სადაც ციფრული რესურსების გამოყენება უფრო ინტენსიური ხდება და დაწყებით საფეხურზე წამოწყებული „მცდელობები“ სერიოზულ ეტაპზე უნდა გადავიდეს?!

პასუხის პოვნა შესაძლებელია ეროვნულ სასწავლო გეგმაში, კერძოდ, ამ დოკუმენტის საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, საგნობრივი შედეგების გარდა, გამჭოლი უნარები და ღირებულებებია. მათ შორის, გავამახვილებდი ყურადღებას ერთ-ერთზე, კერძოდ, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებაზე, რომელიც მოიაზრებს შემდეგ კომპეტენციებს:

- საძიებო სისტემაში (მაგ.: ებსკო, ელსევიარი) პერიოდიკის მოძიება;
- Google Map-ში ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებული, ონლაინ რუკების შექნა და მათი ინტერნეტის საშუალებით გავრცელება.



21-ე საუკუნის უნარები მოწოდებს ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ განათლებისა და აღზრდის პროცესში სკოლის მოსწავლეს შეაქვას ისეთი შესაძლებლობებისა და კომპეტენციების შექმნა, რომლებიც მათ დახმარება ნაჩვენებიათ მიღწევაში, იმაში, რომ თავისუფლად იმუშაონ გუნდში, ითანამშრომლონ და დაამყარონ კომუნიკაცია, შეძლონ დოკუმენტის უზიარო და, ამავე დროს, იკონტროლონ საგანმანათლებლო-პედაგოგიური და საგანმანათლებლო-მეცნიერებითი პრობლემების გადაჭრის ანგარიშგამართლი მიდგომა.





**სიუჟეტი ჩასწავლის
გამოყენებით სწავლას
იღებს როგორც მოსწავდე,
ასევე მასწავლებელი და,
ჩაუთავაზია, სწავლა-
სწავლება ხდება სახელისო,
გამოქვეყნებითი და
ხანისხიანი.**



- საძიებო სისტემაში (მაგ., გუგლი) სხვადასხვა ტიპის (მაგ., ინტერაქტიული და ა.შ.) თემატური ელექტრონული რუკების მოძიება;
- ისტორიული შინაარსის ელექტრონული ტექსტების (მაგ., ვიკიტექსტების) შექმნა და ატვირთვა;
- სპეციფიკური შინაარსის დიაგრამებთან და გრაფიკებთან მუშაობა (მაგ., ტერიტორიული, დემოგრაფიული, საზოგადოებრივი განწყობების ზრდა-კლების და ა.შ.) ექსელის საშუალებით;
- ვებგვერდის/ბლოგის შექმნა და სასწავლო პროცესის განმავლობაში განხორციელებული სხვადასხვა პროექტის ვებგვერდზე/ბლოგზე განთავსება;
- სხვადასხვა მონაცემის დამუშავება, გრაფიკების და დიაგრამების აგება „ექსელში“;
- Google Map-ზე სხვადასხვა გეოგრაფიული ობიექტის დატანა;
- გეოგრაფიული არეალის გაზომვა Google Earth-ის საშუალებით;
- ვიდეო პრეზენტაციის მომზადება Google Earth-ის საშუალებით;
- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება (მაგ., Word, PowerPoint) სასწავლო მასალისა და სხვადასხვა ტიპის ელექტრონული ტექსტების დასამუშავებლად და სხვ.

როგორაა შესაძლებელი ამ კომპეტენციების განვითარება მოსწავლეებში, თუ ეს პრობლემას წარმოადგენს თვითონ მასწავლებლისთვის?! პრობლემას ჩვენ განვიხილავთ არა მხოლოდ ცოდნა-არცოდნის ტრილში, აქ მნიშვნელოვანია ციფრული რესურსების მნიშვნელოვნება დაინახოს თვით მასწავლებელმა და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მოხდება სწორი კომუნიკაცია მოსწავლესა და მასწავლებელს შორის.

არსებული კვლევებითა და ინტერვენციების შედეგების გაანალიზებით დგინდება, რომ იმ პედაგოგებისა და მოსწავლეების რაოდენობა, რომლებიც ონლაინ რესურსებს იყენებენ სწავლა-სწავლებაში, ბოლო წლებში საკმაოდ გაიზარდა. მნიშვნელოვნად ამაღლდა სწავლა-სწავლების ხარისხიც, რაც პირდაპირ უკავშირდება ონლაინ ინსტრუმენტების ჩართვას როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე არაფორმალურ სწავლებაში. თუმცა, ყურადღებამისაქცევია პრობლემებიც, ესაა: დროის დეფიციტი; საკლასო ოთახები არ არის აღჭურვილი კომპიუტერით და პროექტორით; შესაბამისი კომპეტენციების არასათანადო დონე, მრავალრიცხოვან კლასები, სადაც რთულია მათი გამოყენება, ხაზგასასმელია მოტივაციის დაბალი დონე, ონლაინ ინსტრუმენტები ხშირად ფასიანია; დაბალსიჩქარიანი უხარისხო ინტერნეტი, ზოგიერთი ინსტრუმენტი საერთოდ არ ირთვება; მოძველებულია კომპიუტერული ლაბორატორიის ტექნიკური ბაზა.

ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად საჭიროა სასკოლო საზოგადოების მუდმივი ინფორმირებულობა ონლაინ რესურსების შესახებ, ახალი რესურსე-

ბის შექმნაში ხელშეწყობა, ტრენინგებზე მიღებული ცოდნის მყისიერად გამოყენება, თითოეული საკლასო ოთახის აღჭურვა ინტერნეტში ჩართული კომპიუტერთა და პროექტორით, სკოლის უზრუნველყოფა მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით, კომპიუტერული ლაბორატორიის ტექნიკური განახლება, ონლაინ რესურსების სწავლა-სწავლებაში აქტიური გამოყენება დაბალი კლასებიდანვე, წარმატებულ მოსწავლეთა და მასწავლებელთა წახალისება.

აუცილებელია ონლაინ რესურსების მაქსიმალური ჩართვა სწავლა-სწავლებაში, რადგან ის სწავლების ახალი, კომფორტული, არატრადიციული, საინტერესო და საჭირო ფორმაა, რომელიც ზრდის პედაგოგის პროფესიულ და მოსწავლის შემოქმედებით უნარებს, ეხმარება მათ ინოვაციების გაცნობა-გაზიარებაში. უშუალო კომუნიკაცია და დადებითი ემოციური ფონი ზრდის ბავშვის მოტივაციასა და ინდივიდუალურობას, სწავლება ხდება მრავალფეროვანი.

მსოფლიო მასშტაბით საზოგადოებები ცდილობენ, ფეხი აუწყონ ტექნოლოგიურ პროგრესსა და გლობალიზაციას, საგანმანათლებლო სისტემებს ახალ გამოწვევებთან უწყვეტ გამკლავება, რაც თავისთავად გულისხმობს სირთულეებსა და გაურკვევლობას, მეტ ინდივიდუალიზმსა და სოციალურ მრავალფეროვნებას, ეკონომიკური და კულტურული ერთგვაროვნობის განვრცობას. საზოგადოებებს ხელი მიუწვდებათ უამრავ ინფორმაციაზე, რომლებიც ელვის სისწრაფით ვრცელდება. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გარემოება მოითხოვს შემოქმედებით მიდგომასა და თვითორგანიზებულ მოქმედებას, ვინაიდან სიტუაციათა კომპლექსურობა გამორიცხავს მათ მოგვარებას პრობლემის გადაჭრის მხოლოდ ძირითადი და ჩვენთვის კარგად ნაცნობი პროცესებით, სადაც მოვლენათა განვითარება მკაცრად ექვემდებარება წინასწარ შედგენილ გეგმას. კონკურენტუნარიანი და პასუხისმგებელიანი მოქალაქის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია საგანმანათლებლო სისტემის მდგრადი განვითარების კომპეტენციების უზრუნველსაყოფად საჭირო პედაგოგიური პრაქტიკის დანერგვა.



ბიბლიოგრაფია

1. <http://ncp.ge/> ეროვნული სასწავლო გეგმა – 2018- 2024 წ.წ.
2. Evdokimova O.V., Kolobov A.N., – USING DIGITAL TECHNOLOGIES FOR TEACHING HUMANITIES IN PROFESSIONAL EDUCATION
3. Verbitsky A. A. Cifrovoe obuchenie: problemy, riski i perspektivy [Digital learning: problems, risks and prospects.
4. Fleer, M. (2011). Technologically constructed childhoods: Moving beyond a productive and critical view of curriculum development. Australian Journal of Early Childhood 36 (1), 16–24.
5. <http://mastsavlebeli.ge/?p=29926>



ლიანა სიდამონიძე

ფილოლოგიის დოქტორი,
პროფესორი

მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაცია და ინტერმეტატეკა



**ინფორმაციის მუდმივად
ზრდის ნაკადი და მისი როლი
მყინობიერ სპარტაქს სპეციალური
მოთხოვნის თანამედროვე
აღმავლისგან ისეთ უნარს,
როგორცაა ინტერპრეტაციული
კომპეტენცია, რომელსაც
ჩვენ აღვივებთ როგორც
მისწრაფებს (მოტივაციურიდან
საფიქრობებამდე).**



გაჯეტებმა სრულად დაიპყრო სამყარო, ჩვენ, უფროსებს კი მხოლოდ ისლა დაგვრჩენია, ხელები გავშალოთ და ვთქვათ: „ღმერთო ჩემო, ისინი საერთოდ აღარ კითხულობენ!“ სიმართლეა თუ არა ეს? როდესაც ამ ფაქტის სერიოზულად აღქმას დავიწყებთ, აღმოჩნდება, რომ ბავშვები ნამდვილად არ კითხულობენ სასკოლო პროგრამულ ნაწარმოებებს, თუმცა ისინი საკმაოდ დიდი ენთუზიაზმით უზიარებენ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს ახლად წაკითხული ფანტასტიკის ჟანრის წიგნების შესახებ. თანამედროვე ბავშვები ვიზუალების თაობის წარმომადგენლები არიან, რომლებიც ადვილად აღიქვამენ ინფორმაციას სურათების, დიაგრამებისა და ვიდეოების საშუალებით, თუმცა რთულად სწვდებიან წაკითხულის შინაარსს. ჩვენ სხვა გზა არ დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ ვისარგებლოთ ამ ფაქტით და შევცვალოთ მიდგომები ლიტერატურული ნაწარმოებების შესწავლის პროცესში. უპირველეს ყოვლისა, ვაჩვენოთ მოსწავლეებს, რომ ცხოვრება ერთგვარი ინტერტექსტია, ეს არის რეალობა, რომლის სწორად ინტერპრეტაციაც უბრალოდ უნდა ისწავლონ.

როგორ ვასწავლოთ ბავშვებს ტექსტის სწორად ინტერპრეტაცია?

როგორც პრუსტმა თქვა, სიცოცხლე დროში ძალისხმევაა. რაც იმას გულისხმობს, რომ თქვენ უნდა შეეცადოთ იყოთ ცოცხალი და მუდმივად ფეხი აუწყოთ დროს (შეესაბამებოდეთ მას). ბუნებამ ადამიანს სამყაროს აღქმისა და გარდაქმნის, ასევე მისი შეცვლის და ახალი რეალობის შექმნის შეუზღუდავი უნარი მიანიჭა. ინფორმაციის მუდმივად მზარდი ნაკადი და მისი როლი მყისიერად ცვალებად სამყაროში მოითხოვს თანამედროვე ადამიანისგან ისეთ უნარს, როგორიცაა ინტერპრეტაციული კომპეტენცია, რომელსაც ჩვენ აღვიქვამთ როგორც მისწრაფებას (მოტივაციურიდან საჭიროებებამდე). მოდიოთ შევხედოთ ამ ყველაფერს მარკეტინგული პროცესის თვალსაზრისით. ინტერპრეტაციის პროცესის ღია, ღირებულებით-სემანტიკური ხასიათი, ფოკუსი შედეგობრივი პროდუქტის მიღებაზე საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ ინტერპრეტაცია, როგორც ადამიანის საემიანობის უნივერსალური ტიპი, რომელიც დაკავშირებულია კომუნიკაციასთან და შემოქმედებასთან, რომელსაც საფუძვლად უდევს რეფლექსია, თვითგამოხატვა,

დიალოგი. საბავშვო ლიტერატურის სწავლებისას უნდა დავრწმუნდეთ, რომ ნებისმიერი ინფორმაცია ხდება ინტერპრეტაციული პროცესის ობიექტი (საგანი). წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვი უბრალოდ არ წაიკითხავს.

ეს ფაქტორი უნდა გაითვალისწინონ სახელმძღვანელოებზე მომუშავე ჩვენმა მეთოდოლოგებმა. მეთოდოლოგიურად ინტერტექსტი დაკავშირებულია იმერსიული კითხვის კონცეფციასთან, რომელიც ბერლინის ტექნიკიდან გამომდინარეობს და რომლის პრინციპიც, თავის მხრივ, ტექსტში ჩაძირვა და ტექსტთან ინტერაქციაა.

შემოქმედებითი ნაშრომის მკითხველის მიერ ინტერპრეტაციის პროცესი მოიცავს ტექსტის მნიშვნელობის სიღრმისეულ გაგებას, ღირებულებების აღქმას და „უკუკავშირის“ არსებობას (ცხოვრება – მკითხველი – ნაშრომი – ავტორი წარმოადგენს სასწავლო პროცესის შეუცვლელ პირობას).

რას მივიღებთ საბოლოო ჯამში?

- მოზარდის მთავარი შენაძენი საკუთარი შინაგანი სამყაროს აღმოჩენაა.
- ლიტერატურაში უფროსი მოზარდები ეძებენ პასუხებს თავიანთ კითხვებზე.
- აღქმა ხდება პირადი და სუბიექტური.
- ხდება ყურადღების გამახვილება ცალკეულ მოტივზე, რომელიც ახლოს დგას მოზარდის შინაგან სამყაროსთან.
- ავტორის პოზიცია ვიწროვდება საკუთარი გამოცდილების დონემდე. სწორედ აქ მყარდება ავტორისა და მოსწავლე-მკითხველს შორის კონტაქტი.

ყურადღება უნდა მიექცეს ტექსტთან მუშაობას კითხვის დაწყებამდე, რაც მიზნად ისახავს მომავალში კითხვის პროგნოზირებას და მოტივირებას. მიმაჩნია, რომ ამ მხრივ მასწავლებელმა, როგორც შუამავალმა მოსწავლესა და ტექსტს შორის, უნდა შექმნას პირობები ინტერპრეტაციული პროცესების გააქტიურებისა და ურთიერთკავშირისთვის, რათა მოსწავლე-მკითხველს განუვითარდეს წაკითხულ ტექსტის შეგრძნების ჩვევა.

აქვე უნდა აღვნიშნო ისიც, რომ იმ რეალობის გათვალისწინებით, რომელშიც ჩვენ აღმოვჩნდით, ჩემი აზრით, ჩვენი ტაქტიკა ასეთი უნდა იყოს: ჩვენ, მასწავლებლებს, არ გვაქვს შესაძლებლობა, რომ სრულად გავიაროთ მოცულობითი ლიტერატურული ნაშრომები, თუმცა შეგვიძლია, ხელი შევუწყოთ მოსწავლეს, რომ ჰქონდეს ამის დამოუკიდებლად გაკეთების მოტივაცია, ამიტომ ჩვენი ყველა შემდგომი ნაბიჯი სწორედ ამისკენ უნდა იყოს მიმართული.

მეთოდოლოგიურად ეს მიიღწევა სწავლების სხვადასხვა თანამედროვე ტექნიკით, როგორებიცაა: აზროვნების რუკები (Mental maps), თხრობა (Storytelling), მხატვრული ალუზიების მეთოდი, სინქვეინები და ა.შ.

ეს მიდგომა ეხმარება მასწავლებელს იმუშაოს იმ ინფორმაციასთან, რომელსაც ლიტერატურული ტექსტი შეიცავს, ისწავლოს ფაქტობრივი ინფორმაციის,

”

საბავშვო ლიტერატურის

სწავლებისას უნდა

დავწვანდეთ, რომ ნებისმიერი

იწონიერება სწავლა

ინტერაქციული პროცესის

ობიექტია (საგანი).

ენის სწავლება უნდა მოხდეს,

ბავშვი უნდა იყოს ან

წაკითხავს.

“



**მე, მასწავლებელი, ვარ მხოლოდ
მოქალაქე, დანაწილნი
მოსწავლე დამოუკიდებლად
აკეთებს, თუმცა მაშინ,
როდესაც უფრო მეტი
მოქალაქის სწავლით,
რომლის ინსტიტუტის
პატივსაცემი უნდა იყოს.**



ქვეტექსტისა და კონცეპტუალური ინფორმაციის გამოყოფა. ცალკეული ელემენტების მნიშვნელობის გააზრებისას მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს, შემდგომის იწყებს შედარებას, მოვლენათა შორის ურთიერთკავშირის დანახვას და შემდგომში დამოუკიდებლად იღებს ტექსტის მნიშვნელობას.

მე, მასწავლებელი, ვარ მხოლოდ მოდერატორი, დანაწილნი მოსწავლე დამოუკიდებლად აკეთებს, თუმცა მაშინ, როდესაც უფრო მეტი მოქმედების სურვილი, რომლის ინიციატორიც პედაგოგი უნდა იყოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის იღებს იმპულსს, თუ გნებავთ, ინტერესს, ინტრიგას და შემდგომ აგრძელებს გზას მასწავლებლის მიერ გაკვალულ ბილიკზე.

სწორედ ამაში მდგომარეობს პედაგოგის მისია: ასწავლოს მოსწავლეს აზროვნება. ამიტომაც, პედაგოგი აკეთებს აქცენტს სამ ფაქტორზე: გამოწვევა, გააზრება და რეფლექსია.

გამოწვევა – ეს არის არსებული ცოდნის აქტუალიზება; ახალი ინფორმაციის მიღების ინტერესის გაღვივება; მოსწავლის მიერ სწავლების ამოცანების დამოუკიდებლად განსაზღვრა.

შინაარსის გააზრება – ახალი ინფორმაციის მიღება;

რეფლექსია – აზროვნება, ახალი ცოდნის დაბადება; მოსწავლის მიერ სწავლების ახალი მიზნების განსაზღვრა.

თავად სკოლაში ლიტერატურის შესწავლის დიალოგური პრინციპი მოსწავლეს აძლევს შესანიშნავ შესაძლებლობას მხატვრული ნაწარმოების ინტერპრეტაციის ასპექტში მიაღწიოს თვითშემეცნებას, უცხო კულტურის მიღებას საკუთარის კონცეფციის საშუალებით. მიგვაჩნია, რომ სწორედ ინტერპრეტაციული აქტივობის პროდუქტიულობა თითოეულ ეტაპზე (აღქმა–ანალიზი–ფაქტობრივი ინტერპრეტაცია) უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ ტექსტის გაგების განვითარებას: თითოეული ეტაპი ქმნის საკუთარ პროდუქტს, რომლის საფუძველზეც ხდება დიალოგური მოძრაობა. ამ მხრივ, მასწავლებელმა, როგორც დროებითმა შუამავალმა მოსწავლე-მკითხველსა და ტექსტს შორის, უნდა შექმნას ინტერპრეტაციული პროცესების გააქტიურებისა და ურთიერთდაკავშირების პირობები, რათა მოსწავლე-მკითხველში განავითაროს წაკითხულის შეგრძნებისა და გააზრების – ტექსტზე რეაგირების ჩვევა. უფრო მეტიც, ინტერპრეტაციული უნარის სწავლების ეს პრინციპი შეიძლება ჩაითვალოს სხვა ჰუმანიტარული დისციპლინების სწავლების მოდელების შექმნის საფუძვლად.



დსოღვიდი ბავშვები სკოლაში, პრობლემები და მათი გადაჭრის გზები **გერმანული მოღაღის მაგალითზე**



ნათუნა გვაღიშვილი

მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრის
გერმანული ენის
ექსპერტ-კონსულტანტი

უკანასკნელ წლებში საქართველოსთვისაც უცხო არ არის ლტოლვილი და მიგრანტი მოსწავლეების პრობლემა. ამ პრობლემებთან გამკლავება და უცხოელი ბავშვების ინტეგრაცია სასწავლო პროცესში ჩვენი სკოლების მასწავლებლებსაც უწევთ. ვიმედოვნებ. საინტერესო იქნება მათთვის გერმანელი კოლეგების მაგალითი და გამოცდილების გაზიარება.

როგორ არიან ლტოლვილები ინტეგრირებული გერმანიის განათლების სისტემაში? რა სირთულეებს აწყდებიან მასწავლებლები და მშობლები, ხელი-სუფლება, სკოლის დირექცია და სამინისტროები? რა რეფორმებია საჭირო? ამ საკითხების შესახებ თავის გამოცდილებას გვიზიარებს გერმანიის ერთ-ერთი პატარა სკოლის პედაგოგი, რომელიც ანონიმურად დარჩენას არჩევს.

დაწყებით სკოლაში, რომელშიც მასწავლებელი მუშაობს, ირიცხება 59 მოსწავლე. სასწავლო წლის დასაწყისში პირველი კლასი დაკომპლექტდა 20 გერმანელი მოსწავლით, თუმცა მათ მომდევნო თვეებში დროის არარეგულარული ინტერვალებით შეუერთდნენ ლტოლვილი ბავშვები ისეთი ქვეყნებიდან, როგორებიცაა: სირია, ავღანეთი, სერბეთი, არაბული და აფრიკის ქვეყნები და ამასობაში აღნიშნულ მასწავლებელს 26-28 მოსწავლე ჰყავს დაწყებით კლასში.



**როგორ არიან დსოღვიდები
ინტეგრირებული გერმანიის
განათლების სისტემაში?
რა სირთულეებს აწყდებიან
მასწავლებლები და მშობლები,
ხელისუფლება, სკოლის დირექცია
და სამინისტროები? რა
რეფორმებია საჭირო?**



სასწავლო პროცესს ხელი არ უნდა შეუშალოს

აღმოჩნდა, რომ ახალბედები არ საუბრობენ გერმანულად, მხოლოდ რამდენიმე ლაპარაკობს ინგლისურად. ზოგიერთ ბავშვს სამშობლოდან გამოქცევისას ბევრი საშინელების გადატანა მოუწია, ისინი უარს ამბობენ საუბარზე და ემოციურადაც დაძაბულები არიან. დღე იწყება გერმანული ენის გაკვეთილით: ზოგიერთმა მოსწავლემ უკვე იცის ანბანის დიდი ნაწილი, ზოგმა მხოლოდ რამდენიმე ასო, ზოგი კი საერთოდ არ იცნობს ლათინურ ანბანს. მაგრამ სასწავლო პროცესი როგორღაც უნდა გაგრძელდეს, უნდა გაგრძელდეს დაუზარელი შრომით, ურთიერთდახმარების მზადყოფნით და პოზიტიური მიდგომებით სკოლის და ასევე სკოლისგარე ერთობლივ ცხოვრებაში.

დასაწყისი პრასდონს ანის მარტო

აღნიშნული დაწყებითი სკოლის ბევრი თანამშრომელი მოგვითხრობს თავდაპირველი სირთულეების შესახებ. პრობლემები განსაკუთრებით სოფლებს შეეხო, სადაც სკოლები წლებია ებრძვიან მოსწავლეთა კლებად რიცხვს და უცებ მოუწიათ მოსწავლეთა მყისიერად გაზრდილ რიცხვთან გამკლავება. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური უწყებები თეორიულად ელოდნენ იძულებით გადაადგილებულთა მზარდ რიცხვს, პრაქტიკაში, როგორც ეს ხშირად ხდება, მაინც იმპროვიზებული პროცესი უფრო აღმოჩნდა, ვიდრე კარგად დაგეგმილი.

ახალი მიდგომა

ლტოლვილთა რუტინული რეგისტრაციის შემდეგ ბავშვები ნაწილდებიან სკოლებში. ამასთან (ისევე როგორც სხვა საგანმანათლებლო საკითხებთან) დაკავშირებით გერმანიაში მიწების მიხედვით სხვადასხვა მოდელი მოქმედებს. ზემოთ აღნიშნულ სკოლაში დირექტორს თავიდან ძალიან მწირი ინფორმაცია ჰქონდა. მისი თქმით, მათ მხოლოდ ის იცოდნენ, რომ ლტოლვილი ბავშვები შემოუერთდებოდნენ სკოლას, მაგრამ არ გააჩნდათ ზუსტი ინფორმაცია, თუ როდის და როგორ. სკოლის პედაგოგებმა მოსწავლეები შეამზადეს ახალი მოსწავლეების მისაღებად. მათ ისაუბრეს, მაგალითად, იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება გრძნობდეს ბავშვი თავს უცხო ქვეყანაში. იმ ფაქტმა, რომ ბავშვს შეიძლება არ ჰქონდეს სამშობლო, ძალიან ააღელვა მოსწავლეები. სკოლა სიხარულით ელოდა ახალ ჩამოსულებს. მოსწავლეთა მიღებები ერთმანეთს მისდევდა, ბავშვები გაფრთხილების გარეშე ცხადდებოდნენ სკოლაში, პედაგოგებისთვის კი მხოლოდ მათი სახელი, გვარი და დაბადების თარიღი იყო ცნობილი. მასწავლებლები მეტი ინფორმაციის მისაღებად სახლებში სტუმრობდნენ მათ და ესაუბრებოდნენ მშობლებს, საწყის ეტაპზე სოციალური მუშა-კისა და მთარგმნელის გარეშე.

ინტეგრაცია და ინტენსიური კლასები

დაწყებით სკოლაში ინტეგრაცია ძირითადად უკვე არსებულ კლასში ხდება გერმანული ენის დამატებითი გაკვეთილის დახმარებით, ხოლო უფროს კლასებში კი პარალელური კლასები იქმნება. ე.წ. ინტენსიურ ან „მისასალმებელ“ კლასებში ახალ მოსწავლეებს დროებით ცალკე გაძლიერებული პროგრამით ასწავლიან გერმანულ ენას, რათა ისინი გარკვეული დროის შემდეგ შეუერთდნენ თავიანთ თანატოლებს რეგულარულ კლასებში. სკოლის დირექტორის განცხადებით, სკოლაში შექმნეს პარტნიორული წყვილები, რომლებიც ერთმანეთს ეხმარებიან. ამასობაში კი მოსწავლეთა რიცხვი 20-ით გაიზარდა. შესაბამისად, წლის ბოლოს უკვე ორი ინტენსიური კლასი შედგება, სამუხაროდ, ამჟამად სკოლა მასწავლებელთა დეფიციტს განიცდის და ახალი კადრის მიღებას კი მეტი დრო სჭირდება, ვიდრე აქტუალური სიტუაცია ამის საშუალებას გვაძლევს.

ენობრივი პოლიტიკა და კულტურული განსხვავებები

ინტეგრაცია და მეგობრობის დამყარება საწყის სტადიაზე ხშირად რთულია, ვინაიდან ბავშვების ნაწილი მხოლოდ მცირე დროით რჩება, სანამ ოჯახი კვლავ დეპორტირდება ან სხვა მიმღებ ცენტრში იქნება გადაყ-

ვანილი და, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებში დიდია მიმღებლობა უცხო ენის მიმართ, ენობრივი ბარიერი მაინც დიდ გამოწვევად რჩება კომუნიკაციის დროს. ასევე დიდ როლს თამაშობს ლტოლვილი ბავშვების ემოციური მდგომარეობა. მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ ხდება ცნობილი, რომ, მაგალითად, ერთმა გოგონამ გამოქცევისას დედა დაკარგა და ამიტომ შეწყვიტა ლაპარაკი. ერთ პატარა ბიჭს განშორების ემინია, როცა მამა სკოლის კარებთან ემშვიდობება. ამგვარად გასაგები ხდება, რომ ბავშვებს დრო სჭირდებათ, გაითავისონ სასკოლო ცხოვრება. ბევრ მათგანს სწავლის სურვილი აქვს და ცნობისმოყვარეც არის. მათ შორის არიან კარგი განათლების მქონე ბავშვები, რომლებიც თავიანთ სამშობლოში ინტერნაციონალურ სკოლებში სწავლობდნენ, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებსაც არასოდეს უვლიათ სკოლაში და „ანალფაბეტები“ არიან. არ არის დასაძალი, რომ სასკოლო ცხოვრებაში კონფლიქტებიც წარმოიქმნება, რომლებიც განსხვავებული წარმომავლობით, რელიგიითა და კულტურით არის გამოწვეული. სამწუხაროდ, ყოველთვის არ არის შესაძლებელი სიტყვიერი და ფიზიკური კონფლიქტების თავიდან აცილება, თუმცა აღსანიშნავია ასევე ცოცხალი ინტეგრაციის დადებითი მომენტები: ბავშვების ერთად თამაში სკოლის ეზოში, ურთიერთდახმარება გაკვეთილზე, პროგრესი ენის ფლობაში, ახლად აღმოცენებული მეგობრობა.

ზრუნა გაკვეთილის ხარისხზე

ღიად რჩება შეკითხვა: ხომ არ დაზიანდება გაკვეთილის ხარისხი? ამ საკითხთან დაკავშირებით მშობელთა, საგანმანათლებლო უწყებების წარმომადგენელთა და ექსპერტების ამრი იყოფა, პრაქტიკული კვლევების შედეგად არ არის ცალსახა. თუმცა ყველა თანხმდება, რომ დასახული სასწავლო მიზნები უნდა გადაიხედოს და მოერგოს ახალ გამოწვევებს.

მიუხედავად აღნიშნული სირთულეებისა, პროგრესი აშკარაა

უმჯობესდება კომუნიკაცია უწყებათა შორის, იმატებს კონსულტაციებისა და მიზნობრივი ტრენინგების რიცხვი, სამინისტრო ზრდის მასწავლებელთა რიცხვს.

გარდა ამისა, სამომავლოდ მასწავლებელთა ნაწილმა უნდა შეცვალოს წარმოდგენა „ნორმალური“ გაკვეთილის შესახებ და უფრო მეტი აქცენტი გააკეთოს ინდივიდუალურ და დიფერენცირებულ მიდგომებზე.

აქედან გამომდინარე, საჭიროა მასწავლებელთა გადამზადების პროგრამებისა და ტრენინგების პარალელური ცვლილება. უნივერსიტეტებში ყველა სტუდენტმა უნდა შეისწავლოს გაკვეთილზე ჰეტეროგენულობასთან პროფესიულ დონეზე გამკლავების მეთოდები და მიდგომები.

სწავლის შესაძლებლობა

სასკოლო სისტემის ბევრმა საგრძნობია როგორც მოსწავლეების, ასევე პედაგოგებისათვის. განათლების სისტემა ადგენს სწავლის მაღალ სტანდარტებს სწავლის სტანდარტის კვლევებიდან სკოლის ინსპექტირებამდე. ამ მოთხოვნებსა და ადგილზე არსებულ რეალობას შორის არსებული უფსკრული ამჟამად ბევრისთვის გადაუღებელია ჩანს. სხვები არსებულ სიტუაციაში ხედავენ, როგორც განათლების სისტემის ხისტი სტრუქტურების რეფორმირებისა და, შესაძლოა, პარადოქსულ სასკოლო სტრუქტურასთან დამშ-

ვიდობების შესაძლებლობასაც: არსებობს საკმარისი წარმატებული მაგალითები საზღვარგარეთიდან, რომლებიც აჩვენებს, რომ ყველა მოსწავლეს შეუძლია ერთად და, ამავდროულად, დიფერენცირებულად ისწავლოს და რომ ინტეგრაცია და ინკლუზია აღიქმება როგორც სრულიად ბუნებრივი რამ.

გაურკვევლობა ქვეყანაში ნაწილობრივ მაინც ჯერ კიდევ დიდია. ნაწილი აუღელვებელ ქმედებას (სიმშვიდეს) გვიჩვენებს, ნაწილი კი იბრძვის მოთხოვნებსა და პრაქტიკულ შესაძლებლობებს შორის. სასწავლო პროცესის ყველა მონაწილეს მოეთხოვება მიმღებლობა, მოქნილობა და მოთმინება. ამ მრავალფეროვანი პრობლემების მიღმა არ უნდა დაიკარგოს ადამიანი და მთავარ პრინციპად უნდა გავიხადოთ შემდეგი რამ: ბავშვები კი არ უნდა მოვარგოთ სკოლას, არამედ სკოლა ბავშვებს.

ჩვენები ღმრთილი ბავშვების კლასში ინსერაციისთვის

ამ საჭირობოროტო თემაზე საუბარს გავაგრძელებ კიდევ ერთი პედაგოგის, ჟოანა კასიმიროს, რჩევებით ლტოლვილი ბავშვების კლასში ინტეგრაციისათვის. ჟოანა პედაგოგია ანა-ლინდ-სკოლაში, რომელშიც 2009 წლიდან არსებობს ე.წ. „მისასალმებელი“ კლასები. მასწავლებელი მოხალისე დამხმარებებთან, პენსიაზე მყოფ მასწავლებლებთან, პრაქტიკანტებთან, მეცნიერებთან და მთარგმნელებთან ერთად ახერხებს უსაფრთხო გარემო შეუქმნას თავისი „მისასალმებელი“ კლასის 12 მოსწავლეს. ჟოანა გვიზიარებს თავის გამოცდილებას და, ამავდროულად, რჩევებსაც გვაძლევს:

1. მივცეთ ბავშვებს დრო

ღვენილი ბავშვების მასწავლებლები არნახული წნეხის ქვეშ ცდილობენ მოსწავლეები აიყვანონ ენის ფლობის გარკვეულ დონეზე. ჩემი პრიორიტეტი კი არის, შევუქმნა ბავშვებს გარემო, რომელშიც ისინი დაცულად და მშვიდად იგრძნობენ თავს.

განსაკუთრებით ტრავმირებულები არიან სირიელი ბავშვები. ზოგიერთი დამუდმებით ტირის და კონცენტრაციის სირთულეები აქვს.

2. კვლევა კონტექსტის გასაგებად

როგორც მასწავლებელი, ვცდილობ გავიგო, რა პირობებში ცხოვრობენ ბავშვები, ზოგიერთი ისეთ საცხოვრებელში ცხოვრობს, სადაც ხმაურის გამო 3 საათზე უფრო ხანგრძლივად ძილის შესაძლებლობა არ აქვთ. ასევე მქონდა საუბარი ბავშვთა ფსიქიატრთან, რომლისგანაც ვისწავლე, რომ არასდროს წამოვიწყო თავად საუბარი ბავშვებთან მათი გამოცდილებების შესახებ.

თუმცა ყოველთვის არ არის შესაძლებელი საგაკვეთილო ოთახში სევდიანი თემების თავიდან აცილება. ერთხელ ჩემი „მისასალმებელი“ კლასის მოსწავლეებმა ოთხფოთლოვანი სამყურაიპოვეს, ვთხოვე ბავშვებს სურვილი ჩაეფიქრებინათ. სირიელი ბავშვების სურვილები იყო: ნეტავ ჩემი ბიძაშვილი არ მომკვდარიყო, ნეტავ შეგვეძლოს ბებიას გერმანიაში ჩამოყვანა — ამ ყველაფერთან გამკლავება იოლი როდია.

3. ლტოლვილი ბავშვების მშობლების ჩართულობა და ურთიერთპატივისცემის გარემოს შექმნა

ვფიქრობ, კიდევ უფრო მეტად უნდა ვეცადოთ მშობლებისა და ოჯახების სასკოლო თემსა და ჩვენს საზოგადოებაში ინტეგრირებას. უნდა გვესმოდეს, თუ როგორი დამაბნეველი შეიძლება იყოს ახალი კულტურული

გარემო. მაგალითად, საიდან უნდა იცოდეს, რომ ბავშვმა სკოლაში დამატებითი წყვილი ფეხსაცმელი უნდა მოიტანოს, რომელსაც სკოლის შიდა ტერიტორიაზე ჩაიცვამს. გასათვალისწინებელია ასევე, თუ როგორ უარყოფითად აისახება თავდაჯერებულობასა და ენის ფლობაზე იმიგრაციასთან დაკავშირებით სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობა.

მცირეწლოვან ბავშვთა მშობლების მხარდასაჭერად ჩვენს სკოლაში ფუნქციონირებს ენის კურსები, სადაც მონაწილეებს ასევე შეუძლიათ ისარგებლონ ბავშვების მეთვალყურის მომსახურებით, გარდა ამისა, რეგულარულად ვთავაზობთ შეხვედრებს ჩვენს სასკოლო კაფეტერიაში. აღნიშნული შეთავაზებები ურთიერთობისა და ინფორმაციების გაზიარების შესაძლებლობას იძლევა.

ჩვენ ასევე ვმუშაობთ საკითხზე, თუ როგორ შევქმნათ პატივისცემის ატმოსფერო და გავზარდოთ მიმღებლობა სხვადასხვა კულტურის მიმართ. რატომ არ უნდა მივცეთ იძულებით გადაადგილებული ბავშვების მშობლებს საშუალება გამოავლინონ თავიანთი განსაკუთრებული უნარები? მაგ., რამდენიმე მამამ, რომლებიც მკერავები იყვნენ, ჩვენი სასკოლო პროექტისთვის არაჩვეულებრივი „ჯუნგლების ფონი“ დაგვიმზადეს, რომელზეც უკეთესიც ჩვენს სკოლას აქამდე არ უნახავს.

4. მოსწავლეებთან ერთად ოპერაში

მუსიკა და ტექსტი ბავშვებს ამშვიდებს. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ დამყავს ჩემი „მისასალმებელი“ კლასის ბავშვები თვეში ერთხელ ოპერაში. გარდა ამისა, კულტურული აქტივობების შეთავსება მარტივად შეიძლება ისეთ ყოველდღიურ საქმიანობებთან, როგორებიცაა სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება ან სხვადასხვა საზოგადოებაში მიღებული წესების გაცნობა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩემი მოსწავლეების ნახევარზე მეტი ფუნქციაშეცვლილ სპორტულ დარბაზში ან სპეციალურ თავშესაფარში ცხოვრობს, ადგილობრივი მეზობლების გარეშე, ამიტომ ასეთი გასვლები, სადაც ისინი საზოგადოებისთვის ხილულები ხდებიან და თავადაც საზოგადოების ნაწილად თვლიან თავს, ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია.

5. შემოწირულობების მოძიება

„მისასალმებელი“ კლასის მასწავლებლები საგაკვეთილო მასალებისა და ექსკურსიების თანხას ხშირად თავიანთი ჯიბიდან იხდიან.

როდესაც მე დავიწყე ჩვენს ოპერაში ვიზიტებისთვის თანხის მოძიება, პოზიტიურად გაცემული დავრჩი ბერლინის მოსახლეობისა და ადგილობრივი ორგანიზაციების მზადყოფნით, დაგვხმარებოდნენ. აღმოჩნდა, რომ ბევრს სურს დახმარება, თუმცა არ იცის, როგორ და ამიტომ მადლობელია იდეებისათვის.

ჩემი აზრით, მოხალისე დამხმარეები და ჰუმანიტარული ორგანიზაციები ერთ-



დაწყებით სკოლაში ინტეგრირებული

ქირითადაც უკვე აჩვენებ

კლასში ხდება გენერაციული ენის

დაშლადიანი გაკვეთილის

დახმარებით, ხოლო უფროს

კლასებში კი პარალელური

კლასები იქმნება. ე.წ.

ინტენსიური ან „მისასალმებელი“

კლასებში ახალ მოსწავლეს

დროებით სადაც გაქვითიანად

პროგრამით ასწავლიან

გენერაციული ენის, რათა ისინი

გაქვითი დროის შემდეგ

შეუერთდნენ თავიანთ

თანატოლებს ნებდარიად

კლასებში.



ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია იძულებით გადაადგილებული ადამიანების ინტეგრაციის ხელშეწყობის კუთხით, მათი შრომა და მონდომება კი შეუფასებელია. მოვუწოდებ მასწავლებლებს, დაეკონტაქტონ მათ და შესთავაზონ კრეატიულ პროექტებში ჩართვა.

6. ახალი გზების პოვნა

ჩვენი სკოლის დირექტორი ძალიან მენდობა და ხელს მიწყობს მუშაობაში. სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს პროექტის წარმატებას. შესაძლოა ის, თუ რა მიდგომებსა და ხერხებს ვიყენებთ ჩვენს „მისასალმებელ“ კლასებში, არ არის იდეალური, მაგრამ ჩვენთვის მუშაობს.

ვინც იძულებით გადაადგილებული ბავშვების და ასევე უცხოელი ბავშვების ინტეგრაციით არის დაკავებული, უნდა მიენდოს თავის პედაგოგიურ უნარებს. ასე მაგალითად, მე აღმოვაჩინე, რომ არაბი ბავშვებისთვის უფრო მარტივია გერმანული სიტყვების დამარცვლით სწავლა. გარდა ამისა, ჩემს სასწავლო გეგმას ვაწყობ ინტერდისციპლინარულ თემებზე, რაც შესაძლებლობას მაძლევს, ხშირად გამოვიყენოთ და გავიმეოროთ სიტყვები.

სხვადასხვა ეროვნების მშობლებთან თანამშრომლობა განსაკუთრებულ მოქნილობას მოითხოვს. თავდაპირველად არაბი მშობლები არ მოდიოდნენ საღამოს დანიშნულ შეხვედრებზე, ხოლო მას შემდეგ, რაც ჩვენ შეხვედრები 13 საათზე გადავიტანეთ და ბავშვის მეთვალყურეც შევთავაზეთ, დამსწრეთა რაოდენობა გაიზარდა და 100%-საც კი მიაღწია.

ასევე არსებობდა პრობლემები მამებთან, რომლებიც უარს ამბობდნენ ქალების გვერდით დასხდომაზე. როგორც მასწავლებელს, ამგვარი კონფლიქტების დასაძლევად გესაჭიროება ინტერკულტურული კომპეტენცია. დროთა განმავლობაში ჩვენ ეს შევძელით და ვმუშაობთ ხუთ სხვადასხვა მთარგმელთან და თარჯიმანთან ერთად, რაც საშუალებას გვაძლევს ჩავრთოთ ყველა მშობელი დისკუსიებში.

ვფიქრობთ, გერმანელი მასწავლებლების გამოცდილება დაეხმარება ჩვენს სკოლებს, სადაც შექმნილი ვითარების გამო გაიზარდა და კიდევ იზრდება ლტოლვილი მოსწავლეების რიცხვი.



სტატია მომზადებულია გერმანულ ენაზე და საიდანაც არის აღებული ინფორმაციის მიხედვით:

1. <https://www.britishcouncil.de/tipps-zur-integration-von-fluechtlingskindern-im-unterricht>
2. <https://www.deutschlandfunk.de/integration-von-fluechtlings-kindern-grosse-herausforderung-100.html>
3. <https://www.friedrich-verlag.de/bildung-plus/inklusion-und-integration/wie-schulen-mit-migranten-umgehen/>

ინსერკულტურული კომუნიკაციის განვითარება უცხო ენის სწავლების პროცესში



მაია ნახაიშვილი

მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრის
ფრანგული ენის
ექსპერტ-კონსულტანტი

„ერთ დღეს მთებში სიარულისას, შორიდან მხეცი შევნიშნე.
მანძილის შემცირებისას, მივხდი, რომ ადამიანი იყო.
როდესაც ახლოს მივედი, ჩემი ძმა აღმოჩნდა.“

ტიბეტური ანდაზა

ეს ტიბეტური ანდაზა ინტერკულტურული განათლებას მართლაც ზედმიწევნით
კარგად შეესატყვისება, ხშირად ხდება ხოლმე, რომ ადამიანები გაცნობამდე
ერთმანეთს ძალიან შორიდან უყურებენ და საოცრად გასხვავებულები ჰგო-
ნიათ ერთმანეთი, ხოლო გაცნობისა და დაახლოების შემდეგ ბევრს საერთოს
აღმოაჩენენ ხოლმე...

წარმოიდგინეთ, მიმართვის ორი ფორმა: პირველი – ქალბატონო / ბატონო
XXX (სახელი) და მეორე ქალბატონო / ბატონო XXX შვილო (გვარი). მიმართვის
რომელი ფორმაა მისაღები თქვენთვის? როგორ ფიქრობთ, მიმართვის ორივე
ფორმა სწორია? პასუხი ძალიან მარტივია, მიმართვის ორივე ფორმა მართებული
და სწორია, უბრალოდ პირველი, სახელით მიმართვის ფორმა მეტად მისაღე-
ბია ჩვენი, ქართული რეალობისთვის. მიმართვის მეორე (გვართ) ფორმა კი
მათთვის, ვისაც ევროპულ ენებთან მჭიდრო შეხება აქვს, არ იქნება უცხო. ერთი
შეხედვით, მიმართვის მეორე ფორმა შეიძლება გვეხამუშოს მოსასმენად, უხეშად
ჟღერდეს. მაშინ, როდესაც ევროპული კულტურის მატარებლისთვის პირველი
მიმართვის ფორმა შეიძლება ზედმეტად ფამილარულადაც კი გამოიყურებოდეს.
სწორედ ამდა ასეთი უხერხულობის თავიდან აცილებას უწყობს ხელს ინტეკულ-
ტურული განათლება და კომპეტენცია.

ინტერკულტურული კომპეტენცია, ერთი შედეგით, უცხო ენის შესწავლას-
თან ასოცირდება, თუმცა არაერთი ნაშრომი იმის დასტური, რომ ის გამჭოლ
კომპეტენციას უტოლდება და სკოლაში შესასწავლი თუ ნასწავლი ყველა საგნის
წვლილია მასში. ამწვლილთაგან, როგორც იტყვიან, ლომის წილი მაინც უცხოურ
ენაზე მოდის, რადგან, როგორც ფრანგი ენათმეცნიერი ემილ ბენვენისტი ამბობს,



**ადამიანები გასწავლავ
ერთმანეთს ძალიან შორიდან
უყურებენ და საოცრად
გასხვავებულები ჰგონიათ
ერთმანეთი, ხოლო გასწავლისა
და დაახლოების შემდეგ ბევრს
საერთოს აღმოაჩენენ
ხოლმე...**



ენა და კულტურა განუყოფელი ნაწილებია. ამ ორ ნაწილს ის მედლის ორ მხარედ განიხილავს. აქედან გამომდინარე, შესაძლებელი და აუცილებელიცაა დავასკვნათ, რომ ენის დამოუკიდებლად, კულტურისგან განცალკევებულად სწავლება წარმოუდგენელი და შეუძლებელია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ენის ლექსიკაში, მის სინტაქსურ და მორფოლოგიურ წყობაში აისახება ენის მატარებელთა კულტურა.

თვითონ ტერმინის მახასითებლების განხილვისას უნდა აღვნიშნოთ, რომ ინტერკულტურა ან ინტერკულტურული კომპეტენციართულ ტერმინთა რიგს განეკუთვნება, რადგან ორი სიტყვისგან – „ინტერ“ – ისა და „კულტურისაგან“ – შედგება. ტერმინ „კულტურის“ ეტიმოლოგიის შესწავლისას, ვნახავთ, რომ ის ლათინური სიტყვის „cultura“ – დან მოდის. პირველადი მნიშვნელობით, ეტიმოლოგიურად ის მიწათმოქმედებას, თაყვანისცემასა და პატივისცემას ნიშნავდა. დროთა განმავლობაში ტერმინმა განიცადა ევოლუცია, დღეისათვის კი მისი ზოგადი მნიშვნელობა, განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ასეთია: კულტურა არის „ადამიანთა ჯგუფის ცხოვრების სტილი, რომელიც ერთი თაობიდან მეორეში კომუნიკაციის მეშვეობით გადადის“ (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3701>).

უნდა აღვნიშნოს ისიც, რომ ტერმინს აქვს როგორც კონკრეტული (მატერიალური), ისე აბსტრაქტული (სულიერი) მნიშვნელობა. მატერიალურია საგანთა სამყარო, რომელსაც ადამიანი ქმნის ხელით, ხოლო სულიერია სიმბოლური სამყარო: ცოდნა, ფასეულობა და ა.შ. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3701>

ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში კიდევ უფრო განვითარდა და გაფართოვდა ამ ტერმინის მნიშვნელობა, ალბათ გავიგია კიდევ საუბრისას, თუ როგორ მოიხსენიებენ ზოგიერთს კულტურულ ადამიანად, ასეთ შემთხვევაში კულტურა განათლებასა და აღზრდასთან ასოცირდება. მატერიალურ და აბსტრაქტულ გაგებასთან ერთად ტერმინს აქვს „ფართო“ და „ვიწრო“ გაგებაც. კულტურა თავისი „ფართო“ გაგებით მოაზრებს ადამიანის ყოველდღიური ყოფა-ცხოვრებაში არსებულ დეტალებს, ტრადიციებს, რუტინას, ზნე-ჩვეულებას, ყველაფერი იმას, რაც თაობებს გადაეცემა. ხოლო კულტურა ვიწრო გაგებით მოიაზრებს ადამიანების შექმნილ იმ ნამუშევრებს, რომლებიც საუკუნეებს უძლებს, ეს შეიძლება იყოს ლიტერატურული ან მუსიკალური ნაწარმოები, არქიტექტურისა და ხელოვნების ნიმუშები და ა.შ.

ახლა ტერმინის მეორე ნაწილზე „inter“ – ზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას. განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, „inter“ – „ინტერ“ ლათინური წარმომავლობის პრეფიქსია, რომელიც რაიმე ორ საგანს, ორს ნივთს ან ორ პიროვნებას „შორის“ – ს ნიშნავს. <https://dictionnaire.sensagent.leparisien.fr/Inter/fr-fr/>. ტერმინების მნიშვნელობას თუ შევაერთებთ, ინტერკულტურას / კულტურათშორისს მივიღებთ.

ინტერკულტურული განათლების მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება უცხოური ენის სწავლებისას. თვალნათლივ რომ დავინახოთ ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარების აუცილებლობა, როლი და ადგილი უცხოური ენის სწავლებისას (უცხოური ენის გაკვეთილზე), განვიხილოთ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, ეროვნული სასწავლო გეგმა და ენების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო-კონვენცია.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებში მოცემულია მთელი რიგი მოთხოვნები, რომელთაც სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს უყენებს. ამ ჩამონათვალიდან შემდეგი მიზნები პირდაპირ თუ ირიბად ეხმაურება უცხოური ენისა და კულტურის შესწავლის მიზნებს: „ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება, კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან, იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე“. ზოგადი განათლების მიზნებიდან გამომდი-


ნარე, საქართველოს ეროვნულ სასწავლო გეგმაში, უცხოური ენების საგნობრივ სტანდარტში, ასახულია მოსწავლეებში ინტერკულტურული მგრძნობელობის განვითარების ასპექტები. კერძოდ, სწავლების თითოეულ საფეხურზე, პირველ, მეორე და მესამე უცხოური ენის სტანდარტში სამიზნე ცნებად გვევლინება „კულტურათმორისი დიალოგი“. ბუნებრივია, კომპეტენციის (შედეგის მიღწევის) ინდიკატორში გათვალისწინებულია მოსწავლის ფსიქოლოგიური და ასაკობრივი განვითარების თავისებურებები. მაგალითად, მეორე უცხოური ენის დაწყებითი საფეხურის სტანდარტში მოცემულია სამიზნე ცნება კულტურათა დიალოგი და მისი ინდიკატორი: „სხვადასხვა ქვეყნის სოციალურ კონტექსტებსა და კულტურებს შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების გაგება, დაფასება და გაზიარება განსხვავებულ ენობრივ-კულტურულ საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის დიალოგის ხელშეწყობის მიზნით“.

უცხოური ენის სწავლა-სწავლების მიზნები ცხოვრების დინებასა და საჭიროებებთან ერთად იცვლებოდა, სწავლების მიზნებთან ერთად იცვლებოდა სწავლების მეთოდებიც. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის 60-იან წლებამდე უცხოური ენის სწავლების მრავალმა მეთოდმა გამოსცადა საკუთარი თავი. ამ მეთოდების ქრონოლოგიის ანალიზისას მკაფიოდ ჩანს ენის სწავლების მიზნები. მეთოდების ევოლუციას ფრანგი მეცნიერის, ენებისა და კულტურის დიდაქტიკოსის, კრისტიან პურენის, ნაშრომებზე დაყრდნობით განვიხილავთ. თავდაპირველად ენის სწავლებისას გამოიყენებულ მეთოდს „ტრადიციული მეთოდი ერქვა“ ის გამოიყენებოდა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარსა და 19-ე საუკუნის პირველ ნახევარში. მეთოდს სხვაგვარად გრამატიკულ-მთარგმნელობით მეთოდსაც უწოდებდნენ და სახელწოდებიდან გამომდინარეც კარგად ჩანს, თუ რა წარმოადგენდა ამ ეპოქაში ენის სწავლების მთავარ მიზანს. მთავარი მიზანი იყო, შემსწავლელს შესძლებოდა წაკითხვა და თარგმნა. უკვე მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ბუნებრივი მეთოდი იღებს სათავეს. აღნიშნულ მეთოდს საფუძვლად მშობლიური ენის შესწავლაზე დაკვირვება უდევს, მეთოდის მთავარი აზრი ის იყო, რომ უცხოური ენის შესწავლა უნდა მომხდარიყო ბუნებრივ გარემოში: „მას ისეთივე პირობები უნდა შევუქმნათ, როგორც მშობლიურ ენას“. უცხოური ენის შესწავლის მიზანი კი სხვა ადამიანთან კონტაქტი გახლდათ. ამავე დროს, პარალელურად, მე-19 საუკუნეში სათავეს იღებს პირდაპირი მეთოდიც, რომლის მთავარი მიზანი აქტიური გაკვეთილები და „აღმოჩენის გზით სწავლა-სწავლება იყო“, თუმცა მეთოდი არაფერს ამბობს შეძენილი ცოდნის განმტკიცებაზე. მე-19 საუკუნის 20-იანი წლებიდან ასევე ვხვდებით უცხოური ენის შესწავლის აქტიურ მეთოდს, რომელიც 1960 წლამდე გამოიყენებოდა. მეთოდი აერთიანდა აქამდე ნაცნობი მეთოდების ელემენტებს და ქმნიდა ახალ „აქტიურ მეთოდს“. 1969 წლიდან ყურადღება აუდიო-ვიზუალურ მეთოდზე გადავიდა, მეთოდის დასახელებიდან გამომდინარე, ალბათ იოლია დავასკვნათ, თუ რისკენ უნდა



1970-1980-იან წლებში,
ენის სწავლაში
შეუძლებელი პირობების
თანახმად, კულტურული
მნიშვნელობების მიხედვით
სიმდიდრე და ანა შეზღუდულ
შესაძლებლობად.





“

28

2001 წელს ევროპის საბჭოს ინსტიტუციამ, დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობით, შეიმუშავა ენების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო / კონვენცია, დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სწავლების ძირითად მეთოდოლოგიურ ორიენტირებს და შეფასებას. დოკუმენტში კომუნიკაცია გახილულია, როგორც ქმედება, ხოლო მოსაუბრე არის (ინფორმაციის გამცემი) სოციალური აქტორი (მოქმედი), რადგან ლაპარაკი და მოსმენა მოქმედებას უტოლდება. აქედან გამომდინარე, საკმარისი არ არის შეტყობინების მხოლოდ მიღება-გაცემა, არამედ აუცილებელია შეტყობინებაზე რეაქცია და ინტერაქცია. მეტი აქცენტი გაკეთდა ქმედებაზე ორიენტირებულ მიდგომაზე – „approche actionnelle“. უცხოური ენის გამოყენებით მოსწავლემ (შემსწავლელმა) უნდა შეძლოს ქმედება, საბოლოო დავალების შესრულება (tâche finale) და პროდუქტის შექმნა (მაგალითად, რაიმე პრობლემის იდენტიფიცირება და გადაჭრის გზების ძიება და პრობლემის გადაჭრა და ა.შ.).

ენების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო / კონვენცია კომპეტენციას ორ დიდ მიმართულებად აერთიანებს:

- **ენობრივი კომპეტენცია**, რომელიც მოაზრებს ლინგვისტურ, პრაგმატულ და სოციოლინგვისტურ კომპეტენციას ერთად.
- **პიროვნების ძირითადი კომპეტენცია**: ცოდნა, უნარი და დამოკიდებულებები.

დოკუმენტი პირველივე გვერდიდან მიგვითითებს, რომ ინტერკულტურული მიდგომა პიროვნების სრულფასოვანი და ჰარმონიული განვითარების ერთადერთი გზაა, რადგან ინტერკულტურული ცნობიერება ურთიერთობების გაგების, ცოდნისა და ცნობიერების ერთობლიობაა, რაც საბოლოოდ ცოდნაში, უნარებსა და დამოკიდებულებებში ვლინდება.

ბოლოს უნდა ითქვას ის, რომ ინტერკულტურული განათლება პრაქტიკაზე მეტად არის ორიენტირებული, ვიდრე თეორიაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ, როგორც ყველა სფეროში, ამ შემთხვევაშიც მხოლოდ თეორიული ცოდნა არაფერს მოგვცემს, თუ პრაქტიკულად ვერ შევძელით მისი განხორციელება. თუმცა მაინც არსებობს ის სარეკომენდაციო მეთოდები და სტრატეგიები, რომლებიც ხელს უწყობენ ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარებას. ერთ-ერთი ეფექტური მეთოდი გახლავთ თანამშრომლობითი სწავლა და სწავლება. თანამშრომლობითი სწავლება / ჯგუფური მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლის სოციო-კოგნიტური უნარების განვითარებას, რაც, თავის მხრივ, დადებითად აისახება მის აკადემიურ მოსწრებაზე. შინაარსობრივ მხარეს რაც შეეხება, აუცილებელია, სხვისი კულტურის შესწავლამდე საკუთარი კულტურა შევისწავლოთ და ანალოგიური ასპექტები მიმოვიხილოთ სხვათა კულტურაში. ინტერკულტურული კომპეტენციაც ხომ სწორედ ეს არის, სხვისი კულტურის შედარება, განსხვავება – მსგავსების დანახვა და კულტურული მრავალფეროვნების მიღება.

ამ შემთხვევაში ინტერკულტურულ ჭრილში ჟესტები განვიხილოთ. დავიწყოთ მისაღმებით, საქართველოში ისევე, როგორც საფრანგეთში, მისაღმებისას ხელის ჩამორთმევა მისაღები ჟესტია. უფრო მეტიც, ხშირად ამბობენ, რომ ზოგიერთი ფრანგი დღის განმავლობაში ხელის ჩამორთმევას 30 წუთზე მეტ დროს უთმობს. ასევე საინტერესოა ლოყაზე კონცით მისაღმებაც. საქართველოში მისაღმებისას ჩვენ ერთხელ ვკოცნით ერთმანეთს, ფრანგები კი უმეტეს შემთხვევაში ორჯერ კოცნას ანიჭებენ უპირატესობას (უმეტეს შემთხვევაში იმიტომ ვამბობთ, რომ საფრანგეთში ეს ჟესტი რეგიონების მიხედვითაც კი განსხვავდება, ზოგ

რეგიონში მისაღმებისას ერთმანეთს სამჯერ კოცნიან). ასეთივე კულტურული სხვაობაა დათვლისასაც (ხელ-ზე დათვლისას). მოდით, აღმართეთ თქვენვის წამყვანი ხელი და აჩვენეთ ხუთი თითი, ახლა იმავე ხელზე გვაჩვენეთ ორი. სავარაუდოდ, თუ თქვენ ქართული კულტურის წარმომადგენელი ხართ (არა მხოლოდ ქართული, არამედ ანგლოსაქსურიც) თქვენ საჩვენებელი და შუა თითები გეყენებათ აღმართული, ხოლო ფრანგული (ევროპული) კულტურის წარმომადგენლებს ცერა და საჩვენებელი თითები ეყენება აღმართული (რა თქმა უნდა, ამ მაგალითების შემთხვევაში, უმრავლესობა იგულისხმება). გარდა ამისა, ჩვენს (ქართულ) კულტურაში, საჩვენებელი ან ნეკა თითით ვიწყებთ დათვლას, ფრანგები კი – ცერა თითით. ესეც განსხვავებული კულტურის მანიშნებელია.

ახლა წარმოვიდგინოთ აღმართული ნეკა თითი, როგორ ფიქრობთ, რას გვანიშნებს ამით ადამიანი? ქართულ რეალობაში კომუნიკაციის დროს ნეკა თითის ქნევით, ალბათ, მოსაუბრე გვეუბნება: „ვერაფერს დამაკლებ (ნეკზე არ მიკბინო)“, იგივე ჟესტი ფრანგულ კულტურაში ნიშნავს, რომ თანამოსაუბრე გვეუბნება: „ვერ გამასულელებ“.

სამი ყველაზე მეტად გავრცელებული კულტურათმორისი ჟესტია: რგოლი, აწეული ცერა თითი და V ნიშანი. ამ გავრცელებულ ჟესტებს სხვადასხვაგვარი ალქმა აქვს კულტურის მიხედვით.

რგოლი – ინგლისურად მოლაპარაკე ქვეყნებში ეს ჟესტი მანიშნებელია OK-ს, რომ ყველაფერი კარგადაა მაშინ, როდესაც საფრანგეთსა და ბელგიაში იგივე ჟესტი ნიშნავს ნულს – ანუ არაფერს, უვარგისს.

აწეული ცერა თითი – სოციალური ქსელების გავლენით ასოცირდება მოწონებასთან, კარგთან. გარდა ამისა, ეს ჟესტი შეიძლება მიანიშნებდეს OK (ყველაფერი კარგად არის), გზაზე კი მას ავტოსტოპით მოგზაურები იყენებენ, რათა მძღოლს ანიშნონ, რომ ავტოსტოპით მოგზაურობენ. საბერძნეთში კი თუ ცერს მკვეთრად იქნევენ, ლანძღვას ნიშნავს.

V ნიშანი – გავრცელებული შეხედულებით ეს ნიშანი გამარჯვებას ნიშნავს, ინგლისელები მას იყენებენ, როდესაც გამარჯვებულად, მტერზე უპირატესად მიიჩნევენ თავს, იგივე ჟესტი ევროპელს აფიქრებინებდა, რომ მან მოიგო პრიზი. ამჟამად ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ჩვეულებივად რიცხვი ორის მანიშნებელია.

თუნდაც ეს რამდენიმე კონკრეტული მაგალითი ცხადყოფს, რომ ასეთი საკითხებით „შეზავებული“ გაკვეთილები ინტერესს აღუძრავს მოსწავლეებს და, ტიბეტური ანდაზის პარაფრაზი რომ მოვიშველიოთ, ახლოს მოსულ ადამიანში ძმას აღმოაჩენინებს...

ლიტერატურა

1. HISTOIRE DES MÉTHODOLOGIES DE L'ENSEIGNEMENT DES LANGUES Christian PUREN 2012 www.christianpuren.com;
2. Interculturel en classe de FLE ; Les outils malin du FLE ; FLE PUG 2012 ;
3. უცხოური ენის სწავლების საფუძვლები – ეკატერინე შავერდაშვილი, ნინო ფიცხელაურის, ფატი რამიშვილის, მეგი გვასალიას თანავტორობით; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; თბილისი 2014
4. ინტერკულტურული განათლების ასპექტების კვლევა საქართველოს სკოლების დაწყებით საფეხურზე – შალვა ტაბატაძე, ნათია გორგაძე 2013
5. ინტერკულტურული განათლების პრაქტიკული სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის – შალვა ტაბატაძე, მაია ინასარიძე, ქეთევან ჩაჩხიანი, ჭაბუკი ქირია (2010 წელი)

მრავალხმიანობა და ქართული იდენტობა თანამედროვე სოციალურ-კულტურულ კონსტრუქტში



ვია ბაღაშვილი

ეთნომუსიკოლოგი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

მრავალხმიანობა ქართული იდენტობის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია. ხალხური სიმღერა ქართველი ხალხის სულის ანარეკლია, მისი შინაგანი ხასიათის, ესთეტიკური იდეალების, ფასეულობათა სისტემის ამსახველი და განმსაზღვრელი.

მრავალმილიონიან მონოდიურ სამეზობლოში საუკუნეების განმავლობაში საქართველო, ფაქტობრივად, მრავალხმიანობის კუნძული იყო. ამასთან, მრავალხმიანობა ქართველისთვის ორგანული მუსიკალურ-სააზროვნო სისტემაა, რომელიც დამახასიათებელია ქართული მუსიკალური ფოლკლორის ყველა დიალექტისთვის. მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეების განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ფორმირებული მუსიკალურ-საშემსრულებლო სტილი, ჰარმონიული ენა, ხმათა მოძრაობის ფორმები, მრავალხმიანობის ტიპები იმდენად თვალშისაცემ კონტრასტს ქმნის, რომ გამოუცდელი მსმენელისთვის ზოგჯერ რთული დასაჯერებელია, რომ ეს ყოველივე ერთი ერის მიერაა შექმნილი. გამოცდილი ყური, ცხადია, შეამჩნევს, რომ ისინი ერთიანი ფესვიდან და საერთო მუსიკალური ფუძე ენიდან არიან ამოზრდილნი. მრავალხმიანობა არის ის, რაც ქართული მუსიკალური ფოლკლორის ყველა დიალექტს აერთიანებს. ამდენად, გამოჩენილ ეთნომუსიკოლოგს, იზალიზემცოვსკის რომ დავესვსხოთ, ქართველი არის ერთ-ერთი უადრესი და გამოკვეთილი „Homo Polyphonicus“.

მრავალხმიანობა, როგორც ეროვნული კულტურული იდენტობის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი, ისტორიულად ფარიც იყო და მახვილიც, რომელთა მეშვეობითაც ქართველი საკუთარ თვითმყოფადობას ინარჩუნებდა და ახლის ძიების გზაზეც მრავალხმიანობას იშველიებდა, როგორც უნივერსალურ და ქმედით ინსტრუმენტს. საკმარისია გავიხსენოთ „აღმოსავლეთის დაძლევის ტენდენცია“, რომელსაც პროფესორი რევაზ სირაძე ქართულ კულტურაში ჯერ კიდევ ჩვ.წ. აღ-მდე მეორე ათასწლეულიდან შენიშნავს, როცა აღმოსავლეთიდან



მრავალხმიანობა

ქართული სოციალური ორგანიზაცია

მუსიკალურ-სააზროვნო

სისტემაა, რომელიც

დაახასიათებელია ქართული

მუსიკალური ფოლკლორის ყველა

დიალექტისთვის.





**მნავალხიანოვა, ნოზონს
 ნოზონელი კალსუნელი
 იქნესოვის უნივერსიტეტის
 მასწავლებელი, ისტორიულად
 ჟანის იყო და მასწავლებელი,
 ნოზონელი მასწავლებელი
 ქართული საკითხი
 თვითმყოფადობას
 იქნესოვისა და ანდის ქიანის
 მასწავლებლის
 იქნესოვისა და ანდის
 იქნესოვისა და ანდის
 იქნესოვისა და ანდის**



შემოსული არმაზის კულტის დამკვიდრებასა და ქართულ მითოსთან მიმართებას განიხილავს ისტორიულ-ესთეტიკურ ტრილში. „აღმოსავლეთის დაძლევის“ მუსიკალური ტენდენციის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს ჩვენში აღმოსავლეთიდან შემოსული, დუდუკზე აჟღერებული ერთხმიანი ისტრუმენტული ჰანგების გამრავალხმიანება. ანუ ის, რაც მონოდიურად მოაზროვნე ორიენტალურ მუსიკალურ კულტურაში ერთხმიანი იყო, საქართველოში გამრავალხმიანდა.

იგივე მოხდა მაშინ, როცა ბიზანტიის გავლით ჩვენში შემოსული ებრაული ფსალმოდები გავსასმხიანეთ, თანაც ისე, რომ კანონიკურობა არ დაგვირღვევია და მთელ მართმადიდებლურ სამყაროში პირველებმა შევექმენით მრავალხმიანი ლიტურგიკა.

თუმცა ქართულ მრავალხმიანობაში საუკუნეთა განმავლობაში კრისტალიზებული თვისებები – შინაგანი სიმწყობრე, ჰარმონია, სისტემურობა, წესრიგი – საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა ასპექტებში ნაკლებად იკითხება, ან თუ იკითხება, ძალზე მკრთალად, ფრაგმენტულად, ფლუქტუაციურად. პირველ რიგში, ეს ითქმის სახელმწიფო მოწყობაზე, მართვაზე, საზოგადოებრივი თანხმობის რთულად მიღწევაზე, საპირისპირო მოსაზრებათა, პოზიციათა კატეგორიულ მიუღებლობაზე.

ამრიგად, ერთ პარადიგმას ვხედავთ ქართველების საზოგადოებრივ ცხოვრებასა და პოლიტიკურ კულტურაში და სულ სხვა პარადიგმა იმავე ხალხის მიერ შექმნილ და ისტორიულად ჩამოყალიბებულ მუსიკალურ სისტემაში, ანუ თანამედროვე სოციალურ კონტექსტში ქართველებს თანხმობის მიღწევა გვიჭირს და, იმავდროულად, სულ სხვა სურათი გვაქვს ქართულ სიმღერასა და ტრადიციულ მრავალხმიანობაში – განსაცვიფრებელი შინაგანი წონაწონი „ერთსა“ და „მრავალს“, ინდივიდუალურსა და კოლექტიურს, რაციონალურ და ემოციურ მიმართებებს შორის. გამოდის, რომ ქართველებს თანხმობა საუკეთესოდ გამოგვდის და თან არ გამოგვდის; საოცრად გვეიოლება და თან გვეძნელება, ანუ ფართო ფილოსოფიურ და სოციალურ-კულტურულ კონტექსტში თუ განვიხილავთ, სახეზეა ერთგვარი ანტინომია. განვიხილოთ, რა არის ამის მიზეზები და რა შეიძლება მოვიაზროთ ამ ანტინომიის მოხსნის მექანიზმად.

ცნობილი ქართული მხატვრული ფილმის, „შერეკილების“, პერსონაჟს რომ დავესვხოთ: რა გვჭირს ამისთანა უსაშველო ბრეგვაძებს?! რატომ გამოგვდის ქართველებს თანხმობა ასე რთულად საზოგადოებრივ ცხოვრებასა და სახელმწიფოს მოწყობაში მაშინ, როდესაც თანხმობა, ჰარმონია და წესრიგი ჩვენი კულტურული იდენტობის ერთ-ერთი ქვაკუთხედის – ქართული მრავალხმიანობის ორგანული თვისებაა?

ჩემი დაკვირვება ამ მიმართულებით შემდეგია:

1. სამწუხაროდ, არ არსებობს პირდაპირი კორელაცია ესთეტიკურ და პოლიტიკურ დისკურსებს შორის, ისევე, როგორც არ არსებობს კორელაცია პოლი-

ფონიასა და დემოკრატიას შორის. მოგეხსენებათ, დემოკრატიის სამშობლო ანტიკური საბერძნეთია, ტერმინი – პოლიფონიაც – იქ მოიგონეს მაშინ, როდესაც ძველი ბერძნული მუსიკა ერთხმიანი იყო. ამ დროს პიგმეებს ექვსხმიანობა აქვთ, მაგრამ პიგმეების დემოკრატია კაცს არ გაუგია.

2. მუსიკაში ქართველებს გვაქვს უწყვეტი, მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია, განსხვავებით სახელმწიფოებრიობისგან, სადაც, მიუხედავად ქართული სახელმწიფოს 3000 წლიანი ისტორიისა, სუვერენიტეტის დაკარგვა და დამოუკიდებლად არსებობის წყვეტა მრავალგზის მოხდა და ეს ჩავარდნა ზოგჯერ რამდენიმე საუკუნეს გრძელდებოდა.
3. სიმღერაში სისტემას, წესებს თავად ქართველი ადგენს მაშინ, როდესაც მსგავსი შინაგანი დამოუკიდებლობისა და ავტონომიურობის ფუფუნება საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის წარმოებაში არც ახლა აქვს და მით უფრო არ ჰქონდა წარსულში.
4. სასიმღერო კულტურის განვითარება და მუსიკალური თვითმყოფადობის შენარჩუნება ერმა, თვითგადარჩენის მექანიზმის ეფექტურად ამოქმედების შემთხვევაში, შესაძლებელია სახელმწიფოებრიობის დაკარგვის პირობებში, საგარეო ექსპანსიისა და დაპყრობის დროსაც კი მოახერხოს. ამის მკაფიო მაგალითი გახლავთ ის, როცა 1801 წლის ანექსიის შემდეგ რუსულმა იმპერიამ ქართველებს წაგვართვა ავტოკეფალია, აკრძალა ქართულ ენაზე წირვა, რუსმა ეგზარქოსებმა ჩვენი ეკლესიები კირით შეათეთრეს და ქართული ფრესკები გაგვინადგურეს, მრავალსაუკუნოვანი ქართული უნიკალური საგალობლები ეკლესიებიდან განდევნეს და მათ ნაცვლად იქ რუსული გალობა დაადგინეს, ამ დროს ქართველმა კაცმა საკუთარი ოჯახი აქცია ეკლესიად და ქართულმა საგალობელმაც ქართულ ოჯახს, ქართულ სუფრასა და ოჯახური მუსიკირების სოციალურ-კულტურულ პრაქტიკას შეაფარა თავი. მსგავსი რამ, სამწუხაროდ, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მიმართულებით ვერაფრით მოხერხდება და სამოქალაქო კულტურის სრულფასოვანი განვითარებისთვის ერს სახელმწიფოებრიობა სჭირდება.
5. სიმღერაში გასაყოფი არაფერია, პოლიტიკაში კი – ძალაუფლება, ერთ-ერთი ყველაზე დიდი ვნება ამბიციური ადამიანისთვის, ხოლო უამბიციო ადამიანს პოლიტიკაში არაფერი ესაქმება.
6. მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობის საკითხი – მუსიკაში ინდივიდი საკუთარ პასუხისმგებლობას უმაღლეს გრძნობს. რაიმე შეგეშლება და სიმღერა „დაიშლება“. ასეთი გამოთქმაცაა გურულ სასიმღერო ტრადიციაში – „დეიშალა სიმღერა“. სამოქალაქო კულტურაში პასუხისმგებლობის გრძნობის გამომუშავებას ხანგრძლივი პერიოდი სჭირდება, რასაც ჩვენს შემთხვევაში 70-წლიანი საბჭოთა წარსულიც ართულებს, როცა ყველაფერი სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენდა, ანუ თითქმის ყველაფერი ყველასი იყო და ამ დროს ინდივიდუალურად – არავისი.
7. ქართულმრავალხმიანსიმღერაში უმთავრესია ანსამბლურობის, კოლექტიურობის, გუნდურობის პრინციპი და გუნდის თითოეული წევრი, რაოდენ გამორჩეული სოლისტიც არ უნდა იყოს a priori, აცნობიერებს იმას, რომ გუნდის ინტერესები, სიმღერის სიმწყობრე და მთლიანობაა მთავარი და მხოლოდ ასე მიიღწევა გუნდის გამარჯვება. გუნდის გამარჯვება კი მისი, როგორც ინდივიდუალის, გამარჯვებაა. სწორედ ამ თანმიმდევრობით და არა პირიქით. აი, პოლიტიკაში კი, სამწუხაროდ, ყველაფერი პირიქითაა და ძირითადად ცდილობენ ინდივიდუალურ ინტერესებს დაუქვემდებარონ გუნდისა და ხალხის ინტერესები.
8. როგორც გამოჩენილი ქართველი ლიტერატორი, გურამ ასათიანი აღნიშნავს, ინდივიდუალიზმი „ქართულ პარნასზე უკიდურესი სახით იჩენს თავს“. ხელოვნებაში, კეძოდ, ქართულ ტრადიციულ მრავალხმიანობაში, ეს საოცარ შედეგებს იძლევა, თუმცა უკიდურესი ინდივიდუალიზმი ყოველთვის არ არის გა-



**ნათქვამი გამოცემის ქართულად
თანხმობა ასე ნათქვამი
საზოგადოებრივ სწავლებასა
და სახელმწიფოს მოწყობაში
მეორე, ნათქვამი თანხმობა,
პარამონა და წესრიგი მართლ-
კანონიერი იდეოლოგიის ერთ-
ერთი ქვეყნის – ქართული
მრავალმხრივი მონაწილე
თქმისაა?**



მოსადეგისაზოგადოებრივი თანხმობისთვის, სადაც ბევრად მნიშვნელოვანია სხვა დისკურსი, კერძოდ – *dura lex, sed lex* – კანონი მკაცრია, მაგრამ კანონია. ანუ თანხმობა, წესრიგი და ინდივიდუალური ინტერესები – კანონის პრიმატს დაფუძნებული.

9. ქართული მრავალმხრივობა არის ნიმუში გეშტალტის ველფლინისეული გააზრებისა, სადაც მხატვრული მთლიანობა მასში შემავალი ნაწილების ჯამს აღემატება. ამის საუკეთესო პოეტური გამოხატულებაა გენიალური ქართველი პოეტის, აკაკი წერეთლის, „ჩანგური“: „ჩა(ო)ნგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო, ერთი მათგანიც რომ გაწყდეს, მაშინვე უნდა შეველაო“. აი, სადა არის ძალაუფლების გადანაწილების, ხელისუფლების შტოების დამოუკიდებლობისა და მათი ურთიერთბაღმართის საუკეთესო ნიმუში, რომლის შედეგია ის საოცარი ჰარმონიული თანხმობა და მშვენიერება, რომლებიც ქართულ მრავალმხრივ სიმღერაში მიიღწევა.

და ბოლოს, რა შეიძლება იყოს ამ შინაგანი წინააღმდეგობისა და ზემოხსენებული ანტინომიის მოხსნის მექანიზმი?

ვფიქრობ, ქართული მრავალმხრივი სიმღერების ესთეტიკური ბუნების რეფლექსია თანამედროვე სოციალურ-კულტურულ კონტექსტში არის მეთოდი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ეროვნული მუსიკალური კულტურისთვის ორგანული თვისებების მოხმობა თანამედროვე პოლიტიკურ კულტურაში; მუსიკალურ-მხატვრული აზროვნების ისტორიულად ჩამოყალიბებული, საფუძველდამდები პრინციპების კრიტიკული გააზრება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ანუ ჯალალედინ რუმის ცნობილი რობაია რომ გავიხსენოთ:

„ჰეი, რომელნიც ეძიებთ უფალს,
სადღაც თქვენს მიღმა, სადღაც თქვენს იქით,
ვერსად იპოვით სხვაგან, რამეთუ,
თქვენშია იგი, თქვენშია იგი“.

ვფიქრობ, სწორედ ჩვენში, ჩვენივე კულტურაშია თანხმობის, ურთიერთგაგების, წესრიგის, სისტემურობისა და საპირისპირო საწყისთა ერთიანობის საფუძველი, რომლის საუკეთესო ნიმუშია ტრადიციული ქართული მრავალმხრივობა.

EL SISTEMA

სამუსიკო განათება ვენესუელაში



ნუსუდან თაყაიშვილი

მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრის
მუსიკის ექსპერტ-კონსულტანტი

ვენესუელაში სამუსიკო განათლების
შესაძლებლობა თითოეული ბავშვის
კონსტიტუციური უფლებაა და
ფილანტროპიად არ ითვლება.

ვენესუელის მუსიკალურ-საგანმანათლებლო სისტემის გასაცნობად და
მკითხველის მოტივაციის ასამაღლებლად ყველაზე ეფექტური საშუალება იქნება
მითითებული ბმულის გახსნა და ვიდეოკადრების ნახვა.

https://www.google.com/search?q=mambo+gustavo+dudamel&rlz=1C1GCEU_enGE1022GE1022&oq=mambo&aqs=chrome#fpstate=ive&vld=cid:6a6c2133,v id:-8wS-1Eqonk



ფოტოსურათებზეც ჩანს, რომ სიმფონიური ორკესტრი ჩვეულებრივ კონცერტს
არ მართავს — განსაკუთრებულია მუსიკოსების გამომეტყველება, მოძრაობები,
ჩაცმულობა.



კონცერტი ჩაწერილია ცნობილი ფესტივალის დროს ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ საკონცერტო დარბაზში, ლონდონის ალბერტ ჰოლში (The Royal Albert Hall), 2007 წელს, BBC Proms ფესტივალზე. ეროვნული სიმბოლიკით დამშვენებულ ტანსაცმელში (ყველა მუსიკოსის ქურთუკზე ეროვნული დროშა და ქვეყნის სახელია გამოსახული) გამოწყობილი ორკესტრი საოცარ წარმოდგენას აწყობს – მუსიკოსები შესრულების პროცესში ფეხზე დგებიან, მოძრაობენ რიტმის შესაბამისად, ცეკვავენ, ადგილებს უცვლიან ერთმანეთს, ჰაერში მოხერხებულად ისვრიან და ატრიალებენ საკრავებს. ატმოსფერო დამუხტულია, შესრულების პროცესში ჩართულია დარბაზიც. მონაწილეები სიხარულს ასხივებენ.

მათთან ერთ მთლიანობას ქმნის ასევე გამოწყობილი დირიჟორი – გაცისკროვნებული გამომეტყველებით, ენერგიული მოძრაობებით, რაც კმაყოფილებას, ამ შემოქმედებითი პროცესით მოგვრილ სიამოვნებას ამჟღავნებს და იმასაც გვიჩვენებს, როგორ მოსწონს შესრულება და ამაყი და ბედნიერია ამით.

ლეონარდ ბერნსტაინის მუზიკლ „ვესტსაიდური ისტორიიდან“ „მამბოს“ შემსრულებელი კოლექტივი სიმონ ბოლივარის¹ ახალგაზრდული სიმფონიური ორკესტრია, დირიჟორობს მაცეტრო გუსტავო დუდამელი. საშემსრულებლო ოსტატობის უმაღლეს ხარისხთან ერთად სწორედ მოზღვავებულ დადებით ენერგიასა და ნაპერწკალს აღნიშნავს ამ უკვე საყოველთაოდ აღიარებული ვენესუელური ორკესტრის საკონცერტო გამოსვლების დამსწრე აუდიტორია.

ორკესტრის დებიუტი საერთაშორისო სარბიელზე სწორედ ლონდონში, დასახელებულ ფესტივალზე შედგა 2007 წელს. დღეს ორკესტრს უზარმაზარი საგასტროლო გამოცდილება აქვს, მას იწვევენ მსოფლიოს წამყვან დარბაზებში და ლონისძიებებზე. მისი რეპერტუარი ფართოა, ბეთჰოვენის, ჩაიკოვსკის, შოსტაკოვიჩის სიმფონიებთან ერთად ასრულებს თანამედროვე კომპოზიტორთა, მათ შორის, ლათინურ-ამერიკელ კომპოზიტორთა ნაწარმოებებსაც. განსაკუთრებულად აღსანიშნავია ორკესტრის თანამშრომლობა გამოჩენილ დირიჟორებთან, როგორებიც არიან კლაუდიო აბადო, სერ საიმონ რატლი და სხვები.

საზოგადოდ, კლასიკური მუსიკის მიმართულებით ვენესუელას არ ჰქონია განსაკუთრებული ტრადიციები. ამ მიმართულებით გადატრიალება მოხდა 1975 წელს, როდესაც ხოსე ანტონიო აბრეუმ² (19-2015) – ეკონომისტმა, პედაგოგმა და მუსიკოსმა – შეძლო ხელისუფლების დარწმუნება და ახალი პროექტი წამოიწყო. ქვეყანაში არსებული მძიმე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის

გათვალისწინებით პროექტის სამიზნე აუდიტორია იყო ბავშვები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან. პროექტი მიზნად ისახავდა შეძლებისდაგვარად ბევრი ბავშვის დაინტერესებას კლასიკური მუსიკით და მათ ჩაბმას საშემსრულებლო საქმიანობაში, მათთვის სოციალური პირობების გაუმჯობესების შე-
საძლებლობისა და ქუჩის ცხოვრების ალტერნატივის მიცემას.

ცნობილია, რომ პირველ მეცადინეობაზე, რომელიც კარაკასის მიწისქვეშა ავტოსადგომზე გაიმართა, მესტრო აბრეუსთან 11 ბავშვი მივიდა, მეორეზე – 25, მესამეზე კი – 75. ორ კვირაში ორკესტრს 150 წევრი ჰყავდა, ხოლო 4 წელიწადში საორკესტრო კოლექტივების რაოდენობამ რამდენიმე ათეულს გადააჭარბა.

ამ მუსიკალურმა მოძრაობამ საგანმანათლებლო სისტემის³ სახე მიიღო. მის სლოგანს „დაუკარი და მო-
იპოვე!“ აბრეუ განმარტავს, როგორც ბრძოლას „ყოფიერების სილამაზისთვის“ – „გავანდოთ/გავუშვილოთ
ჩვენს ბავშვებს მუსიკის სილამაზე და მუსიკა გაანდობს მათ ცხოვრების სილამაზეს“.

როგორც ერთ-ერთი ავტორი წერს, „აბრეუ მოიპოვებს ბევრად უფრო კონკრეტულ პრაქტიკულ საგნებს,
როგორებიცაა ფული, შენობები, საკრავები.“ აბრეუს დიპლომატიის დამსახურებით სისტემა სოციალური
დაცვისა და ჯანმრთელობის სამინისტროს დაქვემდებარებაშია და ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. თუმცა
პროექტის დაფინანსებაში მონაწილეობენ არა მარტო ცენტრალური ხელისუფლება, არამედ კერძო კომ-
პანიებიც.

El Sistema სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტს წარმოადგენს და მოზარდთა მხატვრულ-ესთეტიკურ
განვითარებასთან ერთად მისი დამსახურებაა სოციალური განვითარებისა და წინსვლის შესაძლებლობის
მიცემა, ე.წ. „სოციალური ლიფტის“ ფუნქციის შესრულება. ვენესუელაში ამ სისტემაში გაერთიანებულია 700
000 ახალგაზრდა და ბავშვი – 125 ახალგაზრდული და საბავშვო კოლექტივის – გუნდებისა და ორკესტრების
წევრები. ამ რიცხვმა, აბრეუს პროგნოზითა და გათვლით, 1 000 000-ს უნდა მიაღწიოს.

აბრეუს რეკომენდაციით, უმნიშვნელოვანესია მუსიკალურ ანსამბლში/ორკესტრში მონაწილეობა
ადრეული ასაკიდანვე, ვინაიდან, მისი აზრით, ორკესტრი საზოგადოების მინი-მოდელს წარმოადგენს და
მასში მონაწილეობით ბავშვს თავიდანვე უვითარდება სოციალური ფუნქცია.





სისტემის დამსახურებაა საყოველთაო სამუსიკო განათლებისაკენ ერთსულოვანი სწრაფვა. იგი ძალიან პოპულარულია ვენესუელაში, სისტემის აღზრდილებს ახასიათებთ დიდი სიყვარული და ერთგულება მის მიმართ და ამ მოძრაობის პატრიოტები არიან. ამ დამოკიდებულებას უმთავრესად განაპირობებს ის, რომ:

- ქვეყანაში არსებულ უმძიმეს ეკონომიკურ და სოციალურ ფონზე მას ოაზისის დატვირთვა აქვს.
- მონაწილეთა ოჯახებმა იციან, რომ მათ შვილებს აქვთ წინსვლის, წარმატებისა და აღიარების პერსპექტივა.
- El Sistema განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სოციალურად დაუცველ მოსწავლეებს. სახელმწიფოსგან მოსწავლეები სტიპენდიას იღებენ.
- სისტემა ნერგავს ინკლუზიური განათლების პრინციპებს – სისტემაში იღებენ ნებისმიერ მსურველს. აქვე შეიძლება დავამატოთ, რომ ვენესუელაში არსებობს უსინათლოთა გუნდიც.
- სისტემაში მონაწილეობა – სასწავლო პროცესი, ინსტრუმენტები, ფორმები, მგზავრობა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.

სისტემა ფოკუსირებულია ინტენსიურ და ხალისიან მუსიკალურ-შემოქმედებით პროცესზე, როგორც სოციალური განვითარების საშუალებაზე. ერთ-ერთი მონაწილის მიერ გაზიარებული მასწავლებლის რჩევაა: „დაუკარიტ გულით და არა თავით“, რაც მიუთითებს, რომ მათ გეზი ალებული მუსიკისადმი დამოკიდებულების, მისი ემოციური აღქმის, ფაქიზი ხმოვანების ჩამოყალიბებისკენ აქვთ ალებული. სასწავლო პროცესი კვირაში სამი მეცადინეობით განისაზღვრება, რასაც ემატება შაბათ-კვირის შეხვედრები. რეპეტიციები სხვადასხვა რაიონულ ცენტრში მსგავსი მეთოდით მიმდინარეობს. ძალიან მნიშვნელოვანია საკრავთა იმ ოსტატების წვლილი, რომლებიც მუდმივად ზრუნავენ ინსტრუმენტების გამართულ მდგომარეობაში ყოფნაზე.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სისტემის ზემოქმედება მოსწავლეების ოჯახებსა და გარემოცვაზე. თითოეული ყმაწვილი მუსიკოსის ოჯახი – მშობლები, და-ძმა, ასევე, სხვა ნათესავები – დიდი მუსიკალური მოძრაობის მონაწილე ხდება. ისინი თვალყურს ადევნებენ, ესწრებიან კონცერტებს, ეცნობიან ორკესტრის სტრუქტურას, დირიჟორებს, შემსრულებელთა შემადგენლობას, რეპერტუარს, გასტროლების განრიგს და დროდადრო დაემგზავრებიან კიდეც. უმცროსი ნათესავები უკვე ბუნებრივად ექცევიან El Sistema-ს ველში და მათთვის თითქოს იმთავითვეა განპირობებული, რომ ამ საზოგადოების წევრები გახდნენ. BBC-ის შეკვეთით გადაღებულ ფილმში El Sistema – The Miracle, ერთ-ერთი გოგონა ჰყვება, რომ პირველივე გაკვე-

თილის შემდეგ იტკინა ფეხი და მოუწია სახლში დარჩენა. ტკივილზე გაცილებით მეტად რეპეტიციის გაცდენა აწუხებდა. როდესაც სამეცადინოდ მივიდა, ყველა უსიამოვნება გადაავიწყდა.

სისტემის წარმატება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კონკრეტული მასწავლებლების პრაქტიკაზე, ისინი სისტემას შიგნიდან, შეიძლება ითქვას, ქვემოდან უტერენ მხარს და ხშირად მისივე აღზრდილები არიან, რაც მათი დამოკიდებულებისა და ერთგულების განმაპირობებელია.

El Sistema-ის აღზრდილია დირიჟორი და მევიოლინე გუსტავო დუდამელი. იგი 1999 წლიდან, 18 წლის ასაკიდანაა სიმონ ბოლივარის ორკესტრის მუსიკალური დირექტორი⁴. მისი თქმით: „მუსიკას საოცარი სოციალური ძალა აქვს... თავდაპირველად სისტემის წევრი ხდები და ოცნებობ, რომ მუსიკოსი იყო, თუმცა ნელ-ნელა აღმოაჩენ, რომ სისტემა გაძლევს წვდომას არა მარტო მუსიკაზე, არამედ ახალ ცხოვრებაზე, მუსიკა განიჭებს სოციალურ ძალას.“

მაესტრო დუდამელი და სისტემის მესვეურები არ საუბრობენ პოლიტიკაზე, არ გამოხატავენ თავიანთ კუთვნილებასა და კეთილგანწყობას რომელიმე პარტიისა თუ მიმართულების მიმართ. ცნობილია, 2013 წელს ორკესტრი დუდამელის დირიჟორობით მონაწილეობდა უგო ჩავესის დაკრძალვის ცერემონიაში, სადაც ვენესუელის ეროვნული ჰიმნი შეასრულა.

თუმცა El Sistema ჯერ კიდევ სოციალისტურ წესწყობილებამდე დაარსდა და მწვანეთა მმართველობის დროსაც გაგრძელდა, მაგრამ პოპულარული სწორედ ჩავესის დროს გახდა. სისტემის ხელმძღვანელობა არ ეხება ამ თემას და არ ერევა პოლიტიკაში.

დღეს El Sistema-ის საგანმანათლებლო პრინციპები მთელ მსოფლიოში მიღებული და აღიარებული. El Sistema გავრცელებულია და მისი ფილიალები შექმნილია აშშ-ში, მექსიკაში, ინგლისში, საბერძნეთში, იტალიაში, ესპანეთში, იაპონიასა და სხვა ქვეყნებში.

ინგლისში ამ სისტემის ინსპირაციით ამოქმედდა პროგრამა In Harmony, ცნობილი მუსიკოსის, ვიოლონჩელისტის – ჯულიან ლოიდ ვებერის ხელმძღვანელობით. ბრიტანეთის მთავრობის ხელშეწყობით სოციალური და მუსიკალური საგანმანათლებლო პროგრამა El Sistema-ის ინგლისური კონტექსტისათვის ადაპტირებულ ვერსიას წარმოადგენს.

აღვნიშნავთ, რომ El Sistema-ის მაგალითზე 2016-2019 წლებში თბილისში ექსპერიმენტის სახით ფუნქციონირებდა მუნიციპალური გუნდი, რომელიც აერთიანებდა მუსიკალური მონაცემების მქონე ბავშვებს ბავშვთა სახლიდან და საჯარო სკოლებიდან, ძირითადად სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან. მათი შერჩევისას განმსაზღვრელი კრიტერიუმი სამუსიკო განათლებას არქონა იყო, რაც „თბილისის ბავშვთა გაერთიანებულ გუნდს“ სამუსიკო სკოლების ალტერნატივის სახეს ანიჭებდა⁵.



**აბნუს ჩაოვანდსიით,
უმნიშვნელოვანესია
მუსიკალური ანსამბლი/
ორკესტრი მონაწილეობა
აღწეული ასაკიდანვე,
ვინაიდან, მისი აზრით,
ორკესტრი საზოგადოების
მინი-მოვლას წარმოადგენს
და მასში მონაწილეობით
ბავშვს თავიდანვე უპირობოა
სოციალური უწყაშია.**



სამუზეუმო პედაგოგიკა და მასწავლებლის როლი



სოფიო ჯაპარიძე

ხელოვნებათმცოდნეობის
დოქტორი

დამდეგ 2023 წელს ტერმინს „სამუზეუმო პედაგოგიკა“ 110 წელი უსრულდება. საქართველოში ეს სფერო ჯერ კიდევ ძალიან ნორჩია, მაგრამ პირველი ნაბიჯები უკვე გადადგა და ნელ-ნელა წელში იმართება. სკოლის პედაგოგებს მუზეუმებმა დახმარების ხელი გამოგვიწოდეს. მათგან ბევრი სასარგებლო რჩევის მიღება შეგვიძლია. იმედია, ჩვენი თანამშრომლობა მოზარდ თაობას და, შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის მომავალსაც მნიშვნელოვნად წაადგება.

სამუზეუმო პედაგოგიკის სამშობლო გერმანია გახლავთ. 1913 წელს ქ. მანჰეიმში ჩატარებულ კონფერენციაზე „მუზეუმი, როგორც საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი დაწესებულება“ ხელოვნების ისტორიკოსმა, ჰამბურგის ხელოვნების მუზეუმის დირექტორმა ალფრედ ლიხტვარკმა პირველმა გამოთქვა აზრი, რომ მუზეუმმა, გარდა თავისი პირდაპირი დანიშნულებისა (ისტორიისა და კულტურის ძეგლთა შეგროვება, შენახვა, შესწავლა), საგანმანათლებლო ფუნქციაც უნდა შეითავსოს. მან შესთავაზა მუზეუმებს, მაქსიმალურად გამოეყენებინათ საკუთარი პოტენციალი, გაემართათ „დიპლოგი“ დამთვალიერებლებთან, წარედგინათ ექსპოზიცია ისე, რომ სტუმარს ექსპონატი უფრო ფართო კონტექსტში დაენახა.

1921 წელს ჟურნალში «Museumskunde» რედაქტორი კ. ჰ. იაკობ-ფრიბენი მუზეუმების მესვეურთ საყვედურობს — ისინი ჯერ ვერ ასრულებენ საგანმანათლებლო ცენტრების ფუნქციას! ეს კრიტიკული წერილი იმის ნიშანია, რომ საზოგადოება უკვე ელის სიახლის დანერგვას, ხალხს სურს, შვილები მუზეუმებში ატარონ, სპეციალურ პროგრამებში ჩართონ და შედეგი საკუთარი თვალით იხილონ. მუშაობა მიმდინარეობს, იდეა თანდათანობით ფორმებს იძენს, მწიფდება. ამავე პერიოდში გერმანელი მეცნიერები, ფსიქოლოგები, პედაგოგები სწორედ ამ ახალ მიდგომებს უყრიან საფუძველს. ჩნდება ტერმინები „პროპედევტიკური მუზეუმი“ და „სამუზეუმო ექსპოზიციის პედაგოგიკა“. მათი ავტორი განათლების სისტემის ერთ-ერთი რეფორმატორი გეორგ კერშენშტაინერია.

ენტუზიასტების შრომამ სასურველი შედეგი გამოიღო. დღეს მსოფლიოს ყველა მუზეუმში, მათ შორის საქართველოშიც, მოქმედებს საგანგებო საგანმანათლებლო პროგრამები, ასაკობრივ სპეციფიკაზე მორგებული ღონისძიებები, პროექტები.

სამწუხაროდ, ბევრ მშობელს არ გააჩნია მუზეუმში შვილთან ერთად სიარულის ჩვევა ან ვერ იცლის საამისოდ. უამრავი ბავშვი ისე ამთავრებს სკოლას, მუზეუმში არც ყოფილა. სკოლა არის ის დაწესებულება, რომელსაც შეუძლია ეს დანაკლისი



სამხსენაროდ, ბავშვთა მომზადება ან გააჩნია მუზეუმში შეიძლება ერთად სიარულის ჩვევა ან ვერ იცის საამისოდ. უამრავი ბავშვი ისე ამთავრებს სკოლას, მუზეუმში არც ყოფილა. სკოლა არის ის დაწესებულება, რომელსაც შეუძლია ეს დანაკლისი



შეავსოს, დაგეგმოს მუზეუმში ექსკურსია, შესთავაზოს მოსწავლეებს ახალი შემეცნებითი გამოცდილება და ამით ხელი შეუწყოს მისი თვალსაწიერის გაფართოებას, პიროვნულ ზრდას. სკოლის მასწავლებლისთვის სამუზეუმო საგანმანათლებლო პროგრამები დიდი დახმარება და შესაძლებლობაა, მაგრამ სამუზეუმო პედაგოგიკა, ცხადია, სკოლას ვერ შეცვლის.

რატომ? სამუზეუმო პედაგოგიკა არ გულისხმობს უწყვეტ სასწავლო პროცესს. მუზეუმი ვერ დაგეგმავს სწავლებას „მარტივიდან რთულისკენ“ ან „ზოგადიდან კონკრეტულისკენ“. სასკოლო პედაგოგიკა კი არის ჰოლისტური სისტემური პროცესი, რომლის მიზანია სწავლება, პიროვნების მრავალმხრივი განვითარება და აღზრდა, მისი აღჭურვა გარკვეული კომპეტენციებით. სკოლას აქვს პროცესის მართვის, კორექტირების მეთოდები და მოსწავლის ინდივიდუალური მიღწევების შემოწმების, შეფასების ბერკეტები. ამ მხრივ საკვანძო ფაქტორია უკუკავშირი. სამუზეუმო პედაგოგიკას ამ უკუკავშირის შესაძლებლობა არ ეძლევა. მუზეუმის ძირითადი კონტინგენტი არის ერთჯერადად მოსული სტუმარი – „მოვიდა, ნახა, წავიდა“. მუზეუმმა შეიძლება შემოგვთავაზოს ლექცია, პრაქტიკული აქტივობა, ინტერაქტიული მეცადინეობა, შემეცნებითი თამაში, მაგრამ ის ვერ მიიღებს უკუკავშირს – ვერ დარწმუნდება იმაში, რომ დამთვალიერებლისთვის ეს სასარგებლო და შედეგიანი იყო; ვერ დაინახავს, რამდენად აითვისა დამთვალიერებელმა მასალა; ვერ გაადევნებს თვალს ამ პროცესს დინამიკაში. მასწავლებლებმა ხომ ვიცით, რომ შედეგმა შეიძლება არა მყისიერად, ხვალ ანზეგ, არამედ უფრო ხანგრძლივი დროის შემდეგ იჩინოს თავი.

მოსწავლეების წაყვანა მუზეუმში აუცილებელი შემადგენელი ნაწილია სასკოლო განათლების პროცესისა, მაგრამ ექსკურსიის შედეგიანობა სწავლების უწყვეტ ჯაჭვში სკოლის მასწავლებელზეა დამოკიდებული და არა მუზეუმის ექსკურსიამძღოლზე.

რატომ უნდა პასუხით გავუპასუხო?

ტერმინი ექსკურსია მოდის ლათინური სიტყვიდან *excursio* – გასეირნება, მოგზაურობა. მუზეუმში სტუმრობა არ შეიძლება იყოს მშრალი, რუტინული გაკვეთილი. ეს უნდა იყოს აღმოჩენებით სავსე დღესასწაული, თავგადასავალი. თავისთავად სკოლის გარემოდან გასვლა სასწავლო პროცესს უფრო დინამიკურს, მრავალფეროვანს, დასამახსოვრებელს ხდის. ბავშვისთვის მუზეუმში წასვლა ხომ უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ გასეირნება. ესაა ჩვეული ყოველდღიურობის სივრცის გარღვევა. მოსწავლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, აღმოჩნდეს განსხვავებულ, მისთვის უცნობ, უჩვეულო გარემოში. ახალი შთაბეჭდილება და გამოცდილება აფართოებს მის თვალსაწიერს, შემეცნებით დიაპაზონს, უფრო მდგრადს ხდის მის ემოციურ იმუნიტეტს, უღვივებს ესთეტიკისადმი მგრძნობიარობას.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მოსწავლეები სასკოლო პროგრამის ჩარჩოში არიან მოქცეულნი. მუზეუმი კი მათ სთავაზობს უამრავ თვალსაჩინოებას, რომელთა წყალობით უჩნდებათ საკუთარი ემოციური დამოკიდებულება ისტორიული ფაქტებისადმი. მუზეუმი ჯადოსნური „დროის მანქანაა“. ხელოვნების ნაწარმოებების და არტეფაქტების მეშვეობით მოზარდი ეცნობა ძველი ეპოქების და კულტურების ადამიანებს, მათი ცხოვრების წესს, ტრადიციებს, რწმენებს, საუკეთესო მიღწევებს. მუზეუმში ის ხედავს წინაპრებს, რომლებიც ხმლების ქნევით ცხენებს მიაჭენებენ, ხატებს, სამკაულს, იარაღს, უძველეს ჭურჭელს... მუზეუმში ბავშვს უწევს შეხება იმასთან, რაც, წარსულთან შედარებით, საკუთარი დროის და საკუთარი თავის შეცნობაში ეხმარება.

მუზეუმს აქვს თერაპიული ეფექტი. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ მიგვაჩვია უამრავი ვიზუალური ინფორმაციის აჩქარებული კადრებივით გამუდმებულ ცვლას. ბავშვები თვალს ვერ სწყვეტენ მონიტორებს, გავტეტებს, კომპიუტერულ თამაშებს, ანიმაციურ ფილმებს. უძრავი ექსპონატის თვალშიერებაში

გატარებული 2-3 წუთი კი გვაიძულებს შევაჩეროთ ეს ნიაღვარი. ერთ რომელიმე ობიექტზე ყურადღების კონცენტრაცია აუცილებელია, რომ ტვინი არ „გადაიწვას“. მუზეუმი არის ადგილი, სადაც შეგვიძლია „შევაჩეროთ დრო“, შევხვთ მარადიულს, შეუბღალავს, გავცვეთ ფიქრებს, ფანტაზიებს, დავტკბეთ მშვენიერებით, ვიოცნებოთ... სილამაზის ჭვრეტით მიღებული სიამოვნების განცდა ეკრანზე სწრაფად ცვალებადი კადრებით უბრალოდ შეუძლებელია.

ვთქვათ, ნუ იქნება ეს სწრაფად ცვალებადი კადრი, იყოს თუნდაც მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული ალბომის რეპროდუქცია და ბავშვი მას გატაცებით ათვალიერებდეს. რეპროდუქცია ვერ შეუქმნის მას ისეთ ნამდვილ შთაბეჭდილებას, როგორცაა მუზეუმში ნანახი დედანი. გარდა ფერებისა ან მხატვრის ფუნჯის მონასმის კვალისა, რითაც დედანი გატყვევებს, ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია მასშტაბი. ის, რაც რეპროდუქციაზე შეიძლება პატარად აღიქვას, სინამდვილეში იყოს დიდი და, პირიქით. ეს მხატვრობასაც ეხება, ქანდაკებასაც და დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებასაც. საკმარისია ითქვას, რომ დედანი მართალია, ხოლო საუკეთესო ასლიცა და რეპროდუქციაც ტყუის. ბავშვები კი ძალიან მგრძნობიარენი არიან სიმაღლისა და სიყალბის მიმართ.

ძველად ხელოვნება თითოეულ ოჯახში იყო შეჭრილი – კედელზე ფერწერის ან რეპროდუქციის, მოჩუქურთმებული ავეჯის, ლამაზი ფაიფურის ჭურჭლის სახით მაინც. ასეთი სახლიდან მუზეუმში მოსული ადამიანი თავს უცხო გარემოში არ გრძნობდა. საბჭოურმა კორპუსებმა მცირეგაბარიტიანი ბინებიდან სრულიად განდევნეს ქანდაკება, რიკულები, მძიმე ძველებური ავეჯი... ოსტატების ნახელავი მოსახერხებელმა, მაგრამ მასობრივმა და მარტივმა ნივთებმა ჩაანაცვლეს. ასეთი გარემოდან მაღალკოლონიებიან და მარმარილოსიატაკიან მუზეუმში მოსული ბავშვი ხედავს დახვეწილ, მაღალმხატვრულ ექსპონატებს. ის სრულიად სხვა, ზღაპრულ სამყაროში ხვდება. შეიძლება თავი უფლისწულად ან პრინცესად წარმოიდგინოს. და არ უნდა ველოდოთ, როდის იქნება ის მზად ამ საუცხოო გარემოს აღქმისთვის. უნდა შევიყვანოთ ბავშვი ამ სამყაროში და, რაც უფრო ადრე, მით უკეთესი.

მუზეუმი მშვენიერების საცავია. იქიდან გარეთ გამოსული მოზარდი უკვე ჩვეულ გარემოშიც გამოარჩევს სილამაზეს. ამასთანავე, მას თვალს სჭრის, აწუხებს ის სიმახინჯე და უწესრიგობა, რომელთაც მანამდე გულგრილად უვლიდა გვერდს. მუზეუმში ექსკურსიის შემდეგ ხშირად უთქვამთ მშობლებს, რომ შვილმა კედლებზე თავისი ნახატები დაკიდა ან ოთახი მიაღაგა. მუზეუმის დათვალიერება, ხელოვნების ნაწარმოებების ნახვა, სინატიფესთან შეხება ბავშვებს უჩენს სურვილს, საკუთარი სივრცე მიაღსგავსონ იმას, რაც ნახეს და მოეწონათ. სასურველია, მოსწავლეები დაწყებითი საფეხურიდანვე ვატაროთ მუზეუმებში. ზრდასრულს შეიძლება აღარც გაუჩნდეს კულტურის კერების მონახულების სურვილი, თუ ეს ინტერესი პატარაობიდანვე არ ჩავუნერგეთ. თანდათანობით ჩვევა მოთხოვნილებაში გადაიზრდება.

ვაშა! გადაწყდა, დავიწყეთ მოსწავლეების ტარება მუზეუმებში, მაგრამ აქ დგება კიდევ ერთი საკითხი – ახალი გამოცდილება ბავშვისთვის შეიძლება დღესასწაულიც გახდეს და მძიმე სტრესიც. როგორ მოვიქცეთ, რომ ექსკურსია მოსწავლისთვის სამუდამო ტრავმად არ იქცეს?



მოსწავლეების ნაყვანა

მუზეუმი აუცილებელი

შემაჯავნელი ნაწილია სასკოლო

განათლების პროცესისა, მაგრამ

ექსკურსიის შედეგია ნოვა

სწავლების უწყვეტ ჯაჭვში

სკოლის განათლებისთვის

დამოკიდებულია და არა მუზეუმის

ექსკურსიამდგომარად.



ხელოვნების მუზეუმში ექსკურსიის დასასრულს მასწავლებლის შეკითხვაზე – „რა მოგეწონათ ყველაზე მეტად?“ – ერთმა მოსწავლემ ხანძარსაწინააღმდეგო დიდი წითელი ცეცხლმაქრისკენ გაიშვირა თითი. მასწავლებელი მზად უნდა იყოს იმისთვის, რომ სამუზეუმო სივრცეში ბავშვისთვის საინტერესო სულ სხვა რამ შეიძლება აღმოჩნდეს და არა ის, რისკენაც ჩვენ გვინდა მივმართოთ მისი ყურადღება.

თავისთავად მუზეუმის ინტერიერი – მაღალჭერიანი დიდი დარბაზები, გრძელი დერეფნები, პარადული კიბე, მინის ვიტრინები – უკვე საინტერესოა ბავშვისთვის. ის თავს გრძნობს, როგორც ცეროდენა გოლიათების ქვეყანაში. ნუმისცემთ შენიშვნას, აცადეთ დაიკმაყოფილოს ცნობისმოყვარეობა, თუკი ბრძღვია ჯალისკენან ძველი პარკეტის წყობისკენ გაეცევა თვალი. მასწავლებელი მზად უნდა იყოს დაუგეგმავი გადახვევებისთვის.

ძალიან მნიშვნელოვანია, არ გადავტვირთოთ მოსწავლის შთაბეჭდილებების სკივრი. აჯობებს შევარჩიოთ სულ რამდენიმე ექსპონატი და მათზე გავუმახვილოთ ყურადღება, ვიდრე მთელი კოლექციის ნახვას დავხარბდეთ, თავქუდმოგლეჯილებმა მოვარბენინოთ დარბაზები და პატარა ტვინებში ჩავუყაროთ სრული აჯაფსანდალი. ბიბლიოთეკაში შესვლისას თაროებზე შემოწყობილი წიგნების ყუებზე თვალის შევლება არ ნიშნავს, რომ ჩვენ ისინი წავიკითხეთ, – წერს პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი, ფსიქოლოგი ჯიმს პაველსკი. არადა, მუზეუმის დამთვალიერებელთა დიდი პროცენტი სწორედ ასე იქცევა – ცნობილია, რომ ნაწარმოების წინ დამთვალიერებელი საშუალოდ 15–30 წამს აყოვნებს. შეუძლებელია აღიქვა ექსპონატი დარბაზიდან დარბაზში რბოლის დროს. „შეხედეთ მუზეუმის კოლექციას, როგორც რესტორნის მენიუს და არა საქმეების ჩამონათვალს“, – გვირჩევს იოხან იდემა, წიგნის „როგორ ვიაროთ მუზეუმებში“ ავტორი. წარმოიდგინეთ, რომ რესტორანში შეხვედით და ყველა კერძი შეუკვეთეთ, რაც კი მენიუში წერია. კვების ექსპერტები ხომ გვირჩევენ, რომ სუფრიდან ოდნავ მშეირი უნდა ავდგეთ. ბავშვმა მუზეუმში უამრავ საინტერესო რამეს მოჰკრა თვალი! მას აუცილებლად დარჩება შეკითხვები და სიამოვნებით მიბრუნდება სხვა დროსაც. გაიხსენეთ, რამდენჯერ უკითხავთ მოსწავლეებს თქვენთვის: „მას, კიდევ როდის წავალთ?“ მე მახსოვს შემთხვევა, როდესაც მოსწავლემ ვერ მოითმინა, მეორე დღესვე ჩაკიდა მშობლებს ხელი, წააყვანინა თავი მუზეუმში, რომ ცნობისმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა და ექსკურსიაზე გავლით თვალმოკრული ექსპონატები ყურადღებით დაეთვალიერებინა. თუ რესტორნის მეტაფორას მივყვებით, მას ხელოვნება „მოშვიდა“! მისთვის მუზეუმში სტუმრობა აღმოჩენებით სავსე თავგადასავალი გახდა, რომლის გამეორებაც მოენატრა.

ამ თავგადასავალსაც სჭირდება დაგეგმვა. ეს გეგმა სამ ძირითად საფეხურს მოიცავს:

1. წინასწარი მზადების ეტაპი;
2. მუზეუმში სტუმრობის ეტაპი;
3. რეფლექსიის ეტაპი.

წინასწარი მზადება

აქარ ვისაუბრებ ისეთ ტექნიკურ საკითხებზე, როგორებიცაა სკოლისა თუ მუზეუმის ადმინისტრაციასთან, მშობლებთან, ტრანსპორტის მძღოლთან შეთანხმება ან ფინანსური მხარე.

ეს სტატია ცნობილი პედაგოგების, ფსიქოლოგების, მუზეუმების კურატორების რჩევებისა და ჩემი საკუთარი გამოცდილების ნაზავია. მაშ, ასე:

მასწავლებელმა წინასწარ უნდა იფიქროს, რომელ მუზეუმში და რისთვის მიჰყავს მოსწავლეები, რა თემას გადიან, რას ნახავენ იქ ისეთს, რაც მათ თემის გაღრმავებულ „გახსნაში“ დაეხმარება. სასურველია,

მოსწავლეების წაყვანამდე თავად ეწვიოთ მუზეუმს (თუ ჯერ არ ხართ იქ ნამყოფი) და შეარჩიოთ თემასთან დაკავშირებული რამდენიმე საკვანძო ექსპონატი. წინასწარ ნახეთ, სად, რომელ დარბაზებშია გამოფენილი თქვენთვის საინტერესო ნიმუშები და დაგეგმეთ მათი ნახვის თანამიმდევრობა.

შეამზადეთ მოსწავლეები იმისთვის, რასაც მუზეუმში ნახავენ. ამით თქვენ შეამცირებთ ჩვეული გარემოდან და რეჟიმიდან ამოვარდნით გამოწვეულ სტრესს. უამბეთ, რომ მათ მოუწევთ გასეირნება საოცარ სასახლეში, სადაც ცხოვრობენ სურათები, ქანდაკებები და ლამაზი ნივთები. სასურველია, წინასწარ აჩვენოთ იმის ფოტოები და რეპროდუქციები, რასაც ნახავენ. როდესაც ბავშვი დარბაზში დაინახავს ორიგინალს, ისე გაუხარდება, როგორც ნაცნობთან შეხვედრა. მისთვის მუზეუმის გარემო აღარ იქნება უცხო.

მუზეუმში ექსკურსიის დროს გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბავშვი მალე იღლებს, მან უნდა შეიცვალოს პოზა, იმოძრაოს, გადაიტანოს ყურადღება სხვა რამეზე. ეცადეთ, დაგეგმოთ მრავალფეროვანი აქტივობები, თამაშები.

წინასწარ გაამზადეთ და გაამრავლეთ სამუშაო კითხვარები, რომლებსაც მუზეუმში მისვლისას დაურიგებთ მოსწავლეებს. მოიფიქრეთ, რა შეკითხვები შევა ამ კითხვარში. ზოგიერთ მუზეუმს უკვე აქვს ამგვარი მზა კითხვარები, ე.წ. „კურატორის თამაში“, გაარკვიეთ მუზეუმის ადმინისტრაციასთან, აქვთ თუ არა მათ მზა ბუკლეტები ბავშვებისთვის, რა კითხვები შედის, არის თუ არა გამოყოფილი ადგილი ჩანახატისთვის. თუ არა, მაშინ ეს დანაკლისი მასწავლებელმა უნდა შეავსოს. მით უფრო, რომ მასწავლებელმა იცის, რა თემას გადიან მოსწავლეები სკოლაში და კითხვარში შეუძლია სწორედ თემაზე ორიენტირებული, მიზანმიმართული შეკითხვები შეიტანოს. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს და თან იქონიოს ფურცლები და ფანქრები ჩანახატებისთვის. შეგიძლიათ შეადგინოთ და დაუბეჭდოთ კროსვორდი ახალი სიტყვების ჩასაწერად.

დაბოლოს, აუხსენით, რისი კეთებაა რეჟიმი მუზეუმში. მთავარი პრობლემა ისაა, რომ მუზეუმში არ შეიძლება ექსპონატებთან მიკარება. არადა, ტაქტილური შეგრძნებები ბავშვის განვითარების მნიშვნელოვანი შემადგენელია. აუხსენით, რომ ეს ექსპონატები ძალიან ძველია, ხელის ხლევა მათ აზიანებს. უამბეთ, რომ დარბაზებში დაცულია გარკვეული ტემპერატურა და ტენიანობა, რომ ეს ნივთები არ გამოშრეს და დატყდეს, არ დაობდეს, არ გაუჩნდეს პარაზიტები, არ შეჭამოს ჩრჩილმა... ყველამ რომ ხელი მოჰკიდოს ექსპონატს, ის შეიძლება „ავად გახდეს“. შემდეგ მასწავლებელს სამკურნალოდ „ექიმთან“ (რესტავრატორთან) დასხვადროს, როცა აქ მოხვალ, ის აღარ დაგხვდება... თუ ბავშვი თანაგრძნობით შეხედავს ექსპონატს, ეს უკვე დიდი საქმეა. სამაგიეროდ შეიძლება იატაკზე დაჯდომა, სიცილი, ყურადღებით თვალიერება, კითხვების დასმა, საკუთარ შეგრძნებებზე და შთაბეჭდილებებზე საუბარი თანაკლასელებთან, მასწავლებელთან, ექსკურსიამძღოლთან, დარბაზის მეთვალყურესთან... არჩევანი დიდია.

საზღვარგარეთ ზოგიერთ მუზეუმში საგანგებოდ არის გამოფენილი ქანდაკების ან არტეფაქტის ასლი, რომელსაც შეგიძლია ხელით შეეხო. ეს განსაკუთრებით კარგია მხედველობადაქვეითებული დამთვალიერებლებისთვის. იმედი ვიქონიოთ, ასეთ ფუფუნებას საქართველოშიც მოვესწრებით.

მუზეუმი სტუმრობის უბაჟი

გაიხსენეთ, როგორ წაიყვანეთ ბავშვი პირველად თეატრში. თქვენ მას უხსნიდით – აი, ესაა ფოიე, მაყურობელთა დარბაზი, ლოჟა, პარტერი, სცენა, კულისები. ახლა ფარდა გაიხსნება და გამოვლენ მსახიობები... ზუსტად ასევე, მუზეუმსაც სჭირდება განმარტება. მაშინ ბავშვი უფრო თამამად და მშვიდად ახერხებს ახალ სივრცესთან ადაპტაციას. აუხსენით, რატომაა გაბმული შემაკავებელი თოკები, რატომ ჩასვეს ლამაზი ნივთები მინის ხუფებში, რა საჭიროა დარბაზებში ძელსკამები...

გემოთ ვახსენე, რომ მოსწავლე უძრავად ყოფნით მალე იღლებს, უნდება ხელების ქნევა, სირბილი, ხტუნვა. მოიფიქრეთ სახალისო თამაშები. შეგიძლიათ „გასცეთ“ ნომინაციები: „ყველაზე ენერგიული ექს-

პონატი“, „ყველაზე მიძინებული ნაწარმოები“ (კეთილი, მამაცი, დიდი, პატარა, ჩუმი, ხმაურიანი და ა.შ.).

ძალიან კარგი იქნება, თუ შეაჩვევთ ბავშვებს დაინახონ ნაწარმოები სხვანაირად, გაამახვილონ ყურადღება მის სხვადასხვა ფრაგმენტზე. მუზეუმში იქონიეთ თან A4 ფორმატის მუყაოს ჩარჩო. დაანახეთ ბავშვებს ნაწარმოების ცალკეული ფრაგმენტები ამ ჩარჩოში. ასე შეძლებთ გაუმახვილოთ მათ ყურადღება დეტალებზე და დაანახოთ ფრაგმენტების ერთობლიობით მიღწეული მთლიანობა.

საჭიროა შიგადაშიგ სტატიკური აქტივობა შეიცვალოს დინამიკურით. ამაში დაგეხმარებათ როლური თამაშები: ვთქვათ, შესთავაზეთ ფერწერული ტილოს პერსონაჟების მიმიკის იმიტირება, პოზებისა და მოქმედების ინსცენირება, პანტომიმის გათამაშება, თავის წარმოდგენა სურათის ან ქანდაკების პერსონაჟად, მისი „გახმოვანება“, იმის მოფიქრება, რა უძლოდა ამ ვითარებას წინ და როგორ დასრულდება ამბავი. მუზეუმი სწორედ ამისთვის არსებობს – მან უნდა გვამოგზაუროს დროში, გაგვიცოცხლოს წარსული, გადაგვისროლოს შორეულ ეპოქაში, გვავრძნობინოს თავი კაცობრიობის კულტურის რომელიმე ეტაპის თვითმხილველად.

ნიუ იორკის მეტროპოლიტენ მუზეუმის საგანმანათლებლო პროგრამების ყოფილი კურატორის ს. ჯექსონ-დიუმონტის რჩევით, ძალიან ეფექტიანია ნაწარმოების წინ ფოტოს გადაღება პერსონაჟის პოზაში (განსაკუთრებით, მოზარდების შემთხვევაში). მსოფლიოს მრავალი მუზეუმი, მათ შორის ისინიც, რომლებშიც ჩვეულებრივ, ფოტოს გადაღება აკრძალულია, ახორციელებს მსგავს პრაქტიკას – „სელფის დღე“. ამ დღეს ნებისმიერს აქვს უფლება გადაიღოს ფოტო ნაწარმოებთან. ეს კიდევ ერთი ხერხია, რომ დამთვალიერებლებმა ექსპონატთან საკუთარი სიახლოვე დააფიქსირონ, გაშინაურდნენ, „დამეგობრდნენ“.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბავშვს ჩამოუყალიბდეს საკუთარი აზრი და დამოკიდებულება ექსპონატის მიმართ. ნუ ეცდებით მოახვოთ მას თქვენი აზრი. გამოიყენეთ სოკრატესეული მეთოდი, დაუსვით კითხვები და ასე მიიყვანეთ დასკვნამდე. თუ შეამჩნიეთ, რომ მოსწავლე შეჩერდა რომელიმე ექსპონატთან, ჰკითხეთ, რამ დააინტერესა. საეჭვოა, რომ ბავშვმა გიპასუხოთ: „მომეწონა მოქნილი ხაზების დინამიკა“ ან „სტილიზაციით მიღწეული დეკორატიულობა“. ის ალბათ უფრო რაიმე მცირე დეტალით დაინტერესდა, ვთქვათ, სურათის გმირის ყელზე ბაფთით, ცხენის მოსართავით ან ხმლის ქარქაშით. შეგიძლიათ ბავშვს ჰკითხოთ, „ვისია ეს ქარქაში“, „როგორ ფიქრობ, ვინაა ეს ადამიანი? როგორია? როგორ გუნებაბა? რას აკეთებს? შენ რას გრძნობ?“ და ამ გზით მიმართოთ მისი ყურადღება უფრო მნიშვნელოვანისკენ. ამგვარად თქვენ შეუძლებით ბავშვს ნაწარმოების სამყაროში. რაც უფრო დიდ დროს დაუთმობს ბავშვი მის თვალიერებას, მით უკეთ გაიგებს და ჩაუღრმავდება შინაარსს. თუ თავადაც არ იცით დასმულ კითხვაზე პასუხი, იმსჯელეთ ბავშვთან ერთად. საჭიროა თქვენს შორის გაიბას დიალოგი, რომ ამ საუბარში ექსპონატიც ჩაერთოს, „თვალი ჩაგიკრათ“ და თავისი საიდუმლო გაგიმხილოთ.

უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვებმა მუზეუმში თავი თავისუფლად უნდა იგრძნონ, არ უნდა განიცდიდნენ უფროსების მხრიდან ზეწოლას, არ უნდა ისმენდნენ გამუდმებულ შენიშვნებს. მიეცით მათ საშუალება, დამოუკიდებლად მოიარონ დარბაზი, დაათვალიერონ, რაღაცას ჩაურბინონ, სხვა ექსპონატთან კი შეჩერდნენ. აცადეთ, პირველებმა თავად გამოთქვან აზრი. ჰკითხეთ, რა მოეწონა ან არ მოეწონა – ზომა, ფერი, ფორმა, სიუჟეტი, მასალა? ჰკითხეთ, რას გრძნობს, რას ფიქრობს? სულაც არაა აუცილებელი, ხელოვნების ნაწარმოებმა ყველაში აღტაცება გამოიწვიოს. შესაძლოა, რაღაცამ შეაშინა, გააბრაზა... როცა ბავშვებთან დიალოგს გააბამთ, ნუ მოახვევთ საკუთარ ავტორიტეტულ დამოკიდებულებას. მოისმინეთ, რას ამბობენ ისინი. და რაც მთავარია, ნუ ააჩქარებთ, თუკი დრო ამის შესაძლებლობას იძლევა.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოსწავლეები ჩვენგან განსხვავებულად აღიქვამენ. ბავშვები ამჩნევენ იმას, რაც უფროსს თავში აზრადაც არ მოუვა. მით უფრო, თუ საქმე გვაქვს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებთან. ისინი პატარები არიან, ჩვენზე დაბლები და ხედავენ სხვა რაკურსიდან, სურათს თუ ქანდაკებას

ხედვის სხვა წერტილიდან აღიქვამენ. შეგიძლიათ ჩაიცუცქოთ და შეხედოთ ნაწარმოებს ისე, როგორც მას ათვალიერებენ ბავშვები.

ექსპერტები გვიჩვენებენ შევყოვნდეთ ნაწარმოებთან. ექსკურსიის დასასრულს მიეცით მოსწავლეებს 10 წუთი იმისთვის, რომ დამოუკიდებლად შეარჩიონ სანახავი ობიექტი, შეჩერდნენ მასთან, დააკვირდნენ და შემდეგ გაგესაუბრონ, რით მიიქცია ექსპონატმა მათი ყურადღება.

შედეგითი უსაპი

ბავშვს აქვს წარმოსახვის საოცარი უნარი. მას შეუძლია უშუალო ურთიერთობა გააბას ნაწარმოებთან, შეძერეს მის ატმოსფეროში, ცოტა ხნით „დასახლდეს“ იქ, იმ ვითარებაში, გააიგივოს თავი პერსონაჟთან ან წარმოიდგინოს თავი იქაურ სტუმრად. ამ მომენტში ის აღმოაჩენს ისეთ რაღაცებს, რაც ზრდასრულს აზრად არ მოუვა. უნდა შევუქმნათ ბავშვს საამისოდ ხელსაყრელი სიტუაცია და, სასურველია, ეს კავშირი მან გააბას ორიგინალთან და არა რეპროდუქციასთან, რომელშიც ნაწარმოების „სული“ გამქრალია. მუზეუმში ნაწარმოებზე დაკვირვების შედეგად შთაბეჭდილების გადმოცემის შესანიშნავი საშუალებაა შემოქმედებითი წერა. ეს მეთოდი განსაკუთრებით კარგად მუშაობს მე-4 კლასიდან და ზემოთ, როდესაც მოსწავლეებს უკვე შეუძლიათ აზრების წერილობით ჩამოყალიბება. მუზეუმში ექსკურსიის შემდგომ მიეცით მოსწავლეებს საშინაო დავალება: მათ უნდა შეარჩიონ ერთი ნაწარმოები და მის შესახებ დაწერონ თხზულება, თითქოს სურათში ამოჰყვას თავი. ამისთვის შეგიძლიათ დაურიგოთ დაბეჭდილი მზა ფურცლები სათაურით „სიზმარი“, რომლებზეც თემის პირველი, შუა და ბოლო წინადადებების დასაწყისი წერია:

1. მუზეუმიდან დაღლილი დავბრუნდი. მალე ჩამეძინა. უცებ სადღაც აღმოვჩნდი. დავინახე (აღწერე გარემო, ვითარება, მოქმედება, ფერები, განწყობა...)...
2. ვიგრძენი, რომ (აღწერე შენი გრძნობები და მათი გამომწვევი მიზეზები)...
3. უცებ გამეღვიძა და მივხვდი, რომ დამესიზმრა მუზეუმში ნანახი (ნაწარმოების ავტორი, სათაური, შექმნის თარიღი)...

ამ საშინაო დავალების კლასში კითხვა ცალკე დაუვიწყარი შთაბეჭდილება იყო მოსწავლეებისთვის. ისინი იხსენებდნენ, კამათობდნენ და ხედავდნენ, რომ ერთსა და იმავეს ადამიანები სხვადასხვანაირად აღიქვამენ, სხვადასხვა დამოკიდებულება უჩნდებათ და ყველა ამ აზრს აქვს თავისი არგუმენტი და არსებობის სრული უფლება.

ბიბლიოგრაფია:

1. მაია ფირჩხაძე, სამუზეუმო განათლება და ინტერდისციპლინარული ინტეგრაცია, ინტერნეტგამეითი mastsavlebeli.ge, 2014: <http://mastsavlebeli.ge/?p=1804>
2. Art Museums as Institutions for Human Flourishing, Katherine N Cotter, James Pawelski, The Journal of Positive Psychology, 2021: <https://tinyurl.com/349x4kv2>
3. Annechini, C., Menardo, E., Hall, R., & Pasini, M. (2020). Aesthetic attributes of museum environmental experience: A pilot study with children as visitors. Frontiers in Psychology, 11, 508300: <https://tinyurl.com/32ute3zh>
4. Stephanie Rosenbloom, The art of slowing down, NY Times, 2014: <https://tinyurl.com/m4j8zttd>
5. Л. М. Шляхтина, Музейная педагогика, Санкт-Петербург СПбГИК 2021: <https://tinyurl.com/2s4b7b22>



თათია ბაგდასიანი

მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული
ცენტრის ხელოვნების
ექსპერტ-კონსულტანტი

თანამედროვე ხელოვნების სწავლება, როგორც გამოწვევა



სკოლა არ ისახავს
მიზნად ხელოვნებას ან
ხელოვნებათმცოდნეობის
აღზრდას. სწავლა-სწავლების
დროს მნიშვნელოვანია,
რომ მოსწავლე კულტურულ
მეყუდრებად ჩამოყალიბდეს.
დაიხვეწოს მისი ესთეტიკური
აღქმის უნარი, ხოლო
სახელოვნებო პიროვნების
მიმართ ინტერესი და
ყურადღებობა
გამოავლინოს.



საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ყველა საჯარო თუ კერძო სკოლაში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანი სავალდებულოა პირველიდან მეცხრე კლასის ჩათვლით, ხოლო არჩევითია მეათეან მეთერთმეტე კლასისთვის. ამ არცთუ მცირე პერიოდში მოსწავლეს ხელოვნების საგანმა სხვადასხვა სახის უნარი უნდა გამოუმუშავოს და ვიზუალური ხელოვნების ისტორიისა თუ მიმდინარე ტენდენციების შესახებ ზოგადი განათლება შესძინოს. მოსწავლეს საგანი წარმოდგენას უქმნის იმის შესახებ, თუ რა არის სახვითი ხელოვნება, საუკუნეების განმავლობაში როგორ ყალიბდებოდა და იცვლებოდა სხვადასხვა სტილი, რა განაპირობებდა ამ ცვლილებებს, რას ნიშნავს გამოყენებითი ხელოვნება, რა სახით არსებობდა ძველად და როგორია ახლა. ამასთანავე, Art-ის თეორიულ და Craft-ის პრაქტიკულ ცოდნასთან ერთად ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ვიზუალური ხელოვნების საგანმა მოსწავლეს ესთეტიკური აღქმის უნარი შესძინოს. ხელოვნების საგნის ძირითადი მიზანი არის სწორედ ის, რომ სასწავლო კურსის განმავლობაში მოსწავლესა და ხელოვნების ნიმუშებს შორის ინტელექტუალური და ემოციური კავშირი შედგეს. თუმცა სრულიად გასაგებია, რომ სკოლა არ ისახავს მიზნად ხელოვნების ან ხელოვნებათმცოდნეების აღზრდას. სწავლა-სწავლების დროს მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლე კულტურულ მაყურებლად ჩამოყალიბდეს. დაიხვეწოს მისი ესთეტიკური აღქმის უნარი, ხოლო სახელოვნებო პროცესების მიმართ ინტერესი და ცნობისმოყვარეობა გამოავლინოს.

დღესდღეობით სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანი ხელოვნების ისტორიის სწავლების ტრადიციულ გზას მიუყვება. შესაბამისად, სკოლაში მოსწავლეები უძველესი ხელოვნების ნიმუშებიდან უახლეს ნამუშევრებსა თუ ტენდენციებს ეცნობიან. მეორე მხრივ, მოსწავლე აცნობიერებს, რომ ხელოვნების ისტორია ადამიანების წარმოდგენებისა და შეხედულებების ცვლილების ისტორიაა არის. ამიტომ მთლიანი სასწავლო მასალა და ზოგადად ხელოვნების ისტორია კაცობრიობის ისტორიის თანმდევი მოვლენაა. ხელოვნების საგნის მასალა საკმაოდ მოცულობითია, მაგრამ სახელმძღვანელოებში მოცემული თემები, რასაკვირველია, ფოკუსირებულია კონკრეტულ მოვლენებზე, ფაქტებსა

და პერსონებზე. ნებისმიერი გრიფირებული სახელმძღვანელო ვიზუალური ხელოვნების განვითარებისა თუ მისი ცვლილებების ისტორიის ჩვენებას ემსახურება. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა ის გაკვეთილები, რომლებშიც აღწერილია ერთი სტილის მომდევნო სტილით ცვლილება. ამ დროს მოზარდის გონებაში ხელოვნების ნიმუშის აღქმა, ემოციური და ინტელექტუალური მდგომარეობაც იცვლება. მაგალითისთვის, თუკი რეალისტური მხატვრობის ნიმუშს იმპრესიონისტულს შევადარებთ გამოსახვის ფორმაში განსხვავება თვალნათელი გახდება. აღმოჩნდება, რომ ფერისთვის მაქსიმალური მნიშვნელობის მინიჭებით ასახვის ობიექტის ფორმა შედარებით პირობითად წარმოჩინდება. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ გამოსახვის ფორმა არ არის უბრალოდ მხატვრული ტექნიკის განახლება ან ორიგინალური სამხატვრო ძეგლი. ეს, პირველ რიგში, ხელოვნების მიერ სამყაროსადმი შეცვლილი დამოკიდებულების ნამუშევარში ასახვას გულისხმობს.

ქართულ რეალობაში სახვითი ხელოვნების საგანი, სამწუხაროდ, დღემდე რთულ მდგომარეობაშია. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ წლების განმავლობაში ხელოვნება ე.წ. მეორად საგნად მიიჩნეოდა. უფრო ადრე კი შრომითი ხელსაქმის სწავლების კომპლექსურ ტრილში განიხილებოდა. მთელი ამ ფაქტორების გათვალისწინებით მოზარდის ცხოვრებაში თანამედროვე ხელოვნების ტენდენციების „შემოჭრა“ და მათი გაცნობა არცთუ მარტივი საქმეა.

მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნების სწავლების დროს მოსწავლეები სხვადასხვა კულტურის ხელოვნების ნიმუშებს აქტიურად ეცნობიან, აკვირდებიან სტილების მუდმივად ცვლას, საქმე თანამედროვე ხელოვნების სწავლების დროს რთულდება. მოზარდებში დღემდე პრობლემად რჩება თანამედროვე ხელოვნების ნამუშევრების აღქმა. პირველ რიგში, ეს საკითხი ნამუშევრის ფორმასთან არის დაკავშირებული. პირობითად, თუკი ფერით, შუქითა და ჩრდილით მოდელირებული გამოსახულება სრულიად გასაგებია, პრობლემები კუბისტური ან ექსპრესიონისტული გამოსახულების აღქმის დროს იჩენს თავს. ამ სტილებში უკვე რეალისტური გამოსახულებისთვის დამახასიათებელი ფორმები ხაზგასმულად დარღვეულია. პირველ ჯერზე ავანგარდული სტილის ნამუშევრები მოზარდებში დაბნეულობას იწვევს. თუმცა აქ ყველაფერი არ მთავრდება. ავანგარდულ მიმდინარეობაში განსაკუთრებით „დამაბნეველია“ დადაიზმი თავისი რედიმედიტით, რა დროსაც უტილიტარული მოხმარების საგანი ხელოვნების ნიმუშად არის წარმოდგენილი.

ეს არის მომენტი, როდესაც მოზარდებს იმ ტიპის ლეგიტიმური კითხვები უჩნდებათ, რაც თავის დროზე აწუხებდა ავანგარდული ხელოვნებით „აღშფოთებულ“ საზოგადოებას. უფრო კონკრეტულად კი მთავარი კითხვა ასე ჟღერს: რატომ არის უტილიტარული დანიშნულების ნივთი ხელოვნების ნიმუში? თუმცა ამის ნაცვლად კარგი იქნება კითხვა ამ ფორმულირებით დავსვათ: როგორ გახდა ყოველდღიური მოხმარების საგანი ხელოვნების ნიმუში? იმისთვის, რომ მოზარდის ინტერესი საწყის ეტაპზე დაკმაყოფილდეს, საკმარისია სააზროვნო კითხვის დასმაც. თუმცა რეალურად ამ კითხვაზე საპასუხოდ მთელი რიგი ინტელექტუალური სამუშაოს ჩატარებაა საჭირო.

იმისთვის, რომ თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების ენა გასაგები გახდეს მოზარდებისთვის, საჭიროა მეოცე საუკუნის ისტორიული კონტექსტების გააზრება. რა თქმა უნდა, ეს მოსაზრება არ გულისხმობს ყველა ფაქტისა თუ მოვლენის სიღრმისეულ ტრილში განხილვას, მაგრამ მოსწავლეებისთვის ზოგადი ინფორმაციის მიწოდება ამა თუ იმ კონტექსტის წარმოშობის შესახებ აუცილებელია. ამ დროს მასწავლებელმა შესაძლოა დამხმარე მასალად სახელოვნებო მანიფესტები¹ გამოიყენოს ან ქართული ენისა და ლიტერატურის საგანთან ინტეგრირებული გაკვეთილი ჩაატაროს. ამ ტიპის გაკვეთილზე რომელიმე მოდერნისტული/პოსტმო-



**სწავლა-სწავლების პროცესში
მხოლოდ მაყუანების როლი
ყოფნა არ არის საკმარისი.
ხელოვნების ნიშნის შექმნა
ერთგვარი თვითდაკვირვებაა
საკუთარ შემოქმედებასა და
განწყობაზე. ეს პროცესი
კი მოზარდის ემოციური და
მენტალური მდგომარეობაზე
დადებითად მოქმედებს.**



დერნისტული ტექსტის², თუნდაც მცირე ნაწილის, განხილვაც კი ბავშვებისთვის ისტორიული კონტექსტის გასააზრებლად საკმარისი იქნება.

გასული საუკუნის ისტორიაში გარდამტეხ მოვლენად მეორე მსოფლიო ომი იქცა. კონტექსტების რადიკალურად ცვლილების ხაზი კი ომის შედეგებზე გადის. ომის ფიზიკურად თუ მორალურად დამანგრეველი შედეგების გაცნობიერების შემდეგ რადიკალურად შეცვლილი სამყარო, ბუნებრივია, რომ გამოხატვის ახალ ფორმებს ეძებდა. მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან, უფრო კონკრეტულად კი 1960-70-იანი წლებიდან, ვიზუალური ხელოვნება, საბოლოოდ, კონცეპტებისა და ინტერპრეტაციების გზით წავიდა. თანამედროვე ხელოვნება გამოხატვის ისეთ ფორმაზე გადავიდა, სადაც იდეა არის წამყვანი ფაქტორი, ხოლო ფორმა — პროვოკაციული. ასევე აღსანიშნავია, რომ გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან სახვითი ხელოვნების დარგებს შორის ზღვარი თითქმის წაიშალა. შედეგად პროფესიული განსაზღვრება „მხატვარი“, „სკულპტორი“ სულ უფრო და უფრო იშვიათი გახდა. ამიტომაც შემოვიდა „არტისტის“ ცნებაც. დღეს კი ყველა ის ხელოვანი, რომელიც თანამედროვე სახელოვნებო სივრცეში მუშაობს, „არტისტის“ სტატუსით სარგებლობს.

მას შემდეგ რაც, ამგვარ ინფორმაციას მოსწავლე მიიღებს და გააზრებას დაიწყებს, პირველი ბარიერი უკვე გადალახულია. მოსწავლეები ნელ-ნელა ეჩვევიან ვიზუალური ხელოვნების სხვადასხვა ფორმის აღქმასა და კონცეფციის გაგებას. პროცესი საკმაოდ შრომატევადია. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე შინაარსს იაზრებს, საქმე ხელოვნების ნიმუშთან ემოციური კავშირის დამყარების დროს რთულდება. თუმცა აქ საკითხი სხვაგვარად უნდა დაისვას: თუკი ტრადიციულ მასალაში შესრულებული ნამუშევარი თავდაპირველად მაყურებლის განწყობასა და ემოციებზე მოქმედებს, თანამედროვე ხელოვნების პროვოკაციული ან ერთი შეხედვით დამაბნეველი ფორმა გონებას უბიძგებს სხვადასხვა აზრებისა თუ იდეების წარმოშობისკენ. ინტერპრეტაციის მეთოდის გამოყენებით კი მზა პასუხების ნაცვლად უფრო და უფრო მეტი კითხვა ჩნდება. მოსწავლე ამ შემთხვევაში ეჩვევა აზროვნების რთულ და კომპლექსურ პროცესს.

თანამედროვე ხელოვნება პრობლემურ საკითხებზე აპელირებს. შესაბამისად, მოზარდს უყალიბდება სხვადასხვა პრობლემური თემის მიმართ საკუთარი დამოკიდებულება. ამავდროულად, ნიშანდობლივია, რომ თანამედროვე ხელოვნების ნამუშევართან ურთიერთობის დროს მოსწავლე საკუთარ აზრებსა და ემოციებს განსაზღვრებებს უძებნის და მათ დიფერენციაციას ახდენს. თუმცა სწავლა-სწავლების პროცესში მხოლოდ მაყურებლის როლში ყოფნა არ არის საკმარისი. ხელოვნების ნიმუშის შექმნა ერთგვარი თვითდაკვირვებაა საკუთარ შეგრძნებებსა და განწყობაზე. ეს პროცესი კი მოზარდის ემოციურ და მენტალურ მდგომარეობაზე დადებითად მოქმედებს. ასე მაგალითად, 2019 წლის 19 ოქტომბერს „თანამედროვე ხელოვნების რუკამ“ არტისტს, ლია ბაგრატიონს,

უმასპინძლა. პროექტი თბილისის ისტორიის მუზეუმში, „ქარვასლაში“ მიმდინარეობდა. „თანამედროვე ხელოვნების რუკა“ სკოლის ასაკის სხვადასხვა საფეხურის ბავშვებისთვის თანამედროვე ხელოვნების გაცნობასა და ასაკის შესაფერის ინტერაქტიულ თამაშებს მოიცავდა. შეხვედრაზე ლია ბაგრატიონმა მობარდებისგან შემდგარ აუდიტორიას საკუთარი სერიის, „Now“-სა და იაპონელი არტისტის, ონ კავარას „Today“-ის კონცეპტუალური ნამუშევრების შესახებ მოუთხრო. ონ კავარას სერია შავ ფონზე შესრულებულ თარიღებს (დღეს, თვეს და წელს) მოიცავდა. რა თქმა უნდა, ონ კავარას გასულ საუკუნეში შექმნილი „Today“-ს სერია დროის ეფემერულობასა და სხვადასხვა კონტექსტზე აქცენტის გაკეთებას გულისხმობდა. „Now“-ს სერია კი არტისტის სმარტფონის ეკრანის ყოველდღიური Screenshot-ით იქმნება. „სკრინშოტები“ ლია ბაგრატიონის, როგორც არტისტის, ერთგვარი წარდგენაა საკუთარი მაყურებლების – „გამომწერების“ წინაშე. ეკრანის Screenshot-ისოციალური ქსელის მომხმარებლებს გარკვეულ ინფორმაციას, უფრო მეტიც და მინიშნებას აწვდის ავტორის შესახებ. დროის აღნიშვნასთან ერთად მაყურებელზე მოქმედებას იწყებს ფოტო, რომელიც ეკრანზე განთავსებული. ეკრანზე დაყენებული ფოტო კი იცვლება არტისტის განწყობისა და ინტერესის შესაბამისად³.



შეხვედრა არტისტ ლია ბაგრატიონთან.

საგანმანათლებლო პროექტი „თანამედროვე ხელოვნების რუკა 2019“. თბილისის ისტორიის მუზეუმი.

ფოტოების ავტორი: დავით ჩაჩანიძე. ფოტოები აღებულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის FACEBOOK გვერდიდან.

„Now“-სა და „Today“-ის შესახებ ინფორმაციის მიწოდების შემდეგ მობარდებს ამგვარი დავალება უნდა შეესრულებინათ: მუყაოს დაფებზე რიცხვების განთავსებით მათთვის მნიშვნელოვანი თარიღი უნდა შეექმნათ. თარიღები მრავალნაირი იყო და ძირითადად მობარდებისთვის საკუთარი ან მათთვის ძვირფასი ადამიანების დაბადების დღეების კომბინაციას წარმოადგენდა. ამგვარი აქტივობა მნიშვნელოვანია მობარდების ემოციური და ინტელექტუალური განვითარებისთვის. ამ დროს მობარდებში ერთგვარი თვითდაკვირვების უნარი ვითარდება და მათთვის მნიშვნელოვანი მოვლენების არსის გაცნობიერება ხდება.

აქტივობაში მონაწილეობა ლია ბაგრატიონმაც მიიღო. მის მიერ შექმნილი თარიღი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების თარიღს, APR. 9. 1991, აღნიშნავდა. არტისტის მხრიდან ამ თარიღის არჩევა ცალსახად ზუსტი მესიჯი იყო სკოლის მოსწავლეებისგან შემდგარი აუდიტორიის მისამართით. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა არის მოცემულობა, რომელშიც ინტერაქციაში მონაწილე თინეიჯერები იბრ-



შენვადრებ არტისტ
ლია ბაგრატიონთან.
საგანმანათლებლო პროექტი
„თანამედროვე ხელოვნების რუკა
2019“. თბილისის ისტორიის მუზეუმი.
ფოტოების ავტორი: დავით ჩაჩანიძე.
ფოტოები აღებულია საპარტოვო
ეროვნული მუზეუმის FACEBOOK
გვერდიდან.

დებიან. თუმცა შესაძლოა დამოუკიდებლობის მნიშვნელობაზე ნაკლებად ფიქრობდნენ. ლია ბაგრატიონის მხრიდან კი ამ ტიპის პოზიციის გამოხატვამ აუდიტორიას თარიღის მნიშვნელობაზე ფიქრის საბაბი გაუჩინა⁴.

კონცეპტუალურ ხელოვნებაში გადამწყვეტია იდეის საკითხი. იდეა ჩამოყალიბებული სახით უკვე მხატვრულ კონცეფციად იქცევა, რომლის მიზანიც საზოგადო სივრცის შექმნაა. ეს სივრცე განკუთვნილი უნდა იყოს დისკუსიისთვის და ინტერპრეტაციისთვის. შესაბამისად, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა ფორმითა და მეთოდებით ხდება თანამედროვე ხელოვნების სწავლება პიროვნების განვითარების საწყის ეტაპებზე.

თანამედროვე ხელოვნების ნამუშევრების აღქმისას, პირველ რიგში, ხელის შემშლელი ფაქტორია არსებული მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც ხშირად სტერეოტიპულია. წინასწარი განწყობით ნამუშევრთან ურთიერთობა რეალური აღქმის პროცესისგან ძალიან განსხვავდება. აღქმის პროცესი მაყურებელში ინტელექტუალურ თუ ემოციურ იმპულსებს იწვევს. შესაბამისად, მაყურებელში იქმნება განწყობაც. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა დიმიტრი უზნაძის „განწყობის თეორიის“ მოხმობა. დიმიტრი უზნაძე წერს, რომ აღქმა არის მდგომარეობა, რომელიც წინ უსწრებს განწყობის აქტს⁵. შესაბამისად, როდესაც ვიზუალური ხელოვნების ნიმუშთან ურთიერთობს ნებისმიერი ასაკის მაყურებელი, მნიშვნელოვანია ეს პროცესი წინასწარი განწყობის გარეშე წარიმართოს, რათა „აღქმის აქტმა“ წარმატებით ჩაიაროს. თუმცა დიმიტრი უზნაძე იქვე ავითარებს მოსაზრებას, რომ, ერთი მხრივ, აღქმა არის მდგომარეობა, ხოლო, მეორე მხრივ, ეს არის განცდა, რომელიც „აღქმის აქტის“ თანმდევი⁶. ფაქტობრივად გამოდის, რომ აღქმის პროცესი ორსაფეხურიანია, რომლის დროსაც ადამიანის ფსიქიკაში „შემჩნევისა“ და „შეგრძნების“ იმპულსები ერთ-

დროულად წარმოიშობა. დიმიტრი უზნაძის ეს გენიალური მიგნება რეალურად არის ის პროცესი, რომელსაც მაყურებელი ხელოვნების ნიმუშთან ურთიერთობის დროს გადის.

მოსწავლეების ამგვარი ემოციური შემზადება მასწავლებლის პრეროგატივაა. მოზარდების ერთგვარი რელაქსაციური, ფიქრებისგან გათავისუფლებული გონების ერთი ობიექტისკენ მიმართვა საკმაოდ რთული პროცესია. რეალურად კი გაკვეთილზე ისეთივე წარმატებით შეიძლება შეიქმნას თანამედროვე ხელოვნების ნამუშევარი, როგორითაც სხვა ტრადიციული მასალის გამოყენებით იქმნება. რეალურად უფრო სახალისო და საინტერესო უნდა იყოს გაკვეთილზე Contemporary Art-ის ნიმუშების შექმნა. თუკი მასწავლებლის მხრიდან პრობლემა სწორი მიმართულებით დაისმება, მაშინ მოზარდები წინასწარი სტერეოტიპული განწყობებისგან მთლიანად გათავისუფლდებიან. ერთი მხრივ, ბავშვები თავიანთ ფანტაზიას მოუხმობენ, ხოლო, მეორე მხრივ, სხვადასხვა პრობლემურ საკითხებსა თუ გამოწვევებზე დაფიქრდებიან. ხელოვნების ნიმუშის შექმნის ამოსავალ წერტილად შეიძლება ნებისმიერი პრობლემა იქცეს. თემის არჩევაში კი მოსწავლეები სრულიად თავისუფლები უნდა იყვნენ. თუმცა სანამდე ამ დავალების შესრულებაზე გადავლენ, იქამდე საჭიროა გაიაზრონ ის, თუ როგორია თანამედროვე ხელოვნების ენა. დაწყებითი საფეხურიდან არის აუცილებელი ნელ-ნელა ჩამოუყალიბდეს ბავშვებს აღქმა, რომ სახვითი ხელოვნება მხოლოდ რეალისტურად შექმნილ სურათსა თუ გამოძერწილ ქანდაკებას არ გულისხმობს. ამის საილუსტაციოდ კი სხვადასხვა მაგალითის მოყვანა სწავლის პროცესს გაახალისებს და მოსწავლეებსაც ხელოვნების ისტორიას განსხვავებული კუთხით დაანახევებს. ამგვარი გაკვეთილის თემა, მაგალითად, 1920-იან წლებში მომხდარი ერთ-ერთი ცნობილი ფაქტი, კონსტანტინ ბრანკუზის ქანდაკების ისტორია, შეიძლება აღმოჩნდეს. კონსტანტინ ბრანკუზის აბსტრაქტული ნამუშევარი სახელწოდებით „ჩიტი სივრცეში“ მოქანდაკემ 1923 წელს შექმნა. სკულპტურის შექმნის დროს ხელოვანმა ქანდაკების ტრადიციულ მასალას, მარმარილოს, მიმართა. თუმცა ბრანკუზმა არა რეალისტური, არამედ სრულიად პირობითი ფორმის ქანდაკება შექმნა. რა თქმა უნდა, „ჩიტის“ ისტორია ავანგარდულ ფორმაზე არ მთავრდება. 1926 წელს სკულპტურა საფრანგეთიდან აშშ-ში სხვა ნამუშევრებთან ერთად გამოფენაზე წარსადგენად გაემგზავრა. თუმცა „ჩიტმა“, როგორც ხელოვნების ნიმუშმა, ნიუ-იორკის საბაჟო კონტროლი ვერ გაიარა. საბაჟოს თანამშრომლებმა ქანდაკება ხელოვნების ნიმუშს არ მიაკუთვნეს. შესაბამისად, მათ ტარიფით გათვალისწინებული თანხის გადახდა მოითხოვეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით გაიმართა სასამართლო პროცესი. სასამართლომ განაჩენი კონსტანტინ ბრანკუზის სასარგებლოდ გამოიტანა და სკულპტურის სახელოვნებო „ფუნქცია“ დაადასტურა⁷.

აღნიშნული მაგალითი ცხადყოფს, რომ თავის დროზე ავანგარდული ხელოვნების ნამუშევრებს არარეალისტური ფორმის გამო საზოგადოება ხელოვნების



ავტორი: კონსტანტინ ბრანკუზი
სახელწოდება: ჩიტი სივრცეში
თარიღი: 1923
მასალა: მარმარილო
ზომა: 144,1 x 16,5 სმ
შენახვის ადგილი:
ხელოვნების მემორიალური ფონდის
მუზეუმი, ნიუ-იორკი



**დღესდღეობით თანამედროვე
ხელოვნების სწავლება
ჰენ შემოიუანგდაბა ერთი
კონკრეტული მეთოდითა თუ
განხილვის გზებით.
CONTEMPORARY ART-ი
იქნება დიდიხალხი
და მრავალმხრივი,
რომ ხელოვნების საგანი
თავისუფლად შეიძლება
ინტერპრეტაციას STEAM-თან
და მრავალ განხილვას
მიუძღვას.**




ნიმუშად არ განიხილავდა. მოდერნისტული ხელოვნების ისტორიას სახელოვნებო კრიტიკის არაერთი მარცხი ახსოვს. დღევანდელი გადმოსახედიდან ეს გარდაუვალი მოვლენებიც კი იყო. მოსწავლეებთან ამგვარი ფაქტების განხილვა ან თუნდაც დისკუსიის მოწყობა საინტერესო საგაკვეთილო პროცესი უნდა იყოს. მსგავსი მოვლენების კვალობაზე შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ სახელოვნებო სივრცეს უკვე დიდი გამოცდილება აქვს თანამედროვე ხელოვნების ნამუშევრებთან ურთიერთობის. ამ გამოცდილების მოზარდებთან გაზიარება კი მეტად საჭირო და აუცილებელი პროცესია.

თანამედროვე ხელოვნების სწავლების მეთოდები ძალიან ინდივიდუალურია. ის გამომდინარეობს კონკრეტული თემიდან, მოსწავლეების ასაკიდან და მასწავლების გამოცდილებიდან. თუმცა მასწავლებლის გამოცდილებაში ტრადიციული გაგებით პედაგოგიური წლიური დატვირთვა არ იგულისხმება. საკითხი მდგომარეობს შემდეგში: რამდენად შეუძლია მასწავლებელს დროის პულსაცია შეიგრძნოს და თანამედროვე პრობლემებსა და გამოწვევებზე ბავშვებს შემოქმედებითი დავალება შესთავაზოს? რასაკვირველია, კონკრეტული დავალების შესრულებამდე თეორიული სამუშაოა ჩასატარებელი, რათა მასწავლებელმა ბავშვებს ინფორმაცია მიაწოდოს ამა თუ იმ პრობლემის შესახებ. შემდეგ გამართოს საკლასო დისკუსია და უკვე ყოველივე ამის მერე ბავშვების მიერ ნათქვამი იდეებს „ჩაეჭიდოს“. ამართულ ინტელექტუალურ პროცესში მნიშვნელოვანია, რომ პრობლემის გააზრებას მხატვრული კონცეფციის შემუშავება მოჰყვეს. მოსწავლეებმა უნდა ჩამოაყალიბონ, გაიზიარონ, განიცადონ და შემდეგ თანამედროვე ხელოვნების ენით საკუთარი ნამუშევრები შექმნან. ნამუშევრის შექმნის დროს, რა თქმა უნდა, ბავშვები მასალის არჩევაში თავისუფლები არიან. ტრადიციულ სახატავ თუ საძერწ მასალებთან ერთად შესაძლებელია სრულიად არატრადიციულ ტექნიკის გამოყენება. დავალების შესრულების შემდეგ პრეზენტაციის ეტაპი დგება, რა დროსაც მოსწავლემ საკუთარი ნამუშევარი კლასის წინაშე უნდა წარადგინოს. თუმცა ამ დროს ძალიან მნიშვნელოვანია მასწავლებლის ჩართულობაც, რადგან ნამუშევრის წარდგენა დავალების გამოკითხვის ტიპურ ფორმას ნაკლებად უნდა ჰგავდეს. მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ თანამედროვე ხელოვნების ენით მუშაობა საკურატორო/საგამოფენო უნარების განვითარებასაც გულისხმობს. ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ წარადგენენ ბავშვები ნამუშევარს, მაგალითად, რა ტიპის სივრცეში განათავსებენ. ეს შეიძლება იყოს კლასში კონკრეტული ადგილი, სკოლის ტერიტორია ან ნებისმიერი სხვა სივრცე, რომელსაც მოსწავლეები შესაბამისად მიიჩნევენ. წარდგენასთან ერთად მნიშვნელოვანია ნამუშევრის შესახებ მოკლე, მაგრამ ყველასთვის გასაგები ტექსტის შექმნაც.

ყველა ამ ეტაპის თანმიმდევრულად გავლით მოსწავლეები ხვდებიან იმას, თუ რაზე აპელირებს თანამედროვე ხელოვნება, როგორია მისი სამეტყველო ენა,

რა ტიპის სამუშაოს გადის ხელოვანი, როდესაც ნამუშევარს ქმნის და ა.შ. მეორე მხრივ კი, მოსწავლეები იმ პრობლემას უღრმავდებიან, რომლებიც მათ აწუხებთ. შემდეგ ცდილობენ ამ პრობლემაზე ისაუბრონ და შემოქმედებითი გზით წარმოაჩინონ. შედეგად კლასში მოსწავლეების ინიციატივით სადისკუსიო სივრცე ბუნებრივად იქმნება. დისკუსია კი, რა თქმა უნდა, პრობლემის მოგვარებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია.

ამასთანავე, რა თქმა უნდა, აღსანიშნავია, რომ მასწავლებლებისთვის საკმაოდ რთულია მიმდინარე სახელოვნებო ტენდენციების მოზარდებისთვის რეალურ სივრცეში ჩვენება. სამწუხაროდ, საქართველოში არ არსებობს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ან გალერეა, სადაც მოზარდებს ექნებათ იმის შესაძლებლობა, რომ დაინახონ ქართული თანამედროვე ხელოვნების განვითარების ხაზი. ეს მხოლოდ მასწავლებლის კეთილ ნებასა და მის აქტიურობაზეა დამოკიდებული რამდენად მოახერხებს რომელიმე კერძო გალერეაში მოსწავლეების სტუმრობას, Contemporary Art-ის ნამუშევრების ჩვენებას, ახსნას და სადისკუსიო ველის შექმნას.



ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით თანამედროვე ხელოვნების სწავლება ვერ შემოიფარგლება ერთი კონკრეტული მეთოდითა თუ განხორციელების გზებით. Contemporary Art-ი იმდენად ლიბერალური და მრავლისმომცველია, რომ ხელოვნების საგანი თავისუფლად შეიძლება ინტეგრირდეს STEAM-თან და მდგრადი განვითარების მიზნებთან. მთავარია მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის შედგეს თანამშრომლობა, რა დროსაც მოზარდის კონცეფცია იქნება წამყვანი, ხოლო მასწავლებელი მოსწავლეს იდეის განხორციელებაში დაეხმარება. ამ დროს საჭიროა იმ ტიპის ფორმის მოძებნა, რომელიც იდეას ზუსტად უპასუხებს. საგნებთან ინტეგრაცია კი მოსწავლეს წარმოსახვასა და ინტელექტუალურ შესაძლებლობებს გააფართოვებს. ასევე მოზარდები მათ წინაშე არსებულ პრობლემას სხვადასხვა ტრილში დაინახავენ. შედეგად კი მოსწავლეები ხელოვნებისა თუ საბუნებისმეტყველო საგნებში მიღებულ გამოცდილებას ნამუშევრის შექმნის დროს გამოიყენებენ. საბოლოოდ, კომპლექსური ცოდნის შედეგად მიღებული და თანამედროვე ხელოვნების ენით ამეტყველებული ნამუშევარი შეიქმნება.

სასურველია მოსწავლეებისთვის იმის ახსნაც, რომ ვიზუალური ხელოვნება თავისი „არტისტული უნარებით“ არ არის იზოლირებული და ყოველდღიური ცხოვრებისგან მოწყვეტილი⁸. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ევროპული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება. განვითარებული და ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნების

“

ჩამოწმად შეუძლია
მასწავლებელს დროის პაღსაშია
შეიძინოს და თანამედროვე
პრობლემაგა და გამოწვევაგა
გაუშვას შემოქმედებითი
დავალება შესთავაზოს?

“



განათლების სისტემები თანამედროვე საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე, რა თქმა უნდა, მეტად არის მორგებული. შესაბამისად, სკოლებში სახვითი ხელოვნების საგნის სხვადასხვა დისციპლინასთან ინტეგრაცია არცთუ იშვიათი მოვლენაა. ინტეგრაციის მიზანია საგნებს შორის იმგვარი კავშირის მოძებნა, რომ მოსწავლეებისთვის ნათელი გახდეს სხვადასხვა გამოცდილების, მათ შორის ხელოვნების გაკვეთილზე შეძენილი უნარების, ცხოვრებაში გამოყენების საჭიროება.

თუმცა ამ ყველაფერთან ერთად ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოზარდებმა გაიგონ, როგორია ხელოვნება დღეს, რა ფორმითა და მეთოდებით ავლენს ის თავს. დღესდღეობით ვიზუალური ხელოვნების საგანი სოციალურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, პოლიტიკურ თემებსა და მდგრადი განვითარების პრობლემებს ეხება. ამგვარი კავშირი კი ხელს უწყობს საგანთა შორის ურთიერთდამოკიდებულებების ამოცნობას, მოზარდის ღირებულებებითი სისტემის ჩამოყალიბებასა და მომავალში საზოგადოებაზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებას⁹.

ბიბლიოგრაფია

1. ფუტურიზმის მანიფესტი;
<https://www.italianfuturism.org/manifestos/foundingmanifesto/>
2. ბორის გროისი, ესეები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014 წ.
3. თათია ბარბაქაძე, „ვიზუალური ნიშნები და ტრადიციული მასალის ინტერპრეტაცია ლია ბაგრატიონის შემოქმედებაში“, სამაგისტრო ნაშრომი; 2021 წ.
4. დიმიტრი უზნაძე, „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები“, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2009 წ.
5. ქეთევან კინწურაშვილი, „საუკუნის ხელოვნება (ავანგარდი)“ 2005 წ.
https://www.kulturrat.de/themen/kulturelle-bildung/kulturelle-bildung-schule/das-schulfach-kunst/?fbclid=IwAR35U3-L_AHRSePC-g5AQrrPF8fhszWSTU_c-Geq5apMoT_D0eqsYn_-iH0

შენიშვნები

1. <https://www.italianfuturism.org/manifestos/foundingmanifesto/>
2. ბორის გროისი, „ესეები“, 2014 წ.
3. თათია ბარბაქაძე, „ვიზუალური ნიშნები და ტრადიციული მასალის ინტერპრეტაცია ლია ბაგრატიონის შემოქმედებაში“, გვ. 42, სამაგისტრო ნაშრომი; 2021 წ.
4. იქვე, გვ. 43
5. დიმიტრი უზნაძე, „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები“, გვ. 256, 2009 წ.
6. იქვე; გვ. 257
7. ქეთევან კინწურაშვილი, „საუკუნის ხელოვნება (ავანგარდი)“, გვ.1-ელი, 2005 წ.
8. https://www.kulturrat.de/themen/kulturelle-bildung/kulturelle-bildung-schule/das-schulfach-kunst/?fbclid=IwAR35U3-L_AHRSePC-g5AQrrPF8fhszWSTU_c-Geq5apMoT_D0eqsYn_-iH0
9. იქვე;

ანაქეოლოგიის სწავლა საშუალო სკოლებში

ნაწილი II

ჩვენი ნაშრომის მეორე ნაწილში განვიხილავთ იმ სხვაობას არქეოლოგიის კუთხით, რომელიც საბჭოთა კავშირისა და დამოუკიდებელ საქართველოს საშუალოსკოლის სახელმძღვანელოებშია. კვლევის ძირითად წყაროდ ისევ ისტორიის სახელმძღვანელოებს ვირჩევთ. ამავე დროს ვიყენებთ ეროვნულ სასწავლო გეგმას. (ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ 2018-2024 წლები ესგ-ს მიხედვით დაწერილ სახელმძღვანელოებს ამ შემთხვევაში არ განვიხილავთ).

არქეოლოგია ახლაც ისწავლება ისტორიის სახელმძღვანელოს მეშვეობით. „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ თანახმად, „საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიზანდასახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაგანო ღირებულებების მატარებელი, თავის უფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ღირებულებურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში“.



ლევან ახველიანი

ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი,
ილიას უნივერსიტეტის პროფესორი



დავით ახველიანი

მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის
ისტორიის ექსპერტ-კონსულტანტი

”

განსხვავებით სააჟოთა სტილის სახელმძღვანელოებისაგან, რომლებიც ახლოდ ავსოთა თქმსთი იყო მოყვანილი, ახალ სასწავლო ისტორიულ ღირებულებანი ავსოთა თქმსთაგან ერთად წარმოგვანილია ისტორიული წყაროები და კითხვები, რომლებიც ამ წყაროების ინტერპრეტაციისათვის ანის დასმული. ეს სიახლე მოსწავლეს ინფორმაციის მოპოვების, დაუზავებისა და ანალიზის უნარ-ჩვევებს უვითარებს.

“

საერთოდ ისტორიის სწავლა ავითარებს ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გაამრებას.

საბჭოთა განათლების სისტემისაგან განსხვავებით, ისტორიის თანამედროვე სწავლებისათვის გამოიყენება ალტერნატიული სახელმძღვანელოები, რაც სკოლებს საშუალებას აძლევს გააკეთონ მათთვის სასურველი არჩევანი. სხვადასხვა ავტორისა და გამომცემლობის მიერ გამოცემული სახელმძღვანელოები სამ ტიპად შეიძლება დაიყოს: 1) სახელმძღვანელოები, რომლებშიც ისტორია, როგორც მეცნიერებაა წარმოდგენილი [მაგ., კილურაძე და სხვა, 2012]; 2) საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია [მაგ., რამიშვილი და სხვა, 2007]. 3) საქართველოს ისტორია [მაგ., ანაბაძე და სხვა, 2008]. ყველა ამ სახელმძღვანელოს აერთიანებს ის, რომ, განსხვავებით საბჭოთა ტიპის სახელმძღვანელოებისაგან, რომლებშიც მხოლოდ ავტორთა ტექსტი იყო მოცემული, ახალ სასწავლო ისტორიულ ლიტერატურაში ავტორთა ტექსტთან ერთად წარმოდგენილია ისტორიული წყაროები და კითხვები, რომლებიც ამ წყაროების ინტერპრეტაციისათვის არის დასმული. ეს სიახლე მოსწავლეს ინფორმაციის მოპოვების, დამუშავებისა და ანალიზის უნარ-ჩვევებს უვითარებს.

განვიხილოთ სახელმძღვანელოების თითოეული ტიპი.

1. სახელმძღვანელოები, სადაც ისტორია, როგორც ისტორიული მეცნიერებაა წარმოდგენილი [მაგ. კილურაძე და სხვა, 2012];

ეს სახელმძღვანელო დაყოფილია სამ თავად (თითოეული თავი – ქვეთავებად): I თავი – ისტორიის მეცნიერება; II – ისტორიის მეცნიერების ისტორია; III – როგორ ვსწავლობთ და გადმოვცემთ ისტორიას. არქეოლოგიაზე მხოლოდ პირველ თავშია საუბარი. აქვეა მოცემული საქართველოს ისტორიის პერიოდიზაცია: 1) ძველი ისტორია – უძველესი დროიდან IV ს-ის დასაწყისამდე 2) შუა საუკუნეები (IV-XVIII სს.): ა) ადრეული შუა საუკუნეები (IV-X სს). ბ) განვითარებული შუა საუკუნეები (XI-XV სს). გვიანი შუა საუკუნეები (XV ს-ის II ნახ. – XVIII ს). 3) ახალი ისტორია ა) 1801-1917 ბ) 1918-1921 გ) 1921-1990 4) უახლესი ისტორია – 1991 წლიდან დღემდე. ქვეყნის ისტორიის არქეოლოგიური პერიოდიზაცია მოცემული არ არის.

სახელმძღვანელოს პირველ თავში წყაროთმცოდნეობასთან, ეთნოლოგიასთან, ისტორიულ გეოგრაფიასა და ისტორიულ კარტოგრაფიასთან, პალეოგრაფიასთან, ნუმისმატიკასა და ბონისტიკასთან, ჰერალდიკასთან, გენეალოგიასთან, სფრაგისტიკასთან, ვექსილოლოგიასთან, ინფორმატიკასთან ერთად განხილულია არქეოლოგიაც.

თავი, რომელსაც ეწოდება „არქეოლოგია“ შედგება ლექსიკონისაგან, ავტორთა ტექსტისგან, დამატებითი ცნობისგან, წყაროებისგან, საკლასო სამუშაოსა და საშინაო დავალებისაგან.

ლექსიკონში მოყვანილია ტერმინ არქეოლოგიის და არქეოლოგიური გათხრების ისტორია.

ავტორთა ტექსტში განმარტებულია არქეოლოგიის სპეციფიკა, მიზნები და დამოკიდებულება ისტორიასთან: „არქეოლოგია მეცნიერების ის დარგია, რომელიც კაცობრიობის ისტორიულ წარსულს ნივთიერი კულტურის ძეგლების მიხედვით სწავლობს. არქეოლოგიური ძეგლები ერთადერთი წყაროა წინარეისტორიული ხანის შესასწავლად, მომდევნო პერიოდისთვის კი არქეოლოგიური კვლევის შედეგები ავსებს და ამ უსტებს წერილობითი წყაროების მონაცემებს ... ნივთიერი ძეგლების მოსაპოვებლად ტარდება არქეოლოგიური გათხრები, რომლებსაც ჩვეულებრივ წინ უძღვის არქეოლოგიური დამკვეთი. განათხარი მასალის შესწავლისას არქეოლოგია ეყრდნობა ნივთიერი ძეგლების ასაკის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის საკუთარ მეთოდებს. ამგვარი შესწავლის შემდეგ არქეოლოგიური ძეგლები ისტორიულ წყაროდ იქცევა. არქეოლოგია

ნივთიერი ძეგლების მონაცემთა საფუძველზე ახდენს ძველ საზოგადოებათა კულტურული და სოციალ-
ეკონომიკური მდგომარეობის რეკონსტრუქციას“.

არქეოლოგიას, როგორც მეცნიერებას, აქვს თავისი კვლევის საგანი და თავისი განსაკუთრებული, მხო-
ლოდ მისთვის დამახასიათებელი წყაროების დაგროვების და შესწავლის მეთოდი. ამ მიმართებით არქე-
ოლოგია წარმოადგენს დამოუკიდებელ ისტორიულ მეცნიერებას. ამასთანავე, ისტორია და არქეოლოგია
განუყოფელია, მათ განასხვავებს მხოლოდ წყაროები და კვლევის მეთოდი, კვლევის მიზანი კი ერთი და
იგივე აქვთ – ადამიანთა საზოგადოების ისტორიის შესწავლა მთლიანობაში“. **დამატებითი ცნობა** – ჰაინ-
რიხ შლიმანი – კაცი, რომელმაც ჰომეროსის მითები ისტორიად აქცია; რობერტ კოლდოვეი – ბაბილონის
აღმოჩენი. აღწერილია, თუ როგორ აღმოაჩინეს არქეოლოგებმა მითებად მიჩნეული ძეგლები.

წყარო 1-სა და 2 -ში მოყვანილია გორდონ ჩაილდისა და ოთარ ლორთქიფანიძის ციტატები არქეოლო-
გიის მნიშვნელობის შესახებ.

კლასში სამუშაო – დასმულია ორი კითხვა: 1. გაცნაით წყაროებსა და დამატებით ცნობებს. იმსჯელეთ,
რამდენად ცვლის არქეოლოგიური აღმოჩენები ისტორიას? 2. კაცობრიობის ისტორიის რომელი პერიოდის
კვლევისას ეხმარება არქეოლოგიური მონაცემები ისტორიკოსს?

საშინაო დავალება – კითხვა 1. დაწერეთ თემა არქეოლოგიის მნიშვნელობის შესახებ ისტორიული მეც-
ნიერების განვითარებისათვის [კილურაძე და სხვა, 2012:45, 49].

მეორე ტიპის სახელმძღვანელო არის **საქართველო და მსოფლიოს ისტორია** [რამიშვილი და სხვა, 2007].
სახელმძღვანელო დაყოფილია ოთხ თემად: თემა I. ძველი სამყარო (უძველესი დროიდან–IV საუკუნემდე);
თემა II. შუა საუკუნეები; თემა III. ახალი ისტორია; თემა IV. საქართველო და მისი მეზობლები XV–XIX სს.

არქეოლოგია წარმოდგენილია პირველ თემაში – „ძველი სამყარო“, შემდეგ თავებად: 1. ადამიანის
წარმოშობის საკითხი მითებსა და მეცნიერებაში; 2. ადრეული ჰომინიდებიდან თანამედროვე ადამიანამდე;
3. ქვის ხანა; 4. ადრესამიწათმოქმედო კულტურები. 5. ბრინჯაოს ხანა. შემდგომი პერიოდები წერილობით
წყაროებზე დაყრდნობით არის დახასიათებული. ჩვენ ყველა თავს განვიხილავთ ზოგადად, დაწვრილებით
მხოლოდ მესამე თავს – „ქვის ხანა“.

პირველ თავში – „ადამიანის წარმოშობის საკითხი მითებსა და მეცნიერებაში“ წარმოდგენილია ადა-
მიანის წარმოშობის შუამდინარული, ინდური, სკანდინავიური მითები, ამავე დროს, მოკლედ აღწერილია
ბიბლიური ვერსიაც. ავტორთა ტექსტით გადმოცემულია ჩარლზ დარვინის ევოლუციონისტური თეორია.
მითოლოგიურ და ავტორთა ტექსტებს დართული აქვს კითხვები.

მეორე თავში – „ადრეული ჰომინიდებიდან თანამედროვე ადამიანამდე“ ავტორთა ტექსტთან ერთად
მოცემულია ჰომინიდების ევოლუციის სქემა და სურათი ნეანდერტალელი ადამიანის და ჰომო საპიენსის
(ჰომო საპიენსის საპიენსის). ქვეთავში – „დმანისელი ადამიანი – მსოფლიო სენსაცია“ მოყვანილია დ. ლორ-
თქიფანიძისა და ა. გეკუას „დმანისის ნამარხი ადამიანის ადგილი უძველესი ჰომინიდების სისტემაში“ და
ჰომინიდების გავრცელების რუკა. მეორე ქვეთავში – ვინ არიან პალეოანთროპოლოგები? – ასახულია, თუ
როგორ ხდება ჰომინიდთა გარეგნობის რეკონსტრუქცია. ავტორთა ტექსტს დართული აქვს ფოტომასალა.
მეორე თავს ასევე დართული აქვს კითხვები. გარდა ამისა, ბოლოში – საშინაო დავალება: მოიძიეთ დამა-
ტებითი ინფორმაცია დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის შესახებ, შეგიძლიათ ისარგებლოთ შემდეგი
საიტით <http://www.dmanisi.org.ge>; <http://magma.nationalgeographic.com>

მესამე თავში – „ქვის ხანა“ ავტორთა ტექსტიდან გამოყოფილია ზოგადად ქვის ხანის დახასიათება: „არ-
ქეოლოგებმა კაცობრიობის ისტორიაში უძველეს და ყველაზე ხანგრძლივ პერიოდს „ქვის ხანა“ უწოდეს. ის



**ადრეინჯაოს ხანის
დასახასიათებლად მოყვანილია
მტკვარ-არაქსის კულტურის
ქველი – პირანის გორა.
ავტორთა შუასტს დანთვლი
აქვს ოთარ ჯაფარიძის სიტყვა,
რომ ამ კულტურის მატარებელი
საზოგადოება არ იყო
დივანიზირებული. შუა ბრინჯაოს
ხანის დასახასიათებლად კი
გამოყენებულია თრიალეთის
კულტურა. შუასტს თან ახლავს
სადავო აღმწერალთა ფოტოები
და შენობის და ყორღანის
ჩაპონსტრაჟი. შუასტს ახლავს
კითხვები.**



გრძელდებოდა დედამიწაზე ადამიანის გაჩენიდან (დაახლოებით 3 მლნ. წლის წინ) (ახლა დაახლოებით 7 მლნ. წლის წინ დ.ა.) ძვ.წ. XII ათასწლეულამდე“. სქემის მეშვეობით კაცობრიობის ისტორიის ეს მონაკვეთი დაყოფილია სამ პერიოდად: პალეოლითი – ძველი ქვის ხანა (უძველესი დროიდან ძვ.წ. XII ათასწლეულამდე); მეზოლითი – შუა ქვის ხანა (ძვ.წ. XII–X ათასწლეულები); ნეოლითი – ახალი ქვის ხანა (ძვ.წ. X–VII ათასწლეულები). პალეოლითი იყოფა ზედა და ქვედა პალეოლითად. თავი დაყოფილია ასევე ქვეთავებად „ქვის ინდუსტრია“, „პალეოლითი და მეზოლითი საქართველოში“, „ნეოლითი“. მოყვანილია ჩინური მითი მიწათმოქმედებისა და წყების შესახებ. ტექსტს დართული აქვს პალეოლითური და მეზოლითური ქვის იარაღების ნახატები, ასევე ცხრილი, რომელშიც ჩამოთვლილია ქვის ხანის სამივე პერიოდი. მოსწავლეებს ევალებათ ამ პერიოდების გასწვრივ ჩაწერონ ამებოქების ადამიანთა სამეურნეო საქმიანობა და საცხოვრებელი ტიპი.

ჩვენი აზრით, მოსწავლეებისათვის დასმული კითხვები არ შეესაბამება სკოლის სახელმძღვანელოს მოთხოვნებს. ერთი იმიტომ, რომ მათზე ავტორისეულ ტექსტში პასუხები არ მოიძებნება. ასეთია, მაგალითად: „აქვს თუ არა მითის ისტორიული წყაროს ფუნქცია?“ [რამიშვილი და სხვა, 2007:7]. მეორე – კითხვა იმდენად რთულია, რომ მასზე ერთიანი პასუხი სადღეისოდ მეცნიერებას არ გააჩნია. ასეთია, მაგალითად: „გამოთქვით თქვენი მოსაზრება, რამ გამოიწვია კაცობრიობის ისტორიაში განვითარების ტემპის დაჩქარება?“ [რამიშვილი და სხვა, 2007:16].

მეოთხე თავში – „ადრესამიწათმოქმედო კულტურები“ – ავტორთა ტექსტში, ძირითადად დასახასიათებელია ამ პერიოდის ნამოსახლარები. ესენია: იერიქონი (პალესტინა), ჩათალ-ჰუიუკი (თურქეთი), ბან-პო (ჩინეთი), შულავერი (საქართველო). მას ახლავს ნაგებობათა ნაშთებისა და ცალკეული არტეფაქტების ფოტოები, შენობათა გრაფიკული რეკონსტრუქციები. კითხვები, შესავსები ცხრილები, საშინაო დავალება: დაწერეთ თემა – რა მოუტანა კაცობრიობას შემგროვებლური მეურნეობიდან მიწათმოქმედებაზე გადასვლამ.

მეხუთე თავში – „ბრინჯაოს ხანა“ – ავტორთა ტექსტში, ეს პერიოდი დაყოფილია სამ პერიოდად: ადრე, შუა და გვიანბრინჯაოს ხანებად.

ადრებრინჯაოს ხანის დასახასიათებლად მოყვანილია მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლი – ამირანის გორა. ავტორთა ტექსტს დართული აქვს ოთარ ჯაფარიძის ციტატა, რომ ამ კულტურის მატარებელი საზოგადოება არ იყო დიფერენცირებული. შუა ბრინჯაოს ხანის დასახასიათებლად კი გამოყენებულია თრიალეთის კულტურა. ტექსტს თან ახლავს ცალკეულ არტეფაქტთა ფოტოები და შენობის და ყორღანის რეკონსტრუქცია. ტექსტს ახლავს კითხვები.

მესამეტიპის სახელმძღვანელო მიძღვნილია მხოლოდ **საქართველოს ისტორიისადმი**. ასეთია მაგალითად „საქართველოს ისტორია“, IX კლასი [ანჩაბაძე და სხვა, 2008]. სახელმძღვანელო შინაარსის მიხედვით დაყოფილია სამ თავად,

თითოეული თავი – თემებად და გაკვეთილებად. თავი 1. საქართველო ძველ დროში; თავი 2. საქართველო შუა საუკუნეებში (IV–XVIII სს.); თავი 3. საქართველო ახალ დროში (XIX–XXI სს.). სახელმძღვანელოს ასევე გააჩნია¹⁴ დანართი. არქეოლოგია ძირითადად მოცემულია I თავში.

სახელმძღვანელოს თავში წამძღვარებული აქვს გაკვეთილის სტუქტურის სქემა: თემის ნომერი და სათაური; თემის შესავალი აბზაცი, რომელიც გაცნობს თემის შინაარსს ან/და მიზანს; გაკვეთილის ნომერი და სათაური; გაკვეთილის შესავალი აბზაცი, რომელიც გაცნობს გაკვეთილის შინაარსს ან/და მიზანს; გაკვეთილის ძირითადი ტექსტი; მუქი შრიფტით გამოყოფილია მნიშვნელოვანი ტერმინი ან ფრაზა; დახრილი შრიფტით გამოყოფილია ლექსიკონში განმარტებული ტერმინი; სქემა გეხმარება რთული სტრუქტურის მქონე ინფორმაციის თვალსაჩინოდ აღქმაში; წითელი „ბულიტით“ გამოყოფილია გაკვეთილზე შესასრულებელი სავარჯიშო; წყაროში წარმოდგენილია ტექსტი, ილუსტრაცია, რუკა ან ცხრილი, რომელთა შესწავლა – გამოკვლევა გეხმარება საკითხის გაგებასა და ცოდნის „აღმოჩენაში“; ცნობა გაწვდის დამატებით ინფორმაციას გაკვეთილში განხილულ საკითხებზე; აქვეა გაკვეთილის შემაჯამებელი სავარჯიშოები, რომლებიც გეხმარება პრობლემის უკეთ დანახვაში, დამოუკიდებლად განსჯასა და მიღებული ცოდნის გამტკიცებაში.

როგორც შემოთგვექნა და აღნიშნული, არქეოლოგიური მონაცემები, ძირითადად პირველ თავშია მოცემული. ეს თავი დაყოფილია 2 თემად და 24 გაკვეთილად. ბოლოში დართული აქვს 1-ლი თავის შემაჯამებელი სავარჯიშოები. პირველი გაკვეთილია „1. ისტორიულ-გეოგრაფიული გარემო“; მეორე გაკვეთილი – „2. ქართველი ხალხის წარმომავლობა“. თემა 1.1. „პრეისტორიული პერიოდი“ შედგება 7 გაკვეთილისგან: „3. პირველყოფილი ადამიანი საქართველოს ტერიტორიაზე“; „4. მიწათმოქმედების საწყისი“; „5. სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის საწყისი“; „6. დიდი ყორღანების პერიოდი. თრიალეთის კულტურა“; „7. ბორბლიანი ტრანსპორტის წარმოშობა – განვითარება“; „8. რკინის დამუშავების საწყისი და საზოგადოების შემდგომი წინსვლა“; „წინარესახელმწიფოებრივი კოლხეთი“. თემა 1.2 სახელმწიფოებრიობის ეპოქა შედგება 14 გაკვეთილისგან. იგი ძირითადად წერილობითი წყაროების მონაცემებით არის აგებული, თუმცა არქეოლოგიასაც დიდი ადგილი უჭირავს.

„ამ თავის მთავარი იდეები.“ ეს თავი მოგვითხრობს საქართველოს ტერიტორიაზე ძველ დროში (ახ.წ. IV საუკუნემდე) მოსახლე ქართველური და სხვა წარმომავლობის ხალხების, მათი თანდათანობითი კულტურული და ეკონომიკური განვითარების, მემოზელ რეგიონებში მცხოვრებ ხალხებთან ურთიერთობის ისტორიას; შეიტყობ, როგორ გაჩნდა ძვ.წ. I ათასწლეულში პირველი სახელმწიფო – კოლხეთისა და ქართლის (იბერიის) სამეფოები, რომელთაც საფუძველი მოუშადას მოგვიანებით საქართველოს სახელმწიფოსა და მისი ერთიანობის იდეის ჩამოყალიბებას [რამიშვილი და სხვა, 2007:1]. ამ თავის განხილვისას ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ თემა 1.1-ს.

პირველ გაკვეთილის დასაწყისში – „ისტორიულ-გეოგრაფიული გარემო“ – მოცემულია მისი მიზნები: „ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარე საქართველოს მიწა-წყალზე საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა ისტორიულ-კულტურული განვითარების თავისებური პროცესი. ამ გაკვეთილზე გაეცნობი საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ გარემოს თავისებურებებს, რომელთაც მნიშვნელოვნად განსაზღვრეს აქ მცხოვრები ადამიანის ისტორიული განვითარების გზა“.

მეორე გაკვეთილის, ასევე დასაწყისში „ქართველი ხალხის წარმომავლობა“ წერია: „ამ გაკვეთილით გაეცნობი ქართველი ხალხის წარმომავლობის შესახებ არსებულ ძველ გადმოცემებსა და მეცნიერულ მოსაზრებებს; აღმოაჩენ, რომ ასეთი მოსაზრებები არ არის მყარი და მუდმივი, ისინი იცვლება ახალი მეცნიერული მიღწევების კვალდაკვალ“.

თემა 1.1 პრეისტორიული პერიოდი. „ეს თემა გაგაცნობს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების ყოფას, სამეურნეო საქმიანობასა და კულტურის ელემენტებს იმ ხანაში, როდესაც აქჯერ კიდევ არ არსებობდა სახელმწიფოებრივი გაერთიანებები.“

გაკვეთილი 3. პირველყოფილი ადამიანი საქართველოს ტერიტორიაზე. „ამ გაკვეთილიდან შეიტყობ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი პირველი ადამიანის შესახებ; გაიგებ, სად და როგორ ცხოვრობდნენ პირველყოფილი ადამიანები საქართველოს ტერიტორიაზე.“

ამ გაკვეთილის ავტორთა ტექსტში აღნიშნულია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ყველა ის ბუნებრივი პირობა არსებობდა, რომელიც აუცილებელი იყო ძველი ადამიანების დასახლებისათვის, რომელთა ძირითად საქმიანობას მონადირეობა და შემგროვებლობა წარმოადგენდა. გარდა ამისა, დახასიათებულია დმანისის ტერიტორიაზე გამოვლენილი 1,8 მილიონი წლის წინანდელი ჰომინიდის ნაშთები ქვის იარაღებთან ერთად. გაკვეთილის ქვეთავია „უძველესი ადამიანი და კავკასია“, სადაც აღნიშნულია, რომ დღევანდელ დმანისში ევრაზიის უძველესი ადამიანები „ჰომო ერექტუსები“ ცხოვრობდნენ, რომლებიც აქ აფრიკიდან გადმოვიდნენ. ავტორთა აზრით, კავკასია ის ადგილია, სადაც თანამედროვე ადამიანის – „ჰომო საპიენსის“ – ფორმირების პროცესი მიმდინარეობდა, რასაც არაერთი არქეოლოგიური აღმოჩენა მოწმობს. ასევე აღწერილია პირველყოფილი ადამიანების საქმიანობა მათი სქესობრივი კუთვნილების მიხედვით; აღწერილია საცხოვრისები და საზოგადოებრივი ურთიერთობები.

წყაროები. წყარო ა – დმანისელი ადამიანი. ავტორთა ტექსტს ორი ფოტოსურათი ახლავს: ჰომო ერექტუსის თავისქალების და მათი რეკონსტრუქციის შედეგებისა. წყარო ბ – აღრეპალეოლითური იარაღები“. აქაც ავტორთა ტექსტს ახლავს ქვის იარაღების გრაფიკული გამოსახულებები. წყარო გ – „პირველყოფილი ადამიანის სადგომები საქართველოს ტერიტორიაზე პალეოლითის ხანაში“. ავტორთა ტექსტს, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილია ამ პერიოდის 350-ზე მეტი ძეგლი, ახლავს რუკა. რუკაზე დატანილია ცალკე აშელის, ცალკე მუსტიეს ხანის ძეგლები. წყარო დ – „მუსტიეს ეპოქის ქვის იარაღები: 1. საძვრებელი, საკვეთი, საჩირქნი და საჭრელი იარაღები; 2. საქართველოში აღმოჩენილი ქვის ხელცულები“. სათაურს დართული აქვს გრაფიკული მასალა.

გაკვეთილზე შესასრულებელი სავარჯიშოები: „დააკვირდი წყარო ა-ს და აღმოაჩინე დმანისელი ადამიანის გარეგნობის ის ნიშანი, რომელიც მის შედარებით დაბალ გონებრივ შესაძლებლობაზე მიუთითებს.“ „რა ხელშემწყობი პირობები არსებობდა კავკასიაში ადამიანის განსახლებისათვის?“ „რა იყო დმანისელი ადამიანის ძირითადი საქმიანობა? ქვისა და ხის იარაღები შეიძლება ჰქონოდა მას და რისთვის გამოიყენებდა?“ „ძირითადად როგორ სადგომებში ცხოვრობდა პირველყოფილი ადამიანი?“ „წყარო დ-ს მიხედვით მიუთითე, რისთვის იყენებდა ქვის იარაღებს პირველყოფილი ადამიანი?“

ლექსიკონი: განმარტებულია ტერმინები – ჰომინიდი, აშელი, მუსტიე.

გაკვეთილის შემაჯამებელი სავარჯიშოები: „ერთმანეთს შეადარე წყაროები ბ და დ. წერილობით ჩამოაყალიბე, რით განსხვავდება ქვის იარაღების დამზადების ტექნიკა პალეოლითის სხვადასხვა პერიოდში.“

როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, საბჭოთა პერიოდის სახელმძღვანელოების ძირითად ნაწილში არ იყო მოცემული წყაროები, სავარჯიშოები და სხვა – იყო მხოლოდ ავტორის ეული ტექსტები. რაც შეეხება საქართველოს დამოუკიდებლობის დროინდელ სახელმძღვანელოებს, მათში არ არის აღნიშნული ის მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს საზოგადოების განვითარების პროცესი. გავიხსენოთ, რომ საბჭოთა ეპოქაში საზოგადოების ძირითად მამოძრავებელად იარაღის (შრომის, სანადირო და საბრძოლო) განვითარება სახელდებოდა.

ჩვენი ნაშრომის ფორმატი მიზნად არ ისახავს იმის დადგენას, თუ როგორ უნდა იწერებოდეს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის ისტორიის სახელმძღვანელოები და როგორ უნდა იყოს მასში გადმოცემული არქეოლოგია – უნდა შეიცვალოს არსებული ვითარება, თუ იგი სავსებით აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. ეს საკითხები სხვადასხვა დარგის მკვლევარების გადასაწყვეტად მიგვაჩნია. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია წარმოვაჩინოთ ის ვითარება, თუ როგორია მსოფლიოსა და საქართველოს არქეოლოგიის, როგორც მეცნიერების, განვითარების ტენდენციები და მოთხოვნილებები.

კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორ ბრაიან ფეგანის აზრით, თანამედროვე არქეოლოგიას გააჩნია ხუთი ძირითადი მიზანი:

- 1. არქეოლოგიურ ძეგლთა გადარჩენა და შენარჩუნება მომავალი თაობებისათვის.** ამ საკითხს სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო სისტემა არეგულირებს. მაგ. საქართველოში მოქმედებს კონსტიტუციის 34-ე მუხლი და საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ.
- 2. კულტურის ისტორიის შესწავლა,** რაც გულისხმობს ძეგლებისა და არტეფაქტების შესწავლას დროისა და სივრცის კონტექსტში. კაცობრიობის კულტურის ქრონოლოგიურად გრძელი ციკლების აღწერის მიზნით. ამ შემთხვევაში აქცენტი კეთდება ცალკეული კულტურების კვლევაზე, მათ ქრონოლოგია-პერიოდიზაციაზე, გავრცელების არეალის დადგენაზე, ურთიერთობაზე სხვა კულტურებთან, ცალკეული კომპლექსებისა და არტეფაქტების კლასიფიკაციასა და სხვა. ამ ტიპის კვლევები დასავლეთ ევროპაში ძირითადად XX ს-ის 50-იან წლებამდე ხორციელდებოდა. იგი დღესაც აუცილებელია ძველი საზოგადოებების შესწავლის საწყის ეტაპზე. თუმცა ამ მიმდინარეობის კრიტიკოსები თვლიან, რომ არქეოლოგიური წყაროებს შემზღუდული სახით შეუძლიათ მოგვაწოდონ ძველი საზოგადოებების შესახებ ინფორმაცია, ვინაიდან ეს ინფორმაცია ნაკლებია და ძირითადად ფრაგმენტულად არის მოღწეული – **კულტურულ-ისტორიული** კვლევები შემზღუდულ ხასიათს ატარებს და ბევრი რამ – განსაკუთრებით კაცობრიობის სულიერი კულტურის კვლევა – შემზღუდულია.
- 3. წარსულის ცხოვრების წესი** – კვლევის ეს მიმართულება გულისხმობს კულტურის განხილვას ლანდშაფტის კონტექსტში, კერძოდ, რა გარემოში ცხოვრობდნენ ძველი საზოგადოებები? რითი იკვებებოდნენ? როგორ იცავდნენ თავს წლის სხვადასხვა პერიოდში? როგორ მოიპოვებდნენ და იყენებდნენ სხვადასხვა მასალას და სხვა. ამ საკითხების შესწავლა მულტიდისციპლინურ კვლევებზეა დაფუძნებული.
- 4. წარსულის კულტურული პროცესების კვლევა (პროცესუალური არქეოლოგია)** – ეს მიმართულება დასავლეთ ევროპასა (ძირითადად დიდი ბრიტანეთი) და აშშ-ში XX ს-ის 60-იანი წლებიდან იწყება. ამ სკოლის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ არქეოლოგიას უფრო მეტი შეუძლია, ვიდრე ძველი კულტურების მხოლოდ აღწერა. **მკაცრ მეცნიერულ მეთოდებზე დაყრდნობით, მან უნდა გამოიკვლიოს, თუ რა პროცესები იწვევენ კულტურათაცვლილებას?** რატომ ვითარდებიან ზოგიერთი საზოგადოებები უფრო სწრაფად და სხვანი უფრო ნელა. პროცესუალური არქეოლოგია განსაკუთრებით ანთროპოლოგიას (განსაკუთრებით კულტურულ ანთროპოლოგიას) დაუკავშირდა, როგორც ძველი საზოგადოებების ცოცხალ მოდელებს. პროცესუალისტ არქეოლოგებს (დევიდ კლარკი, კოლინ რენფრიუ) მიაჩნიათ, რომ კულტურის ყველა ელემენტს მსგავსი ფუნქცია გააჩნია როგორც უწინ, ასევე ახლა. გარდა ამისა, მათ მიაჩნიათ, რომ კულტურა არის სისტემა და ამ სისტემაში მომხდარი ერთი ელემენტის ცვლილება იწვევს დანარჩენი ელემენტების ცვლილებას. აუცილებელი არ არის, ეს ელემენტი ერთი და იგივე იყოს (პოლიკაუზალური). ეს მიდგომა განსხვავდება საბჭოთა

კავშირში გავრცელებული მარქსისტულ-ლენინური შეხედულებისაგან, რომლის მიხედვითაც კულტურული ცვლილებების გამომწვევად მხოლოდ იარაღის განვითარება იყო მიჩნეული (მონოკაუზალური).

5. **არქეოლოგიური წყაროების გააზრება.** არქეოლოგიური, ნივთიერი წყაროები წერილობითისაგან ძირითადად განსხვავდებიან იმით, რომ წერილობითი წყარო, რომელიც, მაგალითად, დაიწერა რამდენიმე საუკუნის წინ, დღეს იმავე შინაარსისა და ინფორმაციის მატარებელია, რაც უწინ. არქეოლოგიური წყარო კი ჩვენამდე სრულყოფილად არ აღწევს. იგი იკარგება და ფუჭდება მიწაში მოხვედრამდე და მიწაში მოხვედრის შემდეგაც. **დღეს არტეფაქტები წარმოადგენენ სტატიკურ ობიექტებს, რომელთა მეშვეობითაც დინამიკური საზოგადოებების შესწავლა უნდა მოხერხდეს.** წყაროთა უკეთ გააზრებისათვის საჭიროა იმ თანამედროვე საზოგადოებების ყოფის შესწავლა, რომლებიც სადღეისოდ განვითარების იმ სტადიაზე იმყოფებიან (მონადირეები, შემგროვებლები), რომელზეც ძველი საზოგადოებები [Fagan, 2001: 26-29, 52-61].

საბჭოთა ეპოქის საქართველოს არქეოლოგიის სამეცნიერო განმაზოგადოებელი ნაშრომების დიდი ნაწილი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მატარებელი იყო. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეს იდეოლოგია ფორმალურად მაინც მოიხსნა. ნაშრომების უმეტესობა (მხედველობაში გვაქვს განმაზოგადოებელი ნაშრომები) უფრო კულტურულ-ისტორიული ხასიათის მატარებელია და ცვლილებების მიზეზად მიგრაციას და დიფუზიას მიიჩნევს, რაც კულტურულ-ისტორიული სკოლისთვის არის დამახასიათებელი.

თუ დავაკვირდებით ბრაიან ფეგანის მიერ ჩამოთვლილ არქეოლოგიის მიზნებს და შევუსაბამებთ ჩვენს მიერ განხილულ სახელმძღვანელოებს, მივალთ იმ დასკვნამდე, **რომ არქეოლოგიის სწავლება ქართულ სკოლებში ოდნავ მოძველებული სისტემით მიმდინარეობს. იმედია, ეს სტატია დაეხმარება სახელმძღვანელოების ავტორებს არქეოლოგიის სწავლებაში გამოიყენონ თანამედროვე მიდგომები.**

ბიბლიოგრაფია

1. ანჩაბაძე გ., გამყრელიძე გ., კიკნაძე ზ., სურგულაძე მ., შველიძე დ., საქართველოს ისტორია IX კლასი, ლოგოს პრესი, 2008
2. კილურაძე ნ., სანიკიძე გ., გორდემიანი ლ., ოთხმეზური გ., ფირცხალავა ლ., ისტორია 10, ისტორიის სახელმძღვანელო მეათეკლასელთათვის, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2012.
3. რამიშვილი პ., ახმეტელი ნ., სართანია დ., ჩხიკვიშვილი გ., საქართველოს და მსოფლიოს ისტორია, XI კლასი, გამომცემლობა „დიოგენე“ 2007.
4. Fagan Brian, In the beginning, An Introdution to Archaeology, New Jersey, 2001

